811.353.1(042)
ი-53

მაია ინასარიძე
მაია ნაჭყებია

ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლების თანამედროვე მეთოდები

„საიმედო“
თბილისი
2006

811.353.1(072)+
ი-53

მაია ინასარიძე, მაია ნაჭყებია

ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლების თანამედროვე მეთოდები

№ 27468

„საიმედო“
თბილისი
2006

821.353.1(075)

რეცენზენტები: მაია მღებრიშვილი, თბილისის 48-ე საჯარო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი და ლეილა მანჯგალაძე, 22-ე საჯარო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი.

რედაქტორი კახა გაბუნია

ISBN 978-9941-0-4553-1

შესავალი

ეს წიგნი მშობლიური ენისა და ლიტერატურის მასწავლებლებისათვის არის განკუთვნილი. იგი ავტორთა სკოლაში მუშაობისა და სწავლებაში თანამედროვე მიდგომების დანერგვისას მიღებული გამოცდილების საფუძველზე შეიქმნა. მეთოდები, რომლებიც წიგნშია აღწერილი, მსოფლიო და ქართული მოწინავე პედაგოგიური პრაქტიკიდან არის აღებული. ჩვენი სურვილია, დავეხმაროთ მასწავლებლებს მეთოდიკური არსენალის შექმნასა და მიზნობრივ გამოყენებაში, სწავლებისა და სწავლის პროცესის გამრავალფეროვნებაში, იმაში, რომ სწავლებაცა და სწავლაც უფრო საინტერესო და სახალისო გახდეს.

ქართული ენისა და ლიტერატურის ახალ პროგრამაში ხაზგასმითაა აღნისნული, რომ დღეს მშობლიური ენის პრაქტიკულ, საკომუნიკაციო უნარ-ჩვევებზე ორიენტირებულ სწავლებას სკოლაში ალტერნატივა არ აქვს.

მშობლიური ენა პიროვნების თვითგამოხატვის, აზრის ჩამოყალიბების და გადაცემის საშუალებაა. მისი სწავლება ემყარება იმ პრინციპებს, რომლებიც სწავლების საერთო, უნივერსალურ პრინციპებადაა აღიარებული, სახელდობრ, ის ითვალისწინებს:

- აქცენტირებას სასწავლო მასალის არა რაოდენობრივ, არამედ – სტრუქტურულ და თვისობრივ ასპექტებზე;
- სწავლების ორიენტაციას აღსაზრდელთა ინტელექტუალურ და ფსიქოფიზიკურ შესაძლებლობებზე;
- სწავლების ინდივიდუალიზაციას; მოსწავლის – როგორც ინდივიდის – შესაძლებლობათა მაქსიმალურ გათვალისწინებას;
- სწავლების პროცესის უპირატეს ორიენტაციას წარმოდგენასა და გააზრებაზე და არა – აღქმასა და დამახსოვრებაზე;
- სწავლების პროცესის ორიენტაციას მოსწავლის პიროვნებაზე;
- სწავლების პროცესის აგებას მასწავლებლისა და მოსწავლის, აგრეთვე – მოსწავლეთა ინტერაქტიური მიმართებების საფუძველზე;
- შედეგებზე ორიენტირებულ სწავლებას;
- ენის ფუნქციონირების სხვადასხვა ასპექტისა და ფორმის ინტეგრირებულ სწავლებას.

სწავლების მიმართულებები

წინამდებარე სახელმძღვანელო მოწოდებულია იმისათვის, რომ მოსწავლეები საფუძვლიანად დაეუფლონ მშობლიურ ენასა და ლიტერატურას და ეფექტიანად გამოიყენონ მიღებული ცოდნა და უნარ-ჩვევები ენის ფუნქციონირების სხვადასხვა სფეროში.

მშობლიური ენისა და ლიტერატურის სწავლების ძირითად მიმართულებებია **ზეპირმეტყველების, მოსმენის, კითხვისა** და **წერის** უნარ-ჩვევების განვითარება. ამ მიმართულებათა დაუფლების გზით მოსწავლეებს საშუალება ეძლევათ ეფექტურად გამოიყენონ მშობლიური ენა ნაირგვარი საკომუნიკაციო და შემოქმედებითი მიზნის შესაბამისად. მათ გამოუმუშავდებათ დადებითი და აქტიური განწყობა სწავლების ყოველი ახალი საფეხურის ამოცანათა გადასაწყვეტად, შემეცნებისა და ცოდნის პრაქტიკული რეალიზაციის სურვილი.

უნარ-ჩვევების განვითარებაზე ორიენტირებული მიმართულებები

მოსმენა და *ზეპირმეტყველება* – ეს ორი მიმართულება ერთმანეთთან განუყოფლად არის დაკავშირებული. მათი შესაბამისი ცოდნისა და უნარ-ჩვევების თანამიმდევრული განვითარება მიზნად ისახავს თავისუფალი, თანამედროვე კომუნიკაციისათვის მზადმყოფი პიროვნების ჩამოყალიბებას. ეს მიმართულებები გულისხმობს ზეპირმეტყველების, აზრის ზეპირი გამოხატვის უნარ-ჩვევების, მოსმენის კულტურისა და ინტერაქტიური ურთიერთობების უნარების განვითარებას. აქ ეყრება საფუძველი ტოლერანტული, სხვათა აზრის დამფასებელი და საკუთარი ღირსების მქონე პიროვნების აღზრდას.

კითხვა – არის საფუძველი წიგნიერებისა, რომელიც თანამედროვე სრულფასოვანი პიროვნების ჩამოყალიბების აუცილებელ პირობას წარმოადგენს. ეს მიმართულება ემსახურება ნაირგვარი წერილობითი ინფორმაციის წაკითხვისა და გამოყენების უნარ-ჩვევების გამომუშავებას; მშობლიურსა და მსოფლიო სიტყვიერ ხელოვნებასა და სულიერ კულტურასთან ზიარებას, მისი შემოქმედებითი ათვისების შესაძლებლობების განვითარებას. ეს მიმართულება ემსახურება იმას, რომ მოს-

წავლე დაეუფლოს და გამოიყენოს კითხვის ძირითადი სტრატეგიები, რათა შეეძლოს ტექსტის შერჩევა, კრიტიკული კითხვა, განმარტება და საჭირო შესწორებათა შეტანა. მოსწავლემ უნდა შეძლოს ტექსტში სასურველი ინფორმაციის დამოუკიდებელი მოძიება, სხვადასხვა მონაცემის გამოყენება ტექსტში ღრმად წვდომის მიზნით, მიღებული ინფორმაციის დაკავშირება სუბიექტურ გამოცდილებასთან, მონაცემთა ანალიზი, დასკვნების გამოტანა და ა.შ.

წ ე რ ა – მიღებული ნაირგვარი ინფორმაციისა და საკუთარი აზრის წერილობითი გადმოცემის, წერის კულტურის ჩამოყალიბება არის პიროვნების ინტელექტუალური შესაძლებლობების რეალიზაციის აუცილებელი ასპექტი. მოსწავლემ უნდა შეძლოს ინდივიდუალური შემოქმედებითი უნარების გამოვლენა და განვითარება, აზრებისა და დამოკიდებულებების გამოხატვის საკუთარი ენობრივ-სტილისტური საშუალებების დაუფლება. მოსწავლეს უნდა შეეძლოს წინასწარი გეგმის შედგენა, საკვანძო სიტყვების მონიშვნა, ხელნაწერის „შავად“ შესრულება და მისი შესწორება - რედაქტირება; იგი უნდა დაეუფლოს წერილობით აზრის ნათლად ჩამოყალიბების უნარ-ჩვევებს, აგრეთვე მკაფიო ხელწერას, მართლწერისა და პუნქტუაციის სავალდებულო ნორმებს.

მშობლიური ენის სწავლების მეთოდური სახელმძღვანელო სწორედ ამ უნარების განვითარების ხერხებსა და საშუალებებს შესთავაზებს როგორც დაწყებით, ისე საბაზო და საშუალო სკოლის პედაგოგებს.

სანამ მშობლიური ენისა და ლიტერატურის სწავლების საკითხებს შემოგთავაზებთ, გავიაზროთ შემდეგი:

1. **საყოველთაოდ ცნობილია, რომ მოსწავლე სწავლობს უკეთ, როცა ითვალისწინებენ მის ინდივიდუალურ თავისებურებებს,**

ამიტომ მასწავლებელმა უნდა:

- შეარჩიოს სწავლების ისეთი მეთოდები, რომლებიც შეესატყვისება მოსწავლის ასაკობრივ თავისებურებებს;
- შესთავაზოს მოსწავლეებს მრავალფეროვანი აქტივობები, სავარჯიშოები, დავალებები, რათა დაკმაყოფილდეს თითოეული მოსწავლის საჭიროებანი, გათვალისწინებულ იქნეს მისი ინდივიდუალური თავისებურებები (ხასიათი, სწავლის სტილი, ინტელექტუალური უნარები, ტემპერამენტი, ძლიერი და სუსტი მხარეები).

2. **მოსწავლე უკეთ ისწავლის, თუ მას მიეცემა საკუთარი შესაძლებლობების რეალიზაციისა და განვითარების საშუალება.**

ამისათვის მასწავლებელმა უნდა:

- ჩაუნერგოს მოსწავლეებს საკუთარი თავის რწმენა, გამოუმუშავოს დადებითი დამოკიდებულება სწავლის, მშობლიური ენის, საერთოდ, გარემომცველი სამყაროს მიმართ;
- შეუქმნას მოსწავლეებს ემოციურად და ინტელექტუალურად უსაფრთხო გარემო, ჩამოუყალიბოს კონსტრუქციული დამოკიდებულება შეცდომის მიმართ და გააცნობიერებინოს მათ, რომ შეცდომა არ არის საშიში. იგი სწავლის პროცესის განუყოფელი ნაწილია (შეცდომების გამოვლენა და გაანალიზება განაპირობებს წინსვლას);
- მკაფიოდ განუსაზღვროს მოსწავლეს, თუ ცოდნისა და უნარ-ჩვევების რა დონის მიღწევას ელიან მისგან (აქ აუცილებლად უნდა იყოს გათვალისწინებული მოსწავლის შესაძლებლობების მაქსიმუმი);
- შექმნას ურთიერთნდობის ატმოსფერო, სადაც იქნება თანამშრომლობა და არა – კონკურენცია, შეჯიბრი.

3. **მოსწავლე უკეთ სწავლობს, როდესაც იგი მონაწილეობს სასწავლო პროცესის წარმართვაში, თავადაც იღებს გადაწყვეტილებსა და იჩენს ინიციატივას.**

ამიტომ მასწავლებელმა უნდა:

- შეუქმნას მოსწავლეს გაკვეთილზე ისეთი პირობები, რომ მან გარკვეულ საკითხებზე აიღოს პასუხისმგებლობა, დამოუკიდებლად მიიღოს გადაწყვეტილება;
- წაახალისოს მოსწავლე, რათა მან დამოუკიდებლად გადაჭრას სასწავლო პროცესში წამოჭრილი ზოგიერთი პრობლემა;
- აღჭურვოს მოსწავლე ისეთი სასწავლო სტრატეგიებით, რომლებიც მას გაუადვილებს სწავლას და უფრო დამოუკიდებელს გახდის, ანუ ასწავლოს სწავლის სწავლა.

4. **მოსწავლე უკეთ სწავლობს, როდესაც იგი მოტივირებულია** (იგულისხმება არა მოტივაციის გარეგანი ფაქტორები – ნიშანი, დასჯის შიში ან წახალისება, არამედ შინაგანი ფაქტორები – აღმოჩენით მიღებული სიხარული, მიზნის სიცხადე, კარგად გაცნობიერებული შედეგი, თვალსაჩინო ინდივიდუალური პროგრესი და სხვა). ამისათვის მასწავლებელმა უნდა:

- სწავლების შინაარსი მიუსადაგოს მოსწავლეთა ინტერესებს;
- შექმნას ისეთი სიტუაციები, რომლებიც მიმზიდველი იქნება მოსწავლეებისათვის, გააქტიურებს მათს ცხოვრებისეულ გამოცდილებასა და ადრე შეძენილ ცოდნას;

- მისცეს მოსწავლეს საშუალება დააკვირდეს შესასწავლ მასალას დამოუკიდებლად, გამოთქვას ჰიპოთეზები, აღმოაჩინოს, მიხვდეს, ამოიცნოს, შეადაროს.
- მისცეს საშუალება, მოსწავლემ თავად გაადევნოს თვალი საკუთარი ცოდნის კონსტრუირებას და უნარ-ჩვევების განვითარებას;
- დაუსახოს მოსწავლეებს რეალისტური, დაძლევადი მიზნები, რათა მოსწავლეებმა იგრძნონ წარმატების გემო;
- წაახალისოს წარმატება, დააფასოს და შეაფასოს წინსვლა, მაგრამ აუხსნას დეტალურად მცირე წარუმატებლობის მიზეზიც კი, დაეხმაროს ხარვეზების აღმოფხვრაში რჩევებითა და რეკომენდაციებით.

მშობლიური ენის სწავლების საკითხები დაწყებით სკოლაში

უპირველეს ყოვლისა, სანამ სწავლებას შევუდგებოდეთ, უნდა გავითვალისწინოთ დაწყებითი სკოლის მოსწავლეთა ასაკობრივი თავისებურებები. კერძოდ:

- ამ ასაკის ბავშვისათვის დამახასიათებელია თვალსაჩინო ხატოვანი აზროვნება. იმისათვის, რომ უკეთ გაIგოს შესასწავლი მასალა, მას სჭირდება ამ მასალის გათვალსაჩინოება (ნახატები, სურათები, ფილმები, ფოტოები, მაკეტები და ა.შ.);
- ამ ასაკში მოსწავლეს უჭირს ყურადღების მობილიზება და კონცენტრაცია ერთ საკითხზე დიდი ხნით, ამიტომ მასწავლებელმა მოსწავლეებს უნდა შესთავაზოს, ერთი მხრივ, მიმზიდველი და სახალისო, მაგრამ, მეორე მხრივ, ხანმოკლე აქტივობები, რომლებსაც დინამიურობისა და ყურადღების შესანარჩუნებლად ერთმანეთს შეუნაცვლებს;
- განსხვავებით მოზრდილებისაგან, ამ ასაკის ბავშვების აღქმა მოკლებულია შინაგან დანაწევრებულობას. იგი უფრო დიფუზურ ხასიათს ატარებს. ბავშვი საგნებსა და მოვლენებს მთლიანად აღიქვამს, ამიტომ, მას ხშირად ერევა მსგავსი ასოები, მსგავსი საგნები და სხვა; მასწავლებელმა ხშირ-ხშირად უნ-

და მისცეს მას საგნების შედარების, მსგავსება-განსხვავებების დადგენის შესაძლებლობა;

- ამ ასაკის ბავშვს ახასიათებს ხანმოკლე ანუ უშუალო მეხსიერება. ნებისმიერი (იგულისხმება ნება) მეხსიერება, რომელიც უშუალოდ ნებელობაზეა დაფუძნებული, ნაკლებად არის მისთვის დამახასიათებელი. მეხსიერების განსავითარებლად მასწავლებელმა უნდა მიმართოს სხვადასხვა ხერხს. უნდა გვახსოვდეს, რომ მეხსიერების ხანგრძლივობას განაპირობებს ძლიერი შთაბეჭდილებები;
- ამ ასაკში მოსწავლეებს განსაკუთრებულად აქვთ განვითარებული მიბაძვის უნარი. ეს უნარი მაქსიმალურად უნდა იქნეს გამოყენებული როლური და სიტუაციური თამაშების, გამომსახველობითი კითხვის დროს;
- ამ ასაკში მოსწავლეებს განსაკუთრებით აქვთ განვითარებული ფანტაზიის, წარმოსახვის უნარი, მაგრამ ნაკლებად – სივრცისა და დროის აღქმის უნარი, ამიტომ მასწავლებელმა კლასში ხშირად უნდა შექმნას შემოქმედებითი ატმოსფერო, სადაც გასაქანი მიეცემა მოსწავლის წარმოსახვასა და ფანტაზიას;
- ამ ასაკის ბავშვი დღევანდელი დღით ცხოვრობს. მას შორეული მიზნები არ ამოძრავებს და არ სწავლობს იმის გამო, რომ ეს ცოდნა მომავალში გამოადგება.

შესაბამისად, მას სურს მაშინვე, სასწავლო საქმიანობის დასრულებისთანავე, ნახოს შედეგი.

სწორედ ამ თავისებურებების გათვალისწინებით უნდა შეირჩეს ისეთი მეთოდები და ხერხები, რომლებიც გაზრდის სწავლისადმი მოსწავლის შინაგან მოტივაციას. მაღალი შინაგანი მოტივაცია კი, თავის მხრივ, გააქტიურებს მოსწავლეს და ხელს შეუწყობს წარმატებულ სწავლაში.

ასეთი ხერხებია:

1. **ვიზუალიზება** ანუ სხვადასხვა ტიპის თვალსაჩინოებათა გამოყენება (ნახატი, სურათი, რეალური საგანი, სქემა, პლაკატი და სხვა);
2. **ასოციაციური კავშირები** – ანალოგია, მეტაფორა, იგავური ენა (მოზარდი აკავშირებს ახალ ინფორმაციას, ახალ ცნებას მანამდე არსებულ გამოცდილებასთან. რაც უფრო ნათელია ახალი ინფორმაციის კავშირი ნაცნობთან, მით უფრო მტკიცეა ახალშეძენილი ცოდნა);
3. **უშუალო გამოცდილებაზე დამყარებული პრაქტიკული ქმედებები** – მასალით მანიპულირება (დახატვა, გამოჭრა, დაწებება, ლოტოებით თამაში და სხვა), როლების გათამაშება, ინტერვიუს ჩამორთმევა, მიმიკით, ჟესტიკულაციით განსახიერება / გამოსახვა და სხვა. (მეთოდს, რომელიც ასეთი ტიპის აქტივობებს იყენებს, **მულტისენსორული** მეთოდი

ეწოდება და იგი წარმატებით დაინერგა არაერთი ქვეყნის დაწყებით სკოლებში);

4. **წარმოსახვითი აქტივობები** – წარმოსახვის დიდი უპირატესობა ის არის, რომ იგი თავისუფალია გარეგანი სამყაროს დასაზღვრულობისაგან: წარმოსახვას შეუძლია ჩვენი გადაყვანა ნებისმიერ დროსა და სივრცეში. წარმოსახვის საშუალებით შეიძლება უშუალო, პირადი გამოცდილების გააქტიურება. უნდა აღინიშნოს, რომ წარმოსახვა უნიკალური გონებრივი რესურსია, რომელიც ხელს უწყობს შემოქმედებითი ადამიანის ჩამოყალიბებას.

მოსმენა და მეტყველება დაწყებით კლასებში

1. **აქტივობები ტექსტის მოსმენამდე** (მოსამზადებელი პერიოდი).

ვარაუდების გამოთქმა – მოსწავლეებს ვთხოვთ გამოთქვან ვარაუდი ტექსტის შინაარსის შესახებ. ყველას უნდა მიეცეს აზრის გამოთქმის საშუალება. ვარაუდის გამოთქმა მოსწავლეში მოსმენის სურვილს გაზრდის. ვარაუდს მოსწავლე გამოთქვამს მასწავლებლის მიერ მიწოდებულ სხვადასხვა ელემენტზე დაყრდნობით. ეს შეიძლება იყოს:

✓ სურათები, ნახატები;

✓ სათაური;

✓ საკვანძო სიტყვები;

✓ ტექსტის შესავალი (გამოიცნობენ გაგრძელებას);

✓ დასასრული (გამოიცნობენ, რა მოხდა მანამდე).

სხვა ტიპის აქტივობები, რომლებიც შეიძლება წინ უძღოდეს მოსმენას და გამოიწვევს მოსმენის სურვილს:

- მოსწავლეებს ეძლევათ ფრაზები, რომლებსაც ალაგებენ ლოგიკური თანამიმდევრობით, შემდეგ ადარებენ მოსმენილს;
- მოსწავლეები კითხულობენ ტექსტს, რომელშიც გამოტოვებულია სიტყვები, ცდილობენ შეავსონ, შემდეგ მოსმენილის მიხედვით ასწორებენ.

2. **აქტივობები უშუალოდ ტექსტის მოსმენისას.** მოსწავლეები ისმენენ ტექსტს კონკრეტული ამოცანით. მაგალითად,

- მოისმინეთ და გამოიცანით, შინაარსი დაემთხვა თუ არა გამოთქმულ ვარაუდებს;
- მოისმინეთ და ჩამოთვალეთ პერსონაჟები;
- მოისმინეთ და ამოიცანით თემა;
- მოისმინეთ და დაასახელეთ მოქმედების ადგილი, დრო და ა. შ.

*მოცემულ თავში გამოყენებულია თამარ ჯაყელისა და მარინე ხუციშვილის ბროშურა „მეორე ენის სწავლება დაწყებით კლასებში“, თბილისი, 2005 წელი.

ბიბლიოთეკა
№ ____

ეწოდება და იგი წარმატებით დაინერგა არაერთი ქვეყნის დაწყებით სკოლებში);

4. **წარმოსახვითი აქტივობები** – წარმოსახვის დიდი უპირატესობა ის არის, რომ იგი თავისუფალია გარეგანი სამყაროს დასაზღვრულობისაგან: წარმოსახვას შეუძლია ჩვენი გადაყვანა ნებისმიერ დროსა და სივრცეში. წარმოსახვის საშუალებით შეიძლება უშუალო, პირადი გამოცდილების გააქტიურება. უნდა აღინიშნოს, რომ წარმოსახვა უნიკალური გონებრივი რესურსია, რომელიც ხელს უწყობს შემოქმედებითი ადამიანის ჩამოყალიბებას.

მოსმენა და მეტყველება დაწყებით კლასებში

1. **აქტივობები ტექსტის მოსმენამდე** (მოსამზადებელი პერიოდი).

ვარაუდების გამოთქმა – მოსწავლეებს ვთხოვთ გამოთქვან ვარაუდი ტექსტის შინაარსის შესახებ. ყველას უნდა მიეცეს აზრის გამოთქმის საშუალება. ვარაუდის გამოთქმა მოსწავლეში მოსმენის სურვილს გაზრდის. ვარაუდს მოსწავლე გამოთქვამს მასწავლებლის მიერ მიწოდებულ სხვადასხვა ელემენტზე დაყრდნობით. ეს შეიძლება იყოს:

- ✓ სურათები, ნახატები;
- ✓ სათაური;

- ✓ საკვანძო სიტყვები;
- ✓ ტექსტის შესავალი (გამოიცნობენ გაგრძელებას);
- ✓ დასასრული (გამოიცნობენ, რა მოხდა მანამდე).

სხვა ტიპის აქტივობები, რომლებიც შეიძლება წინ უძღოდეს მოსმენას და გამოიწვევს მოსმენის სურვილს:

- მოსწავლეებს ეძლევათ ფრაზები, რომლებსაც ალაგებენ ლოგიკური თანამიმდევრობით, შემდეგ ადარებენ მოსმენილს;
- მოსწავლეები კითხულობენ ტექსტს, რომელშიც გამოტოვებულია სიტყვები, ცდილობენ შეავსონ, შემდეგ მოსმენილის მიხედვით ასწორებენ.

2. **აქტივობები უშუალოდ ტექსტის მოსმენისას.** მოსწავლეები ისმენენ ტექსტს კონკრეტული ამოცანით. მაგალითად,

- მოისმინეთ და გამოიცანით, შინაარსი დაემთხვა თუ არა გამოთქმულ ვარაუდებს;
- მოისმინეთ და ჩამოთვალეთ პერსონაჟები;
- მოისმინეთ და ამოიცანით თემა;
- მოისმინეთ და დაასახელეთ მოქმედების ადგილი, დრო და ა. შ.

*მოცემულ თავში გამოყენებულია თამარ ჯაყელისა და მარინე ...ის ბროშურა „მეორე ენის სწავლება დაწყებით კლასებში", თბილისი, 2005 წელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა
№ ____

3. **აქტივობები ტექსტის მოსმენის შემდგომ**

- ილუსტრაციების შექმნა;
- შავ-თეთრი ნახატის გაფერადება მოსმენილ ტექსტში აღწერის მიხედვით;
- საკუთარი დამოკიდებულების გამოხატვა პერსონაჟის / პერსონაჟების, ტექსტში მოთხრობილი ამბის მიმართ.

მოსმენისა და ზეპირმეტყველების უნარის განსავითარებლად შეიძლება სხვადასხვა სახის აქტივობების გამოყენება. მაგალითად:

- მეწყვილეები ზურგშექცევით დასხდებიან. თითოეულ მათგანს დაურიგდება სხვადასხვა ნახატი. ჯერ ერთი აღწერს თავის ნახატს და მისი მეწყვილე აღწერის მიხედვით დახატავს, შემდეგ როლებს შეცვლიან. ბოლოს შეადარებენ, რამდენად შეესაბამება ნახატები ერთიმეორეს;
- შეიძლება გამოვიყენოთ მოსმენილი ან წაკითხული ტექსტი – მოსწავლეები დიალოგში გააგრძელებენ მოქმედ პირთა საუბარს. ამისათვის წინასწარ მოამზადებენ, ვინ რა უნდა თქვას. სასურველია, ერთი როლის გამგრძელებლები ერთად დასხდნენ და მოემზადონ. როლები, შეიძლება, სპონტანურად, მომზადების გარეშეც გათამაშდეს.

- ვთავაზობთ დიალოგის დასაწყისს და საშუალებას ვაძლევთ დაასრულონ იგი. მოსწავლეები აირჩევენ მათთვის სასურველ ვარიანტს და გაითამაშებენ მას.
- გამოკითხვის ჩატარება, ინტერვიუების ჩამორთმევა როგორც კლასში, ისე კლასის გარეთ ისეთ საკითხებზე, რომლებიც აქტუალურია და საინტერესო ამ ასაკის მოსწავლეებისათვის.
- თამაში-გამოძიება – მოსწავლეებს ვთავაზობთ აირჩიონ შესწავლილი ნაწარმოებიდან პერსონაჟი ან მოქმედების ადგილი ისე, რომ სხვამ ამის შესახებ არ იცოდეს. ერთი მოსწავლე ირჩევს, მეორე კი კითხვების დასმით ამოიცნობს მის არჩევანს. ეს თამაში საინტერესოა წყვილებში.

აქვე შევნიშნავთ, რომ მოსწავლეებს უნდა მივცეთ არჩევანის საშუალება როლური თამაშებისა თუ სიტუაციური ამოცანების გათამაშებისას. უნდა გავითვალისწინოთ მათი სურვილები და წინადადებები. ეს გაზრდის მოტივაციას და ისინი უფრო აქტიურად ჩაებმებიან სასწავლო პროცესში.

აქტივობები მონოლოგური მეტყველების გასავითარებლად (აღწერა, თხრობა, საკუთარი აზრის დასაბუთება)

- მოსწავლეთა წყვილებს ურიგდებათ ბარათები, რომლებზეც არის ურთიერთშემავსებელი ინფორმაცია. ნაკლული ინფორმაცია უნდა შეავსონ კითხვების დასმით. მაგალითად, რომელიმე ცნობილი პიროვნების ბიოგრა-

ფიული მონაცემები, რომელთა ერთი ნაწილი ერთ ბარათზე იქნება, მეორე ნაწილი – მეორეზე). მოსწავლეებმა ერთმანეთისთვის კითხვების დასმით უნდა შეავსონ ნაკლული ინფორმაცია. შემდეგ მიღებული ვარიანტები აჩვენონ ერთმანეთს და შეადარონ მთლიან ტექსტს.

- მოსწავლეებს დაურიგდებათ რამდენიმე სიუჟეტური ნახატი არეულად. მათ უნდა დაალაგონ ისინი თანამიმდევრობით და შეადგინონ პატარა ამბავი.
- მოსწავლეები იყოფიან გუნდებად. გუნდებს ურიგდებათ გამოცანები. ერთ-ერთი გუნდის წევრი მას ხმამაღლა და გარკვევით წაიკითხავს. სხვები ეცდებიან პასუხის გამოცნობას და საკუთარი პასუხის დასაბუთებას.
- მოსწავლეები ასრულებენ დაუსრულებელ ამბავს, ზღაპარს.
- მოსწავლეებს მიეწოდებათ ფურცლები, რომლებზედაც დახატული იქნება სხვადასხვა საგანი, ცხოველი, ადამიანი. თითოეული შეარჩევს და შემოხაზავს 7-8 ნახატს. გამოIგონებს მცირე ზომის ზღაპარს, რომელშიც იქნებიან შერჩეულ ნახატებზე გამოსახული "პერსონაჟები" (ამოცანის გასაადვილებლად მოსწავლეებს შევახსენებთ, რომ მათ უნდა გამოიყენონ ზღაპრის ფორმულები - *იყო და არა იყო რა, იყო. . .* და თხრობის ასაგებად აუცილებელი ელემენტები – *ერთ მშვენიერ დღეს. . . ამის მერე. . . შემდეგ . . . ბოლოს, ქატო იქა, ფქვილი აქა. . .*).

- მოსწავლეებს ვაჩვენებთ / მოვასმენინებთ სკეტჩს და მოვთხოვთ მის ამბად გადმოცემას.
- მოსწავლეებს დაურიგდებათ თითო ანდაზა (მაგ., დედა ნახე, მამა ნახე, შვილი ისე გამონახე). მათ უნდა მოიგონონ პატარა ამბავი, ისტორია, რომელიც ანდაზის არსს შეესაბამება.
- მოსწავლეთა (ნორჩ ჟურნალისტთა) მცირე ჯგუფები ამზადებენ გადაცემებს რადიოსათვის. მაგალითად, ამინდის პროგნოზს, სენსაციური ამბებს, ქრონიკას, ანეკდოტს, რეკლამას და სხვა).

კითხვა დაწყებით კლასებში

კითხვის აქტივობები სწავლების პირველ ეტაპზე

დაწყებით ეტაპზე კითხვის სწავლებისას გამოიყენება როგორც აღმავალი (ნაწილიდან მთელისაკენ, ასოდან სიტყვისაკენ), ისე მთლიანობითი, დაღმავალი (მთელიდან ნაწილისაკენ, სიტყვიდან ასოსკენ) მეთოდი.

აღმავალი მეთოდი ცნობილია მასწავლებლებისათვის. ამ მეთოდზეა აგებული იაკობ გოგებაშვილის «დედა-ენა». მთლიანობითი, დაღმავალი მეთოდის გამოყენების დროს მოსწავლეები დანაწევრება-დამარცვლის გარეშე

ცდილობენ სიტყვის ამოცნობას. ამისათვის ისინი იშველიებენ ინტუიციას, ილუსტრაციებს, ნაცნობ ასოებს, მიხვედრილობას. მას შემდეგ, რაც სიტყვას მთლიანობაში ამოიცნობენ, დააკვირდებიან და შეძლებისამებრ ამოიცნობენ და იმახსოვრებენ ასოებს.

სასურველია კლასში თვალსაჩინოდ იყოს გამოკრული სხვადასხვა ტიპის ბეჭდური მასალა (მაგალითად, ილუსტრირებული ანბანი, სურათები ქვეშ მიწერილი სიტყვებით, თანაკლასელთა ფოტოები ქვეშ მიწერილი სახელებითა და დაბადების თარიღებით და სხვა.). მასწავლებელი იმგვარად გეგმავს სასწავლო საქმიანობას, რომ მოსწავლეებმა სიტყვების ან ასოების ამოცნობისას გამოიყენონ ეს რესურსი, შეადარონ წარწერები ერთმანეთს, ნაცნობი ელემენტებით ამოიცნონ უცნობი ელემენტები. ამ გზით მოსწავლე კითხვის სტრატეგიებს ეუფლება და ეჩვევა დაბრკოლებების დამოუკიდებლად გადალახვას.

აუცილებელია განვასხვაოთ კითხვის ორი უნარი: კითხვის ტექნიკურ-მოტორული უნარ-ჩვევა (ხმამაღალი კითხვა) და წაკითხულის შინაარსის გაგების უნარი (ჩუმი კითხვა). თუ საწყის ეტაპზე უფრო დიდი დრო ეთმობა ხმამაღალ კითხვას, შემდგომ ეტაპზე თანდათან იზრდება ჩუმი კითხვის ხვედრითი წილი.

მასწავლებელმა უნდა გაითვალისწინოს ის, რომ კითხვის მოტივაციას აძლიერებს არჩევანის თავისუფლება: მოსწავლეს უნდა მიეცეს საშუალება აირჩიოს, რას წაIკითხავს, ასევე აირჩიოს მეწყვილე / ჯგუფი, რომელთან თანამშრომლობითაც გადაჭრის კითხვით ამოცანას.

გთავაზობთ კითხვის სხვადასხვა აქტივობას:

- ამოიცანი და დააკავშირე – არეულად ვაძლევთ ნასწავლ სიტყვებს და შესაბამის ნახატს. მოსწავლე დააკავშირებს სიტყვას შესაბამის ილუსტრაციასთან (წრფის გავლებით ან დანომვრით);
- მოსწავლეს ვაძლევთ სიტყვების სიას (ეს შეიძლება იყოს თანაკლასელთა სახელები, ნაცნობი ცხოველების, ფერების სახელწოდებები და სხვა). ვთხოვთ ამოიცნოს ერთ-ერთი სიტყვა, ვათქმევინებთ, თუ როგორ, რა ნიშნით ამოიცნო (ეს შეიძლება იყოს ნაცნობი ასოები, მარცვლები). თუ ცდება, დავაფიქრებთ შეცდომაზე, დავეხმარებით თვითონ აღმოაჩინოს შეცდომა;
- მოსწავლეს ვთხოვთ ამოცნობილ სიტყვაში ერთ-ერთი ასო გააფერადოს, ვთქვათ – წითლად, შემდეგ სხვა სიტყვებში ეძებოს და იმავე ფრად გააფერადოს იგივე ასო. შემდეგ გაფერადებულ ასოიანი ერთ-ერთი სიტყვის ამოცნობას ვთხოვთ. ამოცნობის შემდეგ იმავე სიტყვაში სხვა ასო უნდა ამოიცნოს და ა. შ.
- ასოზე ნადირობა – მოძრავი ანბანიდან ავირჩევთ ერთ-ერთ ნაცნობ ასოს, მოსწავლეებს მივცემთ რაიმე წიგნს და ვთხოვთ, იპოვოს ეს ასო გარკვეული რაოდენობით (ვინც ხალისით ეკიდება ასეთი ტიპის აქტივობებს, იმას მეტ რაოდენობას განვუსაზღვრავთ, ვისაც უჭირს – იმას ნაკლებს);

• ასოს დაკავშირება შესაბამის სურათთან (ასო უნდა გამოხატავდეს ნახატზე გამოსახული საგნის აღმნიშვნელი სიტყვის პირველ ასოს);

• ფოტოგრაფირება – მასწავლებელი ნასწავლ სიტყვებს ან უმარტივეს წინადადებებს დიდი ასოებით დაწერს ბარათებზე. კლასს რამდენიმე წამის განმავლობაში აჩვენებს ბარათს, მოსწავლემ უნდა ამოიცნოს, რა სიტყვა იყო. ასეთი აქტივობა ხელს უწყობს მხედველობის არის გაფართოებას, მოკლევადიანი მხედველობითი მეხსიერებისა და პროგნოზირების (ასოების წინასწარ ამოცნობის) უნარის განვითარებას;

• ტექსტში სიტყვების ამოცნობა – მოსწავლეებს ვთხოვთ იპოვონ და ხაზი გაუსვან ისეთ სიტყვებს, რომელთა ამოცნობაზე უკვე უვარჯიშიათ.

<u>წაკითხულის შინაარსის გაგება</u>

• წაიკითხე და დახატე / გააფერადე ან წაიკითხე და დაასრულე ნახატი;

• წაიკითხე და გამოიცანი – წინადადების შინაარსი ესადაგება მოცემული რამდენიმე ნახატიდან ერთ-ერთს. მოსწავლემ უნდა ამოიცნოს სურათი. უფრო რთული ვარიანტია წინადადების ნაცვლად პატარა ეპიზოდის შეთავაზება. რთულ ვარიანტს მივცემთ იმ მოსწავლეებს, რომელთაც კითხვა უადვილდებათ.

• წაიკითხე და გააკეთე – მოსწავლეებს (ან მოსწავლეთა ჯგუფებს) ურიგდებათ სათანადო მასალა, ისინი კითხულობენ რამდენიმე პუნქტად მოცემულ მარტივ ინსტრუქციას და ასრულებენ მას (ეს შეიძლება იყოს წიგნის მაკეტის დამზადება, პლასტელინისგან რაღაცის შექმნა და სხვა).

• იდუმალი ცხრილი – ცხრილის თითოეულ უჯრაში ისეა განთავსებული ასოები, რომ ჰორიზონტალურად, ვერ-ტიკალურად თუ დიაგონალურად მოსწავლისათვის ნაცნობი სიტყვებია ჩაწერილი. მოზარდმა უნდა იპოვოს იქვე, ცხრილის გვერდით, მითითებული სიტყვები. შეიძლება გართულებაც: მოსწავლემ უნდა იპოვოს სიტყვების მითითებული რაოდენობა (სიტყვების სია არ არის მოცემული). აქაც შეიძლება დიფერენცირება: შეიძლება სხვადასხვა დონის მოსწავლეს სხვადასხვა სირთულის ცხრილი მივცეთ ან – იგივე ცხრილი სხვადასხვა სირთულის დავალებით (მაგალითად, „ამოიცანი 3 სიტყვა ჰორიზონტალურ სვეტებში“ და „ამოიცანი 7 სიტყვა ჰორიზონტალურ და ვერტიკალურ სვეტებში“);

• წაიკითხე და იპოვე მართებული თანამიმდევრობა – მოსწავლეებს არეულად მივცემთ სიტყვის ასოებს ან წინადადების სიტყვებს და ვთხოვთ, ააწყონ;

• მოსწავლეებს გადაბმულად მივცემთ სიტყვებს ან წინადადებას და ვთხოვთ, რომ გამოყონ ისინი ერთმანეთისაგან ხაზის ჩამოსმით (მაგალითად, მშვენიერიდილაგათენდა);

• რომელი სიტყვაა ზედმეტი – მოცემულია სიტყვათა გროვა. მოსწავლემ ამ წყებაში უნდა ამოიცნოს ის სიტყვა, რომელიც განსხვავებულ სემანტიკურ ველს ეკუთვნის. (მაგალითად, კალამი, რვეული, მანქანა, წიგნი, ფანქარი);

• არეული კომიქსი – მოსწავლეებს არეული თანამიმდევრობით ვაძლევთ ტექსტიდან წინადადებებს და ამ წინადადებების შესატყვის სურათებს. მათ წინადადებები უნდა დაუკავშირონ შესაბამის სურათს;

• წაიკითხე და განასახიერე – მოსწავლეებმა უნდა გაIთამაშონ ის, რასაც წაიკითხავენ. შეიძლება ერთმა მოსწავლემ ხმის ტემბრის შეცვლით, შესაბამისი მიმიკით, ჟესტებითა და სხეულის მოძრაობით წარმოადგინოს რამდენიმე პერსონაჟი;

• გახლეჩილი ფრაზები – ორ სვეტში განლაგდება დახლეჩილი ფრაზების ნაწილები. მოსწავლეები დააკავშირებენ ერთმანეთთან შესატყვის ნაწილებს;

• არეული დიალოგი – ერთ სვეტში ერთი თანამოსაუბრის რეპლიკები განლაგდება, მეორე სვეტში – მეორის არეული თანამიმდევრობით. მოსწავლე ერთმანეთთან დააკავშირებს შესაბამის რეპლიკებს;

• ტექსტზე მუშაობა – შიგადაშიგ შეიძლება მოსწავლეებს წასაკითხად მივცეთ თხრობითი ხასიათის მცირე მოცულობის ტექსტები. შედეგი გაცილებით შთამბეჭდავია, როცა

მოსწავლეები აქტიურობენ და იძენენ ტექსტის დამოუკიდებლად დამუშავების უნარ-ჩვევებს.

პირველ რიგში მოსწავლეთა ყურადღება უნდა წარმართოთ ზოგად შინაარსზე. წასაკითხი ტექსტის მიმართ ინტერესის გასაღვივებლად საშუალებას მივცემთ, სათაურსა და ილუსტრაციებზე დაყრდნობით გამოთქვან ვარაუდები ამ ტექსტის შესაძლო შინაარსზე. შემდეგ ვთხოვთ ჩუმად წაIკითხონ, რომ შეამოწმონ ვარაუდები. პირველი წაკითხვის შემდეგ შევაჯერებთ კითხვის შედეგებს – შევეკითხებით, ვინ რა გაიგო, ვისი ვარაუდი გამართლდა, რა იყო მოულოდნელი, დაფაზე ჩამოვწერთ ურთიერთშემავსებელ ინფორმაციებს, მოსწავლეებს მივცემთ საშუალებას დაასაბუთონ თავიანთი მოსაზრებები შინაარსის შესახებ, განმარტონ უცნობი სიტყვები, მიუბრუნდნენ ტექსტის ამა თუ იმ მონაკვეთს საკუთარი აზრისა თუ სიტყვის მნიშვნელობის გადასამოწმებლად, აღმოაჩინონ, რაში შეცდნენ. მიღწეული შედეგების გათვალისწინებით დავუსახავთ ახალ ამოცანას, ისევ ზოგად შინაარსისა ან უფრო კონკრეტული ინფორმაციის ამოსაცნობად (პერსონაჟები, მათი ურთიერთობა – მტრული / მეგობრული, მოვლენები, მოქმედებები და სხვა). შეიძლება გამოვიყენოთ ეგრეთ წოდებული *პაუზებით კითხვის* ტექნიკა: ტექსტს ვყოფთ რამდენიმე მონაკვეთად, თითო მონაკვეთად წაკითხვის შემდეგ ვარაუდებს გამოვთქვამთ შემდეგ მონაკვეთზე. ასეთი კითხვის მეთოდით შენარჩუნდე-

ბა მოსწავლის დაინტერესება (პაუზებით კითხვა უფრო სრულად იხ. წიგნის მომდევნო ნაწილებში).

ზემოთ ჩამოთვლილი აქტივობები ძირითადად გააზრებული კითხვის უნარ-ჩვევების განვითარებას უწყობს ხელს. რაც შეეხება კითხვის ტექნიკურ-მოტორულ უნარ-ჩვევას, უნდა ითქვას, რომ ხმამაღლა კითხვაში გაწაფვა საკმაოდ მოსაბეზრებელი პროცესია ბავშვებისათვის. მოტივაციის ასამაღლებლად შეიძლება სხვადასხვა ხერხის გამოყენება, კერძოდ:

• კონკურსების მოწყობა – მოსწავლეთა შეფასება ან უბრალოდ წახალისება შეიძლება სხვადასხვა პარამეტრის მიხედვით: მაგალითად, ყველაზე სწრაფი მკითხველი, ყველაზე კარგი გამოთქმის მქონე, უშეცდომოდ მკითხველი, ყველაზე ექსპრესიული მკითხველი, ყველაზე მონდომებული, ყველაზე შესამჩნევი წინსვლის მქონე (ამ პარამეტრით შეიძლება დაჯილდოვდეს ის მოსწავლეც, რომელიც სხვებზე ცუდად კითხულობს, მაგრამ შესამჩნევად გააუმჯობესა კითხვა);

• მოსწავლეებს რიგრიგობით მივცემთ ტექსტებს და ვთხოვთ მოემზადონ, რათა შემდეგ კლასის ერთ ჯგუფს ან მთელ კლასს უკარნახონ იგი. კარნახის მიზანი შეიძლება იყოს სხვადასხვა: მოსმენილი ტექსტიდან ინფორმაციის ამოცნობა, დახატვა, კარნახით წერა. მოსწავლეებს იმდენად სიამოვნებთ და ეამაყებათ ასეთი ფუნქციის შესრულება, რომ განსაკუთრებული მონდომებით ვარჯიშობენ ტექსტის ხმამაღლა კითხვაში. აუცილებელია ასეთი როლი მივცეთ იმ მოსწავლეებსაც, რომელთაც კითხვა ძალიან უჭირთ. ცხადია, მათთვის შედარებით მარტივ ტექსტს შევარჩევთ და კითხვითი ამოცანის დაძლევაში ინდივიდუალურად დავეხმარებით, რათა წარმატებულად შეასრულონ მოკარნახის როლი. ეს აამაღლებს მათს მოტივაციას და საკუთარი თავის რწმენას განუმტკიცებს.

• ურთიერთსწავლება – დავაწყვილებთ კითხვაში ძლიერ მოსწავლეს სუსტთან. მივცემთ ტექსტს (სიტყვებს ან წინადადებას მათი შესაძლებლობების გათვალისწინებით) და ძლიერს, ანუ მასწავლებელს, ვთხოვთ მოამზადოს თავისი მოწაფე კონკურსისთვის. დრო განსაზღვრული იქნება, ვთქვათ 5 წუთი. შემდეგ ისევ სხვადასხვა პარამეტრის მიხედვით შევაფასებთ წყვილების მუშაობის შედეგებს.

• დიალოგური ტექსტების გამომეტყველებით წაკითხვა – წყვილები მოემზადებიან და თანაკლასელთა წინაშე გამომეტყველებით წაიკითხავენ დიალოგურ ტექსტს.

სწავლების ამ ეტაპზე მეტად მნიშვნელოვანია ვასწავლოთ მოსწავლეებს კითხვის სტრატეგიები.

მოსწავლემ რომ შეძლოს კითხვის სხვადასხვა სახეობის (მაგალითად, გაცნობითი, შესწავლითი, ძიებითი) ადეკვატურად გამოყენება, მან პირველ რიგში უნდა გააცნობიეროს რომ არსებობს კითხვის სხვადასხვა მიზანი და ამ მიზნის

შესაბამისი სხვადასხვა მიდგომა (კითხვის მიზნებისა და სახეობების შესახებ უფრო დაწვრილებით წიგნის შემდეგ ნაწილებში ვისაუბრეთ).

სანამ კითხვის სტრატეგიებს ვასწავლიდეთ, სასურველია, კითხვარის საშუალებით დავადგინოთ, როგორ კითხულობს ბავშვი. მაგალითად:

როგორ იქცევი, როცა მოგეთხოვება უცნობი ტექსტის გაგება და მასში გადმოცემული ამბის გაგება?

1. ტექსტის წაკითხვისას ყველაფრის გაგებას ვცდილობ.
– კი / არა.

2. ვაკვირდები ნახატებს, სურათებს, რომ რაღაც აზრი გამოვიტანო ტექსტის შინაარსის შესახებ.
– კი / არა.

3. შემხვდება თუ არა უცნობი სიტყვა, ვჩერდები და მასწავლებელს ვეკითხები, რას ნიშნავს.
– კი / არა.

4. ვცდილობ გავარკვიო სათაურის მნიშვნელობა და ვარაუდები გამოვთქვა ტექსტის შინაარსის შესახებ.
– კი / არა.

5. ორჯერ ვკითხულობ ტექსტს მთლიანად.
– კი / არა.

6. პირველ რიგში ვცდილობ გავიგო ტექსტის ზოგადი შინაარსი.
– კი / არა.

7. ზოგადი შინაარსის გაგების შემდეგ ვცდილობ გამოვიცნო უცნობი სიტყვების მნიშვნელობები.
– კი / არა.

II. ზემოთ ჩამოთვლილი ხერხებიდან რომელი გაგიადვილებს ტექსტის გაგებას?

III. ხელშემწყობი ხერხები განალაგე რიგის მიხედვით: რა რის მერე უნდა გააკეთო, რომ წაკითხული ტექსტი გაიგო.

შეიძლება მოსწავლეებს ტექსტის წაკითხვის შემდეგ ვთხოვოთ აღწერონ, როგორ მოიქცნენ დასმული ამოცანის დასაძლევად და შემდეგ ვიმსჯელოთ იმის დასადგენად, თუ რომელი გზა იყო ოპტიმალური.

წერა დაწყებით კლასებში

საწყის ეტაპზე არ არის რეკომენდებული წერის სისტემური სწავლება. იგი დაიყვანება ასოებისა თუ სიტყვების „გადმოხატვაზე“. ამ სახის წერითმა სავარჯიშოებმა ხელი უნდა შეუწყოს კითხვის უნარის გაუმჯობესებას, ასოების დამახსოვრებას.

იმისათვის, რომ წერის სწავლის საკმაოდ რთული და შრომატევადი პროცესი გახალისდეს, შეიძლება გამოვიყენოთ შემდეგი აქტივობები:

- ასოების გამოსახვა ხელების პლასტიკური მოძრაობით ან მთელი სხეულით;
- ასოების გამოსახვა ძაფით, ზონრით, პლასტელინით, მავთულით ან სხვა მასალით;
- ასოების დახატვა ფურცელზე, ქვიშაზე, თოვლზე, პატარა დაფებზე;
- ასოების ტრაფარეტების მოხაზვა, გამოჭრა და გაფერადება;
- ქართული ანბანის ასოების გაფერადება და ცალკეული ასოსათვის ასოციაციურად რომელიმე საგნის ფორმის მიცემა;
- ავტორის ხელმოწერა – ნახატზე საკუთარი სახელის გადმოხატვა;

- ნახატის დასათაურება – სახატავ რვეულში ცალკეული სიტყვების გადმოხატვა.

შემდგომ ეტაპზე იწყება წერის სისტემური სწავლება. ამ ეტაპზე წერის მთავარი დიდაქტიკური ფუნქციაა წერის საშუალებით კითხვის უნარის გაუმჯობესება.

პირველ რიგში გამოსაწერად ვაძლევთ ასოებს, სიტყვებსა და წინადადებებს. სასურველია, გამოსაწერად გამოვიყენოთ ნაცნობი ლექსიკა, შევარჩიოთ შედარებით მარტივი სიტყვები და მოკლე წინადადებები, რომლებზეც ვარჯიშობს კითხვაში ზემოთ მოცემული აქტივობებით.

სასურველია, მოსწავლეებს საკლასო ოთახში კედელზე გაკრული ანბანის გარდა ჰქონდეთ საკუთარი ანბანი, რომელშიც ყოველ ჯერზე წინასწარ ამოიცნობენ იმ ასოს, რომლის გამოწერაც დაევალებათ, გამოწერის შემდეგ კი საკუთარ ანბანში გააფერადებენ შესაბამის ასოს. თანდათანობით გაიზრდება გაფერადებულ ასოთა რაოდენობა და ეს გათვალსაჩინოებული წინსვლა გაზრდის მოსწავლის მოტივაციას.

იმისათვის, რომ წერამ და კითხვამ მართლაც შეუწყოს ხელი ერთმანეთს, სასურველია, ხშირად მივცეთ ისეთი დავალებები, რომლებშიც მათ ერთი და იმავე ენობრივი მასალის კითხვაც მოუწევთ და წერაც.

გთავაზობთ სხვადასხვა ტიპის აქტივობებს:

- სიტყვებში გამოტოვებული ასოების ჩაწერა;

• სურათების დასათაურება – მას მერე, რაც მოსწავლე ამოიცნობს სიტყვების / წინადადებების შესაბამისობას ნახატებთან, ვთხოვთ ნახატებს მიუწეროს შესაბამისი სიტყვები / სათაურები;

• არეული თანამიმდევრობა – მას მერე, რაც მოსწავლეები ამოიცნობენ სიტყვების / წინადადებების მართებულ თანამიმდევრობას, ვთხოვთ, რომ ეს სიტყვები / წინადადებები დაწერონ;

• მოცემულ სიტყვათა გროვიდან წინადადებების აგება და დაწერა;

• კროსვორდის შევსება ისეთი სიტყვებით, რომელთა ამოკითხვაშიც ივარჯიშეს;

• სიების შედგენა – მოსწავლეს არეულად მივცემთ სხვადასხვა სემანტიკური ველის სიტყვებს, ვთქვათ, სამოსის, ცხოველების, სათამაშოების სახელებს, ვთხოვთ, რომ ამოიცნონ, ჯგუფების / რუბრიკების მიხედვით გადაანაწილონ და ჩამოწერონ სიტყვები;

• წინადადების დასრულება 1 (არჩევანის გზით) – მოსწავლეს ვაძლევთ დაწყებულ ფრაზას და დასრულების ალტერნატიულ ვარიანტებს. იგი ირჩევს სასურველ ვარიანტს და ფრაზას დაასრულებს (მაგალითად, *ყვავილებს შორის ყველაზე მეტად მიყვარს* ---------- *(მივცემთ ყვავილების სახელწოდებათა ჩამონათვალს);*

• წინადადების დასრულება 2 – წინადადებას დაასრულებს წაკითხული ტექსტის საფუძველზე (შინაარსის მიხედვით);

• კითხვებზე პასუხის გაცემა წაკითხული ტექსტის შინაარსის მიხედვით;

• წინადადების დასრულება ნახატების მიხედვით – ფურცელზე წერია წინადადების დასაწყისი, ხოლო დასასრული მოცემულია ნახატებით; ბოლო ვარიანტი შეიძლება თვითონ ამ მოსწავლეს ან მის მეწყვილეს ეხებოდეს, მოსწავლეები თვითონ დახატავენ და იმის მიხედვით დაასრულებენ ფრაზას;

• აწყობილი ტექსტის გადაწერა – მას შემდეგ, რაც მოსწავლეები არეულ წინადადებებს შესაბამის სურათებს დაუკავშირებენ (იხ. ზემოთ არეული კომიქსი), სწორი თანამიმდევრობით გადაწერენ მას.

• საფოსტო ყუთი – კლასში დავკიდებთ საფოსტო ყუთს, რომელშიც მასწავლებელი და თანაკლასელები ერთმანეთს მისწერენ მარტივ ბარათებს. ამ აქტივობის გამოყენება შეიძლება მაშინვე დავიწყოთ, როცა მოსწავლეები საკუთარი და თანაკლასელთა სახელების დაწერას ისწავლიან. მაგალითად, პირველი ბარათი ასეთი იქნება:

– გამარჯობა ----------, *როგორ ხარ?*

– ნახვამდის!

მოსწავლეებს საოცრად ახალისებთ ყუთში მათ სახელზე დაწერილი თუნდაც შინაარსობრივად უმნიშვნელო წერილების მოძებნა.

- წინადადებების შედგენა სურათების მიხედვით;
- ორმაგი კარნახი – მასწავლებელი კარნახობს, თუ რა უნდა დახატოს მოსწავლემ, შემდეგ კარნახობს, რა წარწერა გაუკეთოს (მაგ., ფურცლის შუაში დახატე მზე, დაწერე წინადადება: *მზე ანათებს);*
- ასოციაციური კარნახი – მოსწავლე წერს ნაკარნახევ სიტყვას და მას მიუწერს იმ სიტყვას, რომელიც ასოციაციურად გაახსენდება;
- კარნახი – ერთი მოსწავლე კარნახობს სხვებს ან ერთი მოსწავლე – თავის მეწყვილეს. ასეთ შემთხვევაში შეიძლება მოსწავლეებს მივცეთ ტექსტის არჩევანის საშუალება – ეს გაზრდის მათს მოტივაციას;
- წიგნების შექმნა – მოსწავლეებს ურიგდებათ "ცარიელი წიგნი", რომლისგანაც ისინი, სურვილის მიხედვით, შექმნიან თემატურად ერთგვაროვან (ცხოველების, საკუთარი სახლების, სათამაშოების და სხვათა შესახებ) ან არაერთგვაროვან წიგნებს. ამ წიგნებს, გავლილი მასალის შესაბამისად, თანდათანობით შეავსებენ. მასში გავლილი მასალიდან ჩაწერენ ხოლმე იმას, რაც თვითონ უნდათ, ჩახატავენ, გააფერადებენ, გააფორმებენ. შეიძლება წიგნების შექმნა წაკითხული მოთხრობის მიხედვითაც. მოსწავლეთა ინტერესსა და მოტივაციას ამგვარი საქმიანობის მიმართ

აამაღლებს მათ მიერ შექმნილი წიგნების საკლასო ან თუნდაც სასკოლო გამოფენების მოწყობა.

ასეთი ტიპის აქტივობები საინტერესო და შედეგიანია იმიტომაც, რომ ბავშვი ხედავს თავისი შრომის ნაყოფს, შესაძლებლობა ეძლევა საკუთარი ინიციატივით იმოქმედოს, საკუთარი შემოქმედება გაუზიაროს სხვებს, თავისი რიტმისა და შესაძლებლობების შესაბამისად იმუშაოს.

წერის სწავლების შემდგომ ეტაპზე ზემოთ შემოთავაზებული აქტივობები ნაკლებად, თუმცა ისევ გამოიყენება, განსაკუთრებით იმ მოსწავლეებისათვის, რომლებსაც ჯერ კიდევ აქვთ წერა-კითხვის ტექნიკურ-მოტორულ უნარ-ჩვევებთან დაკავშირებული პრობლემები. წინა საფეხურთან შედარებით მეტ ადგილს დაიკავებს პროდუცირება, ტექსტების არა უბრალოდ გადმოწერა, არამედ შექმნა. მოსწავლეებს მოუწევთ სტანდარტით გათვალისწინებული სხვადასხვა ტიპის ტექსტის შედგენა. შეიძლება ითქვას, რომ წერა-პროდუცირება ამ ეტაპზე იწყება, შესაბამისად, მნიშვნელოვანი ხდება მოსწავლის აღჭურვა წერის სათანადო სტრატეგიებით (ამ სტრატეგიებზე ვრცლად ვისაუბრებთ წიგნის მომდევნო ნაწილებში).

მშობლიური ენის სწავლების საკითხები საბაზო და საშუალო სკოლაში

მ ო ს მ ე ნ ა

მოსმენა უმნიშვნელოვანესი საკომუნიკაციო პროცესია. სასკოლო დღის უმეტეს ნაწილს მოსწავლე მოსმენაში ატარებს და მისი ცოდნის დიდი წილი მოსმენის გზით არის მიღებული. ძალზე მნიშვნელოვანია, მოსწავლეს სკოლაში ჰქონდეს იმის საშუალება, რომ მიზანმიმართულად ივარჯიშოს მოსმენის უნარის განვითარებაში.

მოსმენა ენის გამოყენებისა და ფიქრის უნარს საჭიროებს, ამიტომ ნაყოფიერი მოსმენის უნარი ვითარდება მოსწავლის ენობრივი უნარების განვითარებასა და გონებრივ მომწიფებასთან ერთად.

აქტიური მოსმენის გამოცდილება ყალიბდება ყოველდღიური სამეტყველო საქმიანობით. მოსწავლეები იაზრებენ მოსმენის მნიშვნელობას გაკვეთილებზე და განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ის გონივრულად არის ინტეგრირებული ზეპირმეტყველებასთან, წერასა და კითხვასთან.

მოსწავლეები ხდებიან აქტიური მსმენელები, როდესაც:

- გააზრებულად უსმენენ ორატორს იმ განზრახვით, რომ დაუყოვნებლივ გამოიყენონ ან შეაფასონ აზრები / ინფორმაცია;

- უნდათ მათთვის მნიშვნელოვანი ინფორმაციის წერილობით ჩანიშვნა, რათა შემდგომ დაეყრდნონ მას;
- არიან საუბრის მონაწილენი და შეუძლიათ გამოხატონ თანხმობა ან დასვან შეკითხვები;
- უნდათ ორატორისათვის დასასმელი შეკითხვის ჩამოყალიბება;
- უნდა შეაფასონ ორატორის მიერ გამოთქმული იდეები, განსაზღვრონ მისი გამოსვლის მოტივი, გამიჯნონ ერთმანეთისაგან ფაქტი და თვალსაზრისი.

წარმატებული მსმენელის დახასიათება

წარმატებული მოსმენა გულისხმობს მსმენელის მონაწილეობას მოსმენის პროცესში. წარმატებულ მსმენელს სურს გაიგოს, რა ითქვა და ამისათვის ყურადღებას აქცევს მოსაუბრის როგორც ვერბალურ, ისე არავერბალურ ენას. იგი ადეკვატურად რეაგირებს იმაზე, რაც ითქვა და ხელს უწყობს ინფორმაციის ნაყოფიერ გაცვლას. მოსმენის პროცესში მსმენელის აქტიურობა და ნაყოფიერი მონაწილეობა დამოკიდებულია მოსაუბრის მიერ გამოყენებული თემის წინასწარ ცოდნაზე.

წარმატებულ მსმენელებს შეუძლიათ:

- მოსმენის პროცესის, როგორც ცოდნის მიღების საშუალების, შეფასება;
- მოსმენის მიზნების განსაზღვრა (მაგალითად, ინფორმაციის მიღება, ორატორის გამოსვლის შეფასება, პასუხის / კონტრარგუმენტების მომზადება და სხვა);
- ორატორის წინაშე პასუხისმგებლობის გაცნობიერება და იმგვარად მოსმენა, რომ მას ხელი არ შეეშალოს;
- კონცენტრირება და ყურადღების მობილიზება;
- უკუკავშირის დამყარება ორატორთან (მაგალითად, განმარტებათა ფორმულირებების დაზუსტება, შეკითხვების დასმა და სხვა);
- რეაგირება / პასუხის მომზადება იმაზე, რასაც ორატორი ამბობს;
- ორატორის ნათქვამის არსისა და მოტივის შეფასება;
- მოსაუბრის მიზნისა და მისი გამოსვლის გეგმის გააზრება;
- გამოთქმულ მოსაზრებათა თანამიმდევრულობის დადგენა და შეფასება;
- დაკვირვება მოსაუბრის არავერბალურ სიგნალებზე (მაგალითად, გაღიმება, მოღუშვა, სხვადასხვა ჟესტი

და ა.შ.), მათი ინტერპრეტაცია და გამოყენება ორატორის მიერ გადმოცემული აზრის უკეთ გასაგებად;
- ორატორის მთავარი აზრის / აზრებისა და დამხმარე დეტალების ამოცნობა;
- ფაქტის განსხვავება თვალსაზრისისაგან;
- ლირიკული გადახვევის, სტერეოტიპულობის, პროპაგანდისტული ხერხის, იუმორის ამოცნობა.

მოსმენის პროცესი თავისი ბუნებით შექცევითია: მოსწავლეებს შეიძლება ესმოდეთ მოსაუბრის მიერ წარმოთქმული ბგერები, სიტყვები, ფრაზები და ჰქონდეთ უნარი, თუ სიტყვასიტყვით არა, მიახლოებით მაინც გაიმეორონ მოსმენილი (*სიტყვასიტყვითი მოსმენა*); შეიძლება მოსწავლეებმა მოსმენის პროცესშივე გაიაზრონ მოსმენილის შინაარსი, თვალი გაადევნონ მის სტრუქტურას, გასცენ პასუხი მას შემდეგ, რაც გაიხსენებენ საუბრის ძირითად მომენტებს (*ინტერპრეტაციული მოსმენა*); მოსმენის კიდევ უფრო მაღალი დონე იქნება, თუ მოსწავლეები შეაფასებენ მოსმენილს, გააკეთებენ დასკვნებსა და შეძლებენ მის სხვადასხვაგვარ ინტერპრეტაციას (*კრიტიკული მოსმენა*).

მოსმენის დონეს განსაზღვრავს მოსმენის მიზანი, მოსასმენის შინაარსი (კონტექსტი) და თვით მოსწავლის დონე. ქვემოთ მოცემული სქემა ასახავს მოსმენის სამ

დონეს: *სიტყვასიტყვითს, ინტერპრეტაციულს და კრიტიკულს*, აქვე მოცემულია ის ფაქტორები, რომლებიც განაპირობებენ მოსმენის უნარს თითოეულ დონეზე.

მოსმენის უნარის განვითარების დონეები

მოსმენის დონე	მოსმენის დონის მახასიათებლები	ფაქტორები, რომლებიც გავლენას ახდენენ მოსმენაზე
სიტყვასიტყვითი დონე (მოსმენა, მიღება, ყურის დაგდება)	• ფიზიკური, ანუ მექანიკური აღქმა (ბგერებისა და სიტყვების, ვერბალური ან არავერბალური სიგნალების და სხვა); • პროცესში ჩართულია სმენა. მოითხოვს მსმენელისაგან ყურადღების ფოკუსირებას ორატორის ვერბალურ და არავერბალურ ენაზე; მოითხოვს სურვილსა და დიდ ძალისხმევას მსმენელისაგან.	• ფიზიკური ფაქტორები (მაგალითად, დანაკარგები მოსმენისას, ჰიპერაქტიურობა, ყურადღებით ყოფნის შეზღუდული ინტერვალები, წუნარად ჯდომის უნარის უქონლობა, ყურადღების ადვილად გაფანტვა); • ფიზიკური გარემო (მაგალითად, რამდენად კომფორტულია ფიზიკური გარემო მსმენელისათვის, მსმენელის მდებარეობა მოსაუბრის მიმართ და ა.შ.); • ემოციური და ფსიქოლოგიური ფაქტორები (მაგალითად, აქვს თუ არა ნდობა მოსაუბრის მიმართ, მსმენელის თვით-შეფასება და ა.შ.).
ინტერპრეტაციის დონე (გახსენება, რეაგირება / პასუხი)	• მსმენელები ჩართულნი არიან, თუკი ისინი მნიშვნელოვნად თვლიან მოსასმენს ან მოსუბრეს. • ეს დონე დამოკიდებულია საკითხის წინასწარ ცოდნაზე, მოსაუბრის ენაზე, შინაარსზე და ასევე იმაზე, რამდენად ემთხვევა მსმენელის გონებაში არსებული სტრუქტურა მოსაუბრის გამოსვლის სტრუქტურას. • მსმენელის გონებაში ინფორმაცია ინახება შერჩევით სხვა დროს აღსადგენად და გამოსაყენებლად.	• არასაკმარისი ენობრივი განვითარება: შეზღუდული ლექსიკა, რომელიც ართულებს მსმენელისათვის სხვისი ნათქვამიდან აზრის გამოტანას; • მეტყველება დაბალ ხმაზე, რაც ზღუდავს გადმოცემას და შესაბამისად, მოსმენის შესაძლებლობას.
კრიტიკული დონე (რეაგირება / პასუხი, დასკვნების გაკეთება, შეფასება)	• მსმენელი აკეთებს დასკვნებს, რაც ორატორის კრიტიკული აზროვნების მეშვეობით აზრების ინტერპრეტაციის შედეგია. • მსმენელის მიერ მოსმენილისა და მოსაუბრის შეფასება ეყრდნობა დასკვნებსა და ინტერპრეტაციას.	• ნათქვამის არსის მნიშვნელოვნებისა და ღირებულების აღქმა-გააზრება; • მსმენელისა და ნა-თქვამის არსის მიმართ წინასწარ შექმნილი აზრისა და დამოკიდებულების არსებობა; • ახალი აზრებისა და წინა ცოდნის დაკავშირების უნარის უქონლობა; • მოსმენილის გადამუშავების უნარის უქონლობა.

იმისათვის, რომ მოსწავლეებს დავეხმაროთ საკუთარი მოსმენის ჩვევების და უნარების გაცნობიერებაში, ერთ-ერთი საშუალებაა შევავსებინოთ "მოსმენის სტრატეგიის კითხვარები". "კითხვარი" აწვდის ინფორმაციას **მოსწავლეებს** მათივე მოსმენის უნარების შესახებ, ხოლო **მასწავლებლებს** აცნობს მოსწავლეთა სასწავლო მოთხოვნილებებს. ეს კი მათ აძლევს შესაბამისი სასწავლო მეთოდებისა და სტრატეგიების არჩევის შესაძლებლობას.

"კითხვარი" ან "აღწერა" მოსწავლეებმა შეიძლება ინდივიდუალურად შეავსონ, მისი გამოყენება შესაძლოა სტრუქტურირებული ინტერვიუს სახით მოსწავლეთა წყვილებშიც. ამ თემაზე დისკუსიების მოწყობა წყვილებში, მცირე ჯგუფებსა ან მთელ კლასში ასევე სასარგებლო საქმიანობაა მოსმენის უნარის გაკონტროლების თვალსაზრისით. როდესაც მოსწავლეები საუბრობენ იმაზე, რაც მათ იციან თავიანთი მოსმენის უნარების შესახებ, ისინი უკეთ აცნობიერებენ წარმატებული მსმენელის რაობას.

1. თუ მოსმენისას სირთულეს ვაწყდები, მე _____

2. როდესაც სირთულეს ვაწყდები ორატორის / მოსაუბრის აზრის გაგებისას, მე _____

3. როდესაც ორატორის / მოსაუბრის ძირითად აზრს ვეთანხმები, მე, ჩვეულებრივ, _____

4. როდესაც ორატორის / მოსაუბრის ძირითად აზრს არ ვეთანხმები, მე, ჩვეულებრივ, _____

5. კონკრეტულ სიტუაციაში ჩემი, როგორც მსმენელის, პასუხისმგებლობაა _____

6. როდესაც ვუსმენ ვინმეს საუბარს, ძირითადი აზრის გასაგებად ვეხმარები ჩემს თავს იმით, რომ _____

7. ყველაზე მნიშვნელოვანი, რაც მოსმენის შესახებ ვიცი, არის ის, რომ _____

მოსმენის პროცესი

მოსმენა რთული პროცესია, რომელშიც მსმენელი / მსმენელები და მოსაუბრე თავიანთი გამოცდილებისა და ცოდნის ფარგლებში ამყარებენ ურთიერთობას. იმისათვის, რომ მოსწავლეები ჩამოყალიბდნენ წარმატებულ მსმენელებად, მათ სჭირდებათ მოსმენის სხვადასხვა სტრატეგია და იმ ფაქტორების ცოდნა, რომლებიც გავლენას ახდენენ მოსმენაზე, განსაზღვრავენ მოსმენის დონესა და პროდუქტიულობას.

უპირველეს ყოვლისა, მოსმენაზე გავლენას ახდენს მოსმენის მიზნების წინასწარ ცოდნა. ეს ზრდის მოსწავლეთა მოტივაციას და მიზანმიმართულს ხდის მათს საქმიანობას.

- როდესაც მოსწავლეები მოსმენის მიზნებს ადგენენ, ისინი აქტიურ მსმენელებად იქცევიან, რომლებიც რადაცას კი არ უსმენენ, არამედ ისმენენ *რაღაცისათვის*. ეს აძლიერებს გაგებას და ახანგრძლივებს გაგებულის გამოყენების დროს. თავიდან მასწავლებელი უნდა დაეხმაროს მოსწავლეებს მოსმენის მიზნების დადგენაში.
- ის მოსწავლეები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს მოსმენის მიზნების დადგენაში, უფრო მოწადინებული მსმენელები არიან, რადგან მყარად იციან, რას მოელიან.

- მოსმენის მიზნების დადგენა მასწავლებელს ეხმარება მოსწავლეთა მონაწილეობისა და მათ მიერ მასალის ათვისების / გაგების შეფასებაში.

მოსმენის მიზნები შეიძლება იყოს:

- ცოდნისა და ინფორმაციის შეგროვება;
- მითითებების / ინსტრუქციების მიყოლა;
- დისკუსიაში მონაწილეობა;
- ინფორმაციის ინტერპრეტირება და ანალიზი;
- მოსმენილის შესახებ აზრის ჩამოყალიბება / მსჯელობა;
- შეფასება;
- სასარგებლო რჩევების მიღება;
- აზრების დაზუსტება;
- აზრების, გრძნობებისა და ინფორმაციის გაზიარება;
- მთავარი აზრის / თემისა და დამხმარე დეტალების დადგენა;
- იმის განსაზღვრა, თუ რომელია ფაქტი და რომელი – მოსაზრება;
- ლირიკული გადახვევების, იუმორის, პროპაგანდისტული ელემენტების დადგენა და მათი ეფექტურობის შეფასება.

მოსწავლეები უფრო კარგად განივითარებენ მოსმენის უნარს, როდესაც მოსმენა ინტეგრირებულია ზეპირმეტყველებით, წერით და კითხვით საქმიანობებთან და როდესაც იგი ამგვარად არის სტრუქტურირებული: **მოსმენამდე, უშუალოდ მოსმენისა და მოსმენის შემდგომი საქმიანობები.**

მოსმენამდე ეტაპი

პროდუქტიული მოსმენა მოითხოვს, რომ მოსწავლეები წინასწარ იყვნენ მომზადებულნი იმისათვის, რაც უნდა მოისმინონ. მოსმენამდე ეტაპი ამზადებს მოსწავლეს იმისათვის, რომ მან მოისმინოს არა სიტყვასიტყვით, არამედ ინტერპრეტაციულ და კრიტიკულ დონეზე.

მოსმენამდე ეტაპის მიზნებია:

მოსწავლეებში ინტერესის გაღვიძება და მათი მოტივირება, რათა მათ გულისყურით მოისმინონ.

- როდესაც მოსწავლეებს შეუძლიათ მოსმენილი დაუკავშირონ საკუთარ ცხოვრებას, გამოცდილებას, ისინი უფრო კარგად არიან მზად აქტიური მოსმენისათვის.
- მოსმენამდე მასწავლებლებმა უნდა შექმნან მოსმენისათვის ხელშემწყობი გარემო (მაგალითად, ოთახი, სადაც არის მოტივაციისა და ინტერესის აღმძვრელი ვიზუალური მასალა, მოსახერხებლად განლაგებული სკამები და

მაგიდები ისე, რომ ყველას ჰქონდეს საშუალება, უცქიროს მოსაუბრეს / ორატორს.
- ხშირად მოზარდები საკუთარ თავზე არიან ფოკუსირებულები და პირადი მოთხოვნილებები განაპირობებს მათი მოტივაციის დონეს. მოსმენამდე საქმიანობაში ჩაბმის გზით მოსწავლეებს ეძლევათ ამ მოთხოვნილებების გამოვლენის საშუალება. მათი გათვალისწინების შემთხვევაში მასწავლებელს შეუძლია მოსწავლეებს გაუღვივოს საუბრის თემის მიმართ ინტერესი და ისინი იქცნენ კეთილგანწყობილ, მონდომებულ, აქტიურ მსმენელებად (მაგალითად, მოსმენამდე მასწავლებელი მოსწავლეებს აცნობს საუბრის თემას და მიმართავს შეკითხვით: ამ თემასთან დაკავშირებით რის გაგება გსურთ / გაინტერესებთ? ან გიფიქრიათ ოდესმე ამ თემაზე?).

მოსწავლეებში თემატური, ე.წ. ფონური და ლინგვისტური ცოდნის გააქტიურება ან დაგროვება.

- მნიშვნელოვანია, რომ მოსწავლეს შეეძლოს დაუკავშიროს ერთმანეთს ის, რაც უკვე იცის, და მოსაუბრის ნათქვამის შინაარსი.
- როდესაც გააქტიურდება ის, რაც მოსწავლეებმა უკვე იციან საუბრის თემის შესახებ, მოსწავლეები იწ-

ყებენ პროგნოზირებას, რა შეიძლება მოისმინონ. პროგნოზირებასთან ერთად ისინი ცდილობენ კიდევ უფრო ჩაუღრმავდნენ საკუთარ თავს და გაიხსენონ ყველაფერი, რაც ამ საკითხთან დაკავშირებით იციან, ან ჰგონიათ, რომ იციან.

- მოსწავლეებს მოსმენამდე ვაწვდით / ვაცნობთ სასაუბრო მასალის ძირითად ცნებებსა და ლექსიკას.

უშუალოდ მოსმენის ეტაპი

იმ მსმენელებს, რომლებიც აქტიურად მონაწილეობენ მოსმენის პროცესში, შეუძლიათ მოსაუბრის ვერბალური შეტყობინებისა და არავერბალური სიგნალების ინტერპრეტაცია და უკეთ აყალიბებენ აზრებს. მოსმენის პროცესში მოსწავლეები ამოწმებენ თავიანთ პროგნოზებს, ადარებენ, გამართლდა თუ არა მათი ვარაუდები, რაც გამოთქვეს მოსმენამდე. ისინი ინტერპრეტაციას უკეთებენ მოსმენილს და მსჯელობენ იმაზე დაყრდნობით, რაც იციან. ამასთან, განსაზღვრავენ იმასაც, კიდევ რისი ცოდნაც სჭირდებათ.

უშუალოდ მოსმენის ეტაპის მიზნებია:

ხელის შეწყობა მოსწავლეთათვის, რათა გაიგონ მოსაუბრის ენა და აზრები:

- მოსმენის პროცესში აქტიური მონაწილეობა მოსწავლეებს ეხმარება, უკეთ გაიგონ მოსაუბრის ენა და აზრები, დაუკავშირონ ისინი იმას, რაც უკვე იციან თემის შესახებ.

- როდესაც მოსწავლეთა მიერვე ხდება მონიტორინგი იმისა, თუ როგორ გაიგეს ორატორის სიტყვა (მაგალითად, საკუთარ თავს ეკითხებიან: „რა აზრი არის ამაში?“ ან „რის თქმა უნდოდა ამით ორატორს?“), მათ იციან, როდის მოითხოვონ იმის ახსნა, რაც ვერ გაიგეს.

მოსწავლეთა ყურადღების ფიკუსირება ორატორის გამოსვლის სტრუქტურაზე / ორგანიზაციაზე

- როდესაც მოსწავლეები განიხილავენ ორატორის სიტყვის სტრუქტურას / ორგანიზაციას (მაგალითად, შესავალი, ძირითადი ნაწილი, დასკვნითი დებულებები, გარდამავალი ფრაზები და ა.შ.), ისინი უკეთ გაიაზრებენ, როგორ გამოიყენონ ეს თავიანთ სასაუბრო პრაქტიკაში.

ორატორის აზრებსა და მის მიერ გამოყენებულ ენაზე მოსწავლეთა კრიტიკული რეაქციებისა და პასუხების წახალისება:

- მოსწავლეები, რომლებიც ყურადღებით ისმენენ და ინიშნავენ შენიშვნებს, ამზადებენ შეკითხვებსა და პასუხებს, უკეთ არიან მომზადებულნი ორატორთან ურთიერთობისათვის მოსმენისას ან მოსმენის შემდეგ.

მოსმენის შემდგომი ეტაპი: პასუხი, განსჯა და გაგებულის რეკონსტრუქცია

მოსმენის შემდგომი ეტაპი უაღრესად მნიშვნელოვანია, რადგანაც ამ ეტაპზე მოსწავლე აცნობიერებს, რომ მოსმენას აქვს შედეგი და მოპოვებული ინფორმაცია მისთვის სასარგებლოა. მოსმენის შემდგომი საქმიანობა განსაკუთრებით პროდუქტიულია მაშინ, როდესაც იგი უშუალოდ მოსმენის ეტაპის ორგანული გაგრძელებაა. კარგად დაგეგმილი მოსმენის შემდგომი საქმიანობა მოსწავლეებს შესაძლებლობას აძლევს, რომ ერთმანეთს დაუკავშირონ ის, რაც მათ გაიგეს და საკუთარი აზრები, გამოცდილება. ეს კი ავითარებს ინტერპრეტაციული და კრიტიკული მოსმენის უნარს, განსჯით აზროვნებას. გარდა ამისა, მოსმენის შემდგომი ეტაპი საშუალებას აძლევს მასწავლებლებს, შეაფასონ მოსწავლეთა მიერ მოსმენილის გაგება, შეამოწმონ მათი აღქმის უნარი.

მოსმენის შემდგომი ეტაპის მიზნებია:

ძველი ცოდნის, გამოცდილების და ორატორის გამოსვლიდან ან დისკუსიიდან მიღებული ახალი აზრების, ინფორმაციის დაკავშირება.

- მოსწავლეთა მიერ მოსმენილის გაგება უფრო პროდუქტული და ხარისხიანი იქნება იმ შემთხვევაში, თუ ისინი ერთმანეთს დაუკავშირებენ მოსმენილს იმას, რაც თავად იციან და გამოუცდიათ.

მოსწავლეში განსჯისა და პასუხის გაცემის / რეაგირების წახალისება.

- მოსწავლეები უკეთ იგებენ იმას, რაც მოისმინეს, თუ მათ სთხოვენ აზრების რეზიუმირებას და მოსმენილზე რეაგირებას.

მოსმენილის გაგების სიტყვასიტყვითი დონიდან ინტერპრეტაციულ და კრიტიკულ დონეებზე გადასვლა.

- მოსწავლეები, რომლებიც საუბარზე მსჯელობით ან წერილობით რეაგირებენ, იქმნიან და აყალიბებენ საკუთარ აზრს;
- ორატორის აზრების ანალიზით, სინთეზით, გამოსვლის / საუბრის ორგანიზების ხერხებსა და მოსაუბრის ენაზე დაკვირვებით მსმენელებს შეუძლიათ მოსმენილის ინტერპრეტაცია, შეფასება.

გაგების შემოწმება, არასწორი აზრების შესწორება / დაზუსტება.

- მოსწავლეები, რომლებიც აქტიურად ისმენენ, მზად არიან შეკითხვა დაუსვან ორატორს იმაში დასარწმუნებლად, რომ მოსმენილი სწორად გაიგეს.
- დისკუსიებისა და პასუხების მეშვეობით მოსწავლეებს შეუძლიათ განივითარონ მოსმენილის უკეთ გაგების უნარი.

მოსწავლეთათვის ახალი გამოცდილების დაუყოვნებლივ გამოყენების საშუალების მიცემა.

- როდესაც მოსწავლეებს უქმნიან ისეთ პირობებს, რომ მათ მაშინვე გამოიყენონ მოსმენილთან დაკავშირებით გაკეთებული დასკვნები, ისინი უფრო ყურადღებიანი მსმენელები ხდებიან.

მოსმენის პროცესის ხელშეწყობა და მართვა

მოსმენის სასწავლო სიტუაციების საგანგებოდ შექმნა შეიძლება ზოგიერთ შემთხვევაში სასარგებლო იყოს, მაგრამ უფრო შედეგიანია, როდესაც მოსმენის სწავლება მსჭვალავს ყოველ სასკოლო დღეს, თითქმის ყოველ გაკვეთილს. მოსმენის იზოლირებული სწავლება ხელოვნურია.

იმისათვის, რომ მოსწავლემ შეძლოს მოსმენის პრაქტიკული გამოყენება, ის უნდა მონაწილეობდეს თავის თანატოლებთან ღია დიალოგში, ისეთ არაოფიციალურ ვითარებებში, როგორიცაა კონფერენციები, დისკუსიები, დებატები ან ლიტერატურული წრეები; მათ ასევე ესაჭიროებათ პრაქტიკის მიღება ოფიციალურ სიტუაციებში. მაგალითად, თანატოლების მიერ სხვადასხვა აუდიტორიისათვის მომზადებული გამოსვლების მოსმენა ან სტუმრად მოსული ორატორების / გამომსვლელების მოსმენა.

გთავაზობთ ზოგიერთ საშუალებას, რომლითაც მასწავლებელს შეუძლია ხელი შეუწყოს ნაყოფიერ მოსმენას და დაეხმაროს მოსწავლეს, განვითარდეს როგორც მოწიფული, აქტიური მსმენელი. ეს საშუალებებია:

- ნაყოფიერი და აქტიური მოსმენის მოდელირება (მასწავლებელი – თავად აქტიური და პროდუქტული მსმენელის მაგალითი);
- მოსწავლის ნაოქვამისათვის მნიშვნელოვნების მინიჭება (პრინციპი – ყველას აზრი მისაღებია, ყველა აზრს აქვს არსებობის უფლება);
- მოსმენის ინტეგრირება ყოველდღიურ მეტყველებასთან, წერასა და კითხვასთან;
- მოსწავლეთათვის მოსმენის ისეთი სიტუაციების შექმნა, რომ მათ ჰქონდეთ სხვადასხვა მიზნისა და შინაარსის გათვალისწინებისა და გამოყენების საშუალება (მაგალითად, პირისპირ გულითადი საუბარი, ჯგუფური დისკუსიები, ოფიციალური სიტყვით გამოსვლა, პრეზენტაციები,

ყოფითი / სოციალური / საზოგადოებრივი სიტუაციები, ოფიციალური სიტუაციები და სხვა);

- მოსმენის მეშვეობით მოსწავლეებში საზოგადოებრივ-სოციალური ჩვევების განვითარება (მაგალითად, ორატორისათვის შეკითხვების დასმა დაზუსტების მიზნით, მოსმენილის რეზიუმირება და პერიფრაზის გაკეთება გაგების სადემონსტრაციოდ);
- მოსმენის დროის ხანგრძლივობის მისადაგება მოსწავლეთა ასაკის, განვითარების დონისთვის;
- მოსწავლეებისათვის ნაყოფიერი, აქტიური მოსმენის კრიტერიუმების მიცემა;
- მოსმენის პროცესის დაგეგმვა მოსმენამდე, უშუალოდ მოსმენისა და მოსმენის შემდგომი საქმიანობების გამოყენებით;
- მოსმენის პროცესის შეფასება. მოსწავლეთა და მასწავლებლის მიერ მოსმენის პრაქტიკული გამოყენების შეფასება საკონტროლო დავალებების, წინასწარ შემუშავებული კრიტერიუმებისა და გასათვალისწინებელი შენიშვნების მეშვეობით.

ქვემოთ გთავაზობთ მოსმენის შეფასების კითხვარის ნიმუშს.

მოსმენის შეფასების კითხვარი

მოსწავლის გვარი და სახელი _____

თარიღი _____

შეავსეთ შესაბამისი სვეტი	დიახ	არა	ზოგჯერ
მოსმენის ელემენტარული უნარ-ჩვევა			
ყურადღებით უსმენს?			
ხმაური საკლასო ოთახში ხელს უშლის ყურადღებით მოსმენაში?			
შეუძლია მოსაუბრის აზრების შეფასება?			
მოსმენა ინფორმაციის მიღებისათვის			
შეუძლია იმგვარი შეკითხვების მომზადება, რომ გაუგებარი აზრები გაიგოს?			
ესმის უცნობი სიტყვების მნიშვნელობა მოსაუბრის საუბრის კონტექსტის მიხედვით?			
ყურადღებით მოსმენა			
შეუძლია ფაქტების გამოცალკევება განმარტებებისა და მოსაზრებისაგან?			
შეუძლია მნიშვნელოვან და უმნიშვნელო დეტალებს შორის განსხვავების პოვნა?			
ამჩნევს მოსაუბრის მიერ დაუსაბუთებელ პუნქტებს?			
მისაღებია თუ არა მისთვის განსხვავებული აზრი?			

შემოქმედებითი მოსმენა			
შეუძლია თუ არა ისეთი სიტყვების ან ფრაზების მინიშნება, რომლებიც მასზე განსაკუთრებულ შთაბეჭდილებას ახდენს?			
ახდენს მასზე ლექსი, მოთხრობა ან პიესა ისეთ გავლენას, რომ ეს ირეკლება მის გარეგნობაზე (მაგალითად, მზერა, მიმიკები, დაძაბულობა სახეზე და სხვა)?			
შეუძლია თუ არა საკუთარი სიტყვებით გადმოსცეს სხვისგან მოსმენილი ისე, რომ სხვებამდეც მიიტანოს მისთვის მნიშვნელოვანი და შთამბეჭდავი?			
შენიშვნები			

მეტყველება

მეტყველება ენის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი კომპონენტია და ხელს უწყობს კითხვის, წერისა და მოსმენის უნარების განვითარებას. მეტყველება შედგება ვერბალური (სიტყვიერი) და არავერბალური (არასიტყვიერი) კომუნიკაციისაგან. მნიშვნელოვანია მასწავლებლებმა გააცნობიერონ, რომ არავერბალური კომუნიკაცია სპეციფიკური კულტურაა და ზოგიერთ შემთხვევაში ვერბალურზე არანაკლებ მნიშვნელოვანია მოსწავლეთა თვითგამოხატვისათვის.

ვინაიდან მეტყველების უნარ-ჩვევების განვითარებისა და გამოყენების ადგილი, უპირველეს ყოვლისა, საკლასო ოთახია., საკლასო გარემოში უნდა შეეწყოს ხელი საუბარს, რადგან საუბარი შესაძლებლობას აძლევს მოწაფეებს დაუკავშირონ ერთმანეთს მოსმენა და მეტყველება, დაუკავშირონ ის, რაც იციან, იმას, რასაც სწავლობენ. მოსმენა და მეტყველება მათ ეხმარება ცოდნის დაუფლებასა და აზრების გამოხატვაში.

საუბარი შეიძლება იყოს სპონტანური, ან წინასწარ დაგეგმილი და მოფიქრებული. მეტყველების უნარის განვითარებისათვის მნიშვნელოვანია ემოციურად და ინტელექტუალურად უსაფრთხო გარემოს შექმნა. მოსწავლეთა სწავლება მაშინ არის განსაკუთრებით ნაყოფიერი, როდესაც არსებობს ორმხრივი ნდობა, როდესაც მოსწავლის

მეტყველება მასწავლებელისა და თანაკლასელების მიერ ზედმეტი კრიტიკისა და, მით უმეტეს, დაცინვის გარეშე მიიღება და როდესაც საკლასო ოთახში დაშვებულია სხვადასხვა საკომუნიკაციო / საურთიერთობო სტილი.

მეტყველების უნარის განვითარების თვალსაზრისით განასხვავებენ ოთხ დონეს, რაც წარმოდგენილია ქვემოთ მოცემულ ცხრილში.

მეტყველების განვითარების დონეები

I დონე **დამწყები მოსაუბრე** (გამოუცდელი, საჭიროებს განვითარებას)	• ლექსიკა მწირია; • აწყდება სირთულეებს აზრის ჩამოყალიბებისას; • აკლია საკუთარი თავის რწმენა და მორცხვი, გაუბედავია; • აქვს მცირე ინტერესი ჯგუფურ ურთიერთქმედებათა მიმართ; • ცდილობს ისწავლოს სხვების დიალოგების მოსმენით; • ებმება მხოლოდ ხანმოკლე დიალოგებში.
II დონე **გარდამავალი / შუალედური მოსაუბრე** (თანდათანობით ემატება საკუთარი თავის რწმენა)	• მხოლოდ ახლო მეგობრების წრეში ხდება საუბრის ინიციატორი; • პასუხობს საკუთარი ნებით მაშინ, როდესაც დარწმუნებულია, რომ მისი წვლილი მისაღებია; • როგორც ჯგუფის წევრი, მონაწილეობს კითხვით ან სასაუბრო საქმიანობებში; • როდესაც სჭირდება ინფორმაცია, სვამს შეკითხვებს; • იყენებს არაოფიციალური კომუნიკაციის ადეკვატურ ლექსიკას; • ერიდება კამათსა და დასაბუთებას.
III დონე **სასაუბროდ განწყობილი** (თანატოლებთან ჩართული, აღწევს თავდაჯერებულობას)	• შემოაქვს თემები და იდეები საუბრისა და დისკუსიისათვის; • შედის დისკუსიაში იმ საკითხებზე ან იდეებზე, რომლებიც თავად აინტერესებს; • საუბრებსა და სხვა ზეპირ ურთიერთობებში მონაწილეობისას არ განიცდის დისკომფორტს; • როცა სჭირდება, ამრავალფეროვნებს ლექსიკას; • მისი საუბარი ადვილად აღსაქმელია საზოგადოებისათვის.
IV დონე **დამოუკიდებელი მოსაუბრე** (თვითმართვადი მოსაუბრე, საკუთარ თავზე იღებს ლიდერობას)	• შეუძლია საუბრისა და დისკუსიის ინიცირება; • ხელს უწყობს სხვების მიერ აზრების გამოხატვას; • ფლობს სიტყვათა დიდ მარაგს და შესაბამისად იყენებს მას; • როდესაც საჭიროა, მოითხოვს მეტ ინფორმაციას დაზუსტებისა და ინტერპრეტაციისათვის; • ტაქტიანად არ ეთანხმება იმ იდეებსა და პოზიციებს, რომლებიც პირადად მისთვის მიუღებელია; • მისი საუბარი დამაინტერესებელია.

მეტყველების პროცესი

მეტყველების პროცესი შეიცავს იმ საქმიანობებს, რომლებიც შეიძლება დაიყოს სამ ეტაპად: ***საუბრის დაწყებამდე, უშუალოდ საუბრის და საუბრის შემდგომი.*** მაგალითად, საუბრამდე მოსაუბრეს შეუძლია განსაზღვროს სასაუბრო საგნის შინაარსი, როგორ უნდა იყოს იგი წარმოდგენილი და რა ტიპის საზოგადოებამ უნდა მოისმინოს.

მეტყველებისას მოსაუბრემ უნდა იზრუნოს ისეთ ასპექტებზე, როგორიცაა:

- სათქმელის ნათლად გადაცემა;
- ხმის ტონი;
- შესაბამისი ლექსიკა;
- შესაძლებელი კითხვები და პასუხები;
- აუდიტორია;
- არავერბალური უესტები.

საუბრის შემდეგ მოსაუბრემ შეიძლება მიიღოს შენიშვნები, ასევე შეიძლება უპასუხოს შეკითხვებს, განმარტოს გაუგებარი ცნებები და შეაფასოს პროცესი.

საუბრამდე ეტაპი: დაგეგმვა და ორგანიზება

ისევე, როგორც წერის დაწყებას, საუბარსაც წინ მონახაზის გაკეთება უსწრებს. მოსწავლეების გამოცდილება, დაკვირვებები და ურთიერთობები საკლასო ოთახში და მის გარეთ გავლენას ახდენენ იმაზე, თუ რას და როგორ ამბობენ ისინი. საუბრამდე ეტაპზე ჩართულია ფიქრი და განსჯა, რადგან მოსწავლეები წინასწარ გეგმავენ და ამზადებენ საუბარს.

საუბრამდე ეტაპის საქმიანობების თანამიმდევრობა ასეთია:

სასაუბრო თემის შერჩევა

მოწაფეები წინასასაუბრო საქმიანობის შედეგად იკვლევენ და არჩევენ იდეებს საუბრის თემისათვის.

წინასასაუბრო საქმიანობები შეიძლება იყოს:

- წარმოსახვითი სურათების შედგენა;
- კითხვა და კვლევა;
- ვიდეოს ყურება;
- მოსაუბრის მოსმენა;
- აზრების მოკლე ჩანაწერების გაკეთება;
- პირადი გამოცდილების ანალიზი და სხვა.

საუბრის მიზნის განსაზღვრა

მოსაუბრეები სხვადასხვა მიზნით საუბრობენ. მათ საუბრის დაწყებამდე საკუთარ თავს უნდა დაუსვან კითხვა: ***„რა არის ჩემი საუბრის მიზანი?“***

ეს შეიძლება იყოს:

- ❖ ინფორმაციის გადაცემა;
- ❖ ამბის მოყოლა;
- ❖ თვალსაზრისის გამოხატვა;
- ❖ დარწმუნება;
- ❖ უარყოფა;
- ❖ პირადი გრძნობების, აზრების, შთაბეჭდილების ან თვალსაზრისის გამოხატვა;
- ❖ აღწერა;
- ❖ ინსტრუქციის მიცემა;
- ❖ აუდიტორიის გართობა და სხვა.

აუდიტორიის განსაზღვრა

მოსაუბრეებმა უნდა ჰკითხონ საკუთარ თავს: ***„როგორია ჩემი სავარაუდო აუდიტორია?“***

აუდიტორიის სავარაუდო ვარიანტებია:

- ჩვეულებრივი, კარგად ნაცნობი საზოგადოება (მეგობრები, ოჯახი, მასწავლებლები);

- გაფართოებული ნაცნობი საზოგადოება. მაგალითად, თემი (მიკროუბანი), მოსწავლეთა საზოგადოება;
- გაფართოებული უცნობი საზოგადოება (მაგალითად, ადგილობრივი მედია).

ფორმატის განსაზღვრა

მოსაუბრეებმა / ორატორებმა უნდა მოიფიქრონ, თუ როგორ წარმოადგინონ თავიანთი აზრები რაც შეიძლება უფრო ეფექტურად, ***რომელი ფორმატი შეარჩიონ.***

ფორმატის შესაძლო ვარიანტებია:

- საუბარი;
- დისკუსია;
- ოფიციალური გამოსვლა;
- დრამატული პრეზენტაცია;
- მონოლოგი;
- მკითხველის თეატრი და სხვა.

უშუალოდ საუბრის ეტაპი: საზოგადოებაში გასვლა

საუბრით მოსწავლე ერთვება ურთიერთობაში. ის მოსწავლეები, რომელთა გარშემოც არსებობს მხარდამჭერი, თანამშრომლობითი გარემო, უფრო თავდაჯერებულნი იქნე-

საუბრის მიზნის განსაზღვრა

მოსაუბრეები სხვადასხვა მიზნით საუბრობენ. მათ საუბრის დაწყებამდე საკუთარ თავს უნდა დაუსვან კითხვა: *„რა არის ჩემი საუბრის მიზანი?“*

ეს შეიძლება იყოს:

- ❖ ინფორმაციის გადაცემა;
- ❖ ამბის მოყოლა;
- ❖ თვალსაზრისის გამოხატვა;
- ❖ დარწმუნება;
- ❖ უარყოფა;
- ❖ პირადი გრძნობების, აზრების, შთაბეჭდილების ან თვალსაზრისის გამოხატვა;
- ❖ აღწერა;
- ❖ ინსტრუქციის მიცემა;
- ❖ აუდიტორიის გართობა და სხვა.

აუდიტორიის განსაზღვრა

მოსაუბრეებმა უნდა ჰკითხონ საკუთარ თავს: *„როგორია ჩემი სავარაუდო აუდიტორია?“*

აუდიტორიის სავარაუდო ვარიანტებია:

- ჩვეულებრივი, კარგად ნაცნობი საზოგადოება (მეგობრები, ოჯახი, მასწავლებლები);

- გაფართოებული ნაცნობი საზოგადოება. მაგალითად, თემი (მიკროუბანი), მოსწავლეთა საზოგადოება;
- გაფართოებული უცნობი საზოგადოება (მაგალითად, ადგილობრივი მედია).

ფორმატის განსაზღვრა

მოსაუბრეებმა / ორატორებმა უნდა მოიფიქრონ, თუ როგორ წარმოადგინონ თავიანთი აზრები რაც შეიძლება უფრო ეფექტურად, *რომელი ფორმატი შეარჩიონ.*

ფორმატის შესაძლო ვარიანტებია:

- საუბარი;
- დისკუსია;
- ოფიციალური გამოსვლა;
- დრამატული პრეზენტაცია;
- მონოლოგი;
- მკითხველის თეატრი და სხვა.

უშუალოდ საუბრის ეტაპი: საზოგადოებაში გასვლა

საუბრით მოსწავლე ერთვება ურთიერთობაში. ის მოსწავლეები, რომელთა გარშემოც არსებობს მხარდამჭერი, თანამშრომლობითი გარემო, უფრო თავდაჯერებულნი იქნე-

ბიან თავიანთი აზრების ან ინფორმაციის საჯაროდ გამოტანისას.

იმისათვის, რომ ურთიერთობა დაამყარონ სხვებთან, მოსწავლეები ხშირად უნდა ჩავრთოთ ოფიციალურ და არაოფიციალურ სასაუბრო სიტუაციებში.

საუბრის შემდგომი ეტაპი: დრო განსჯისა და მიზნების დასახვისათვის

საუბრის შემდეგ, ოფიციალური იქნება ეს თუ არაოფიციალური, მნიშვნელოვანია, რომ მოსწავლეებმა იფიქრონ საკუთარ გამოსვლაზე. მასწავლებლის მიერ მათი მეტყველების შეფასება დაეხმარება მოსწავლეებს საკუთარი მეტყველების გაუმჯობესებაში, ახალი კონკრეტული მიზნების დასახვაში. ამგვარი განსჯითი შეფასება და ახალი მიზნების განსაზღვრა ხელს უწყობს მეტყველების უნარის მუდმივ განვითარებასა და სრულყოფას.

საუბრის შემდგომი ეტაპის მიზნებია:

საკუთარი მეტყველების / საუბრის ანალიზი და შეფასება

საუბრის / მეტყველების უნარი უვითარდებათ იმ მოსწავლეებს, რომელთაც აქვთ წინასწარ განსაზღვრული კრიტერიუმები საკუთარი გამოსვლის შესაფასებლად და შეუძლიათ ამ კრიტერიუმების მიხედვით განსაზღვრონ მისი ძლიერი და სუსტი მხარეები.

ეს ეტაპი გულისხმობს:

- დისკუსიის გამართვას და ამ გზით კრიტერიუმთა სრულყოფას მეტყველების შესაფასებლად.

მიზნების დასახვა გასაუმჯობესებლად

როდესაც მოსწავლეები აანალიზებენ და აფასებენ საკუთარ გამოსვლას, ხედებიან, თუ რა გააკეთეს კარგად და რისი გაუმჯობესება ესაჭიროებათ.

ეს ეტაპი გულისხმობს:

- ძლიერი და სუსტი მხარეების გამოვლენის შემდეგ მეტყველების გაუმჯობესებისათვის საჭირო გზების გამონახვას (აქ მოსწავლემ შეიძლება გამოიყენოს მასწავლებლის, თანაკლასელებისა და სხვა მსმენელთა რჩევები. როდესაც მოსწავლეები მსჯელობენ საკუთარ გამოსვლებზე, სასაუბრო აქტივობებზე, კომენტარებს მათი თანატოლებიც უნდა აკეთებდნენ. ეს კომენტარები შეიძლება იყოს როგორც წერილობითი, ისე ზეპირი, ან ორივეს კომბინაცია).

მოსწავლის მეტყველების უნარი საუკეთესოდ ვითარდება დინამიკურ ინტერაქტიურ სასწავლო გარემოში, სადაც საკმაო დრო აქვს დათმობილი მოსმენასა და აზრების გაზიარებას. საკლასო ოთახი უნდა იყოს ადგილი, სადაც მოსწავლეს შეუძლია დასვას შეკითხვები და უპასუხოს მათ, სადაც მასწავლებელი და მოსწავლე პარტნიორები არიან, რომლებიც თანამშრომლობენ ერთმანეთთან ინფორმაციისა და იდეების გადასაცემად / გასაზიარებლად. ორგანიზაციის სხვადასხვა ფორმა (მუშაობა წყვილებში, მცირე და დიდ ჯგუფებში) მოსწავლეებს აძლევს მოსმენისა და ზეპირმეტყველების უნარების პრაქტიკაში გამოცდის საშუალებას.

მასწავლებლის როლი მოსმენისა და ზეპირმეტყველების უნარის განვითარებისათვის მდგომარეობს შემდეგში:

- მისცეს მოსწავლეს შესაძლებლობა, შეაგროვოს ინფორმაცია, მოამზადოს შეკითხვები;
- „დააშენოს" ახალი ცოდნა იმაზე, რაც მოსწავლემ უკვე იცის;
- უფრო ხშირად დასვას ისეთი შეკითხვები (დია), რომლებიც ითხოვენ განსხვავებულ აზრებსა და პასუხებს, რომლებზეც არ არსებობს ერთი სწორი პასუხი;

- ხელი შეუწყოს მიზანმიმართულ საუბარსა და „ხმამაღლა ფიქრს";
- ყურადღება მიაქციოს უფრო მეტად მოსწავლეთა აზრებს, პასუხების შინაარსს და არა მეტყველებაში დაშვებულ გრამატიკულ შეცდომებს (ამ შეცდომების გამოსასწორებლად არსებობს სხვადასხვა სახის სავარჯიშოები, პრაქტიკული გრამატიკის გაკვეთილები და სხვა);
- მოსწავლეებთან ერთად შეიმუშავოს საუბრის შეფასების კრიტერიუმები;
- ხელი შეუწყოს თანაკლასელთა მონაწილეობას მოსწავლის მეტყველების შეფასებაში, რომლის დროსაც მითითებული იქნება არა მარტო ძლიერი და სუსტი მხარეები, არამედ ხარვეზების გამოსწორების გზები;
- დააფასოს შეკითხვები ისევე, როგორც პასუხები;
- თავად მისცეს მოსწავლეებს ზეპირმეტყველების ნიმუში;
- უზრუნველყოს მოსწავლეთათვის ხელშემწყობი პირობები (სიწყნარე კლასში, მოხერხებულად განლაგებული საკლასო ავეჯი და სხვა);
- არაოფიციალური საუბარი, მოსწავლეთათვის და მოსწავლეთა შორის აზრების გაზიარება,

საინტერესო ფაქტების გაცნობა აქციოს მუდმივ პროცესად;

- ხელი შეუწყოს იმას, რომ მოსწავლეებმა „ეჭვი შეიტანონ“ საკუთარ და სხვის ვარაუდებში, მიკერძოებულ აზრებში და ფაქტად წარმოდგენილ ინფორმაციაში, ანუ გაუაზრებლად და უკრიტიკოდ არ მიიღონ ისინი;
- ხელი შეუწყოს მოსწავლეთა მონაწილეობას დასაბუთებულ კამათში დისკუსიებისა და დებატების დროს;
- განავითაროს მოსწავლეებში სხვათა აზრების პატივისცემა;
- შეკითხვების შემდეგ მისცეს მოსწავლეებს ფიქრის დრო;
- წაახალისოს მოსწავლეთა ძალისხმევა, აქტიური მონაწილეობა, პროგრესი;
- შეაფასოს პროცესი და შედეგი.

მეტყველებითი და მოსმენითი საქმიანობები (აქტივობები)

მეტყველებითი და მოსმენითი საქმიანობები ურთიერთკავშირში უზრუნველყოფენ მოსწავლეთა ამ უნარების განვითარებას. ქვემოთ წარმოდგენილი აქტივობები სწორედ ორივე უნარის განვითარებაზეა ორიენტირებული.

დისკუსია

დისკუსია ისეთი აქტივობაა, რომლის დროსაც განსაკუთრებით არის საჭირო ყურადღებით მოსმენა და იმის გათვალისწინება, თუ რას ამბობენ სხვები, ზრდილობიანად, ეთიკურად მოქცევა და საუბარი ისე, რომ ყველას ესმოდეს (იგულისხმება როგორც ხმის ტემბრი, ისე აზრის გასაგებად და ნათლად ჩამოყალიბება).

დისკუსია:

- ხელს უწყობს მოსწავლეებში მსჯელობის, კრიტიკული აზროვნებისა და პრობლემის გადაწყვეტის უნარის განვითარებას;
- ავარჯიშებს მოსწავლეებს ზეპირად აზრების მწყობრად გამოხატვასა და დასკვნების გამოტანაში, სადავო საკი-

თხების გადაჭრასა და ალტერნატიული გადაწყვეტილებების მოძებნაში.

დისკუსიებში მოსწავლეებს მოეთხოვებათ:

- არგუმენტირებული მსჯელობა;
- გადაწყვეტილების მიღება;
- დისკუსიის წესების დაცვა (სასურველია, ეს წესები თავად მოსწავლეებმა შეიმუშავონ. მაგალითად, როცა რამის თქმა გვსურს, ხელი ავიწიოთ; არ შევაწყვეტინოთ ერთმანეთს სიტყვა; დავიცვათ რეგლამენტი და ა.შ.).

დისკუსიისას მოსწავლეები შეიძლება წააწყდნენ განსხვავებულ თვალსაზრისებს. ისინი რწმუნდებიან, რომ არსებობს უამრავი პრობლემა, რომელთაც არა აქვთ მხოლოდ ერთი გადაწყვეტა. დისკუსია ასევე შეიძლება გამოვიყენოთ, როგორც ჯგუფის წევრებს შორის კონსენსუსის დამყარების საშუალება.

სადისკუსიო ჯგუფები

სამ-ხუთწევრიანი ჯგუფები კარგია ნაყოფიერი დისკუსიისათვის, რადგანაც ყველას ექნება შესაძლებლობა წვლილი შეიტანოს დისკუსიაში როგორც მსმენელმა და როგორც სიტყვით გამომსვლელმა. გარდა ამისა, პატარა ჯგუფები სალაპარაკოდ გამოიწვევს გაუბედავ და პასიურ მოსწავლეებსაც, რომლებმაც, შეიძლება, დიდ ჯგუფებში გამართულ განხილვაში მონაწილეობა არ მიიღონ.

მცირე სადისკუსიო ჯგუფებში მოსწავლეებს შეუძლიათ ჩამოყალიბონ საკუთარი აზრები და გააქტიურონ სუბიექტური გამოცდილება.

კლასიდან და ვითარებიდან გამომდინარე, ჯგუფები შეიძლება ჩამოყალიბდეს:

- მოსწავლეების სურვილის გათვალისწინებით;
- სტიქიურად (მაგალითად, მოსწავლეებს ვურიგებთ ნახატებიან / სხვადასხვა ფერის ბარათებს. ერთნაირნახატიანი / ერთი ფერის ბარათების მფლობელები ერთიანდებიან ერთ ჯგუფში);
- შემადგენლობა შეიძლება განსაზღვროს თავად მასწავლებელმა.

ლიდერები განხილვის ჯგუფებში შეიძლება დანიშვნის გარეშე გაჩნდნენ. რეკომენდირებულია თითოეული ჯგუფის წევრისათვის კონკრეტული მოვალეობის დაკისრება (მაგალითად, ერთი არგუმენტებს ჩამოწერს, მეორე ეძებს დამატებით მასალას, მესამე შეკითხვებს ამზადებს, მეოთხე წარმოადგენს ჯგუფის საერთო აზრს და ა.შ.). ჯგუფები დროდადრო უნდა გადახალისდეს, რათა მოსწავლეებს მიეცეთ საშუალება, სხვა თანატოლებთან ერთადაც იმუშაონ.

დისკუსიამდე

დისკუსიის დაწყებამდე აუცილებელია, რომ ჯგუფმა დაადგინოს მიზანი. საერთო მიზანი შეიძლება იყოს, მაგალითად, პასუხების მოძებნა ისეთ პრობლემურ კითხვაზე, როგორიცაა, "უნდა დაუპირისპირდეს თუ არა პიროვნება საზოგადოებას, როცა დანამდვილებით იცის, თვითონ დამარცხდება?"

ცხადია, სადისკუსიოდ უნდა შეირჩეს ისეთი საკითხი, რომლის ირგვლივაც განსხვავებული თვალსაზრისები შეიძლება არსებობდეს ან დაისვას ისეთი პრობლემა, რომლის გადაჭრის ალტერნატიული გზები არსებობს.

მოსწავლეებს შეუძლიათ შექმნან იმ შეკითხვების სია, რომელთაც დისკუსიის დაწყებამდე გამოიყენებენ. ასეთი სია შეიძლება შეიცავდეს შემდეგ კითხვებს:

- რა როლი დაეკისრება ჯგუფის თითოეულ წევრს?
- რა ვიცით ამ თემის შესახებ?
- რისი აღმოჩენა / დამტკიცება გვინდა ან გვჭირდება?
- როგორ და სად ვაპირებთ შეკითხვებზე პასუხების მოძებნას?
- ვის გავუზიარებთ ჩვენს დასკვნებს?
- როგორ და რა კრიტერიუმებით შევაფასებთ ჩვენი შრომის ნაყოფს?

დისკუსიის დაწყებამდე მოსწავლეებს შეუძლიათ შექმნან დისკუსიის წესების ნუსხა, რომლის მიხედვითაც იმოქმედებენ.

დისკუსიის დროს

მოსწავლეთათვის მნიშვნელოვანია იცოდნენ, რომ:

- არ არსებობს მცდარი და სწორი აზრი; არსებობს დაუსაბუთებელი და დასაბუთებული მოსაზრება;
- დისკუსიის მიზნები და წესები წინასწარ არის განსაზღვრული;
- დისკუსიის ცენტრალურ მიზანს წარმოადგენს ჯგუფის მიერ განსახილველი საკითხის შესახებ ცოდნის გამომუღავნება და ამ ცოდნის გამოყენება პრობლემის გადაწყვეტისათვის;
- დისკუსია პასუხების განუსაზღვრელ რაოდენობას წარმოშობს და არ მოითხოვს ერთადერთ დასკვნას;
- რადგანაც არსებობს განსხვავებული მოსაზრებები, საკუთარი თვალსაზრისის დაცვასთან ერთად სხვების თვალსაზრისსაც უნდა სცენ პატივი;
- ისინი აკრიტიკებენ აზრებს და არა ადამიანებს.

დისკუსიის დროს საჭიროა მოსწავლეებს ხელი შევუწყოთ იმაში, რომ მათ:

- გულმოდგინედ მოისმინონ ყველა აზრი;

- დასვან შეკითხვები;
- მოახდინონ აზრების პერიფრაზირება (მაგალითად, „თუ სწორად გავიგე, შენ ამბობ, რომ...“) და შეჯერება;
- იკამათონ კონსტრუქციულად;
- შეაჯამონ მთავარი აზრი;
- გადაამოწმონ ვარიანტები.

დისკუსიის შემდეგ

დისკუსიის შემდგომი საქმიანობაა მოსწავლეთა შეფასება ან თვითშეფასება, რისთვისაც არსებობს სპეციალური ფორმები (ასეთი ფორმები თავად მასწავლებელსაც შეუძლია შექმნას). მოსწავლეები ჩართულნი უნდა იყვნენ შეფასების კრიტერიუმთა დადგენისა და ასეთი ანკეტების შექმნის პროცესში.

ნაყოფიერია დისკუსიის პროცესში აუდიო ან ვიდეოჩანაწერების გაკეთება, რათა დისკუსიის შემდგომ მასწავლებელსაც და მოსწავლეებსაც ჰქონდეთ საკუთარი საქმIანობის გაანალიზების საშუალება.

არსებობს ჯგუფის შეფასების ანკეტაც, რომელიც შეიძლება შავსოს ჯგუფის როგორც თითოეულმა, ისე მხოლოდ ერთმა წევრმა, მაგრამ ამ შემთხვევაში ის უნდა გამოხატავდეს ჯგუფის საერთო აზრს.

გთავაზობთ ასეთი ანკეტის ნიმუშს:

სადისკუსიო ჯგუფების საქმიანობის შეფასება

სახელები: _____

თარიღი: _____

სადისკუსიო თემა:

_____

	დიახ	არა	ზოგჯერ	მონაცემები
დისკუსიის პროცესში ყველა მონაწილეობდა და გამოთქვამდა აზრს. კომუნიკაცია ინტერაქტი-ური იყო.				
ჯგუფი მეგობრულად იყო განწყობილი, მონაწილეები ერთმანეთს მხარს უჭერდნენ.				
ჯგუფის წევრები ხშირად სვამდნენ შეკითხვებს აზრების დასაზუსტებლად და დისკუსიის პროცესის სრულყოფისათვის.				
დისკუსია ჯგუფში თემას არ გასცილებია				
ჯგუფი ენერგიული და აქტიური იყო				

ჯგუფის თვითშეფასების კითხვარი

რა იყო საუკეთესო ჯგუფის ერთად მუშაობაში?

რა პრობლემა ჰქონდა ჯგუფს?

როგორ გადაჭერით იგი?

კიდევ რისი გაკეთება შეგეძლოთ?

რა გეგმები გაქვთ გაუმჯობესებისათვის?

ლიტერატურული წრეები

ლიტერატურულ წრეებში მოსწავლეთა მცირე ჯგუფები ერთსა და იმავე ვადებში კითხულობენ წიგნების გარკვეულ რაოდენობას და რეგულარულად განიხილავენ მათ. მათ შეუძლიათ თავად გადაწყვიტონ, წაიკითხავენ ერთსა და იმავე წიგნებს დროის კონკრეტულ მონაკვეთში, თუ სხვადასხვა წიგნს ერთსა და იმავე თემაზე. ლიტერატურული წრეები მოსწავლეებს ეხმარება იმაში, რომ მათ მეტი

შეიტყონ სხვადასხვა ტიპის, ჟანრისა და სტილის ტექსტების შესახებ და ასევე შეაფასონ საკუთარი სასაუბრო სტილი (მათ უნდა გააცნობიერონ, რომ სხვადასხვა ტექსტზე საუბრისას სხვადასხვა სტილი უნდა გამოიყენონ). დისკუსია წიგნების შესახებ ლიტერატურულ წრეებში მოსწავლეებს იმის საშუალებას აძლევს, რომ მათ ერთმანეთს გაუზიარონ თავიანთი შეხედულებები, მოსაზრებები წიგნის ენის, სტრუქტურისა და პერსონაჟების შესახებ.

ლიტერატურულ წრეებში მოსწავლეები ბევრ რამეს შეიტყობენ მწერლის შემოქმედების შესახებ ჯგუფში საქმიანობის დროს, მაგრამ დროდადრო შეიძლება სასარგებლო იყოს ჯგუფების ჩამოყალიბება ამა თუ იმ მწერლის შემოქმედების სხვადასხვა ასპექტით შესწავლისათვის, როგორიცაა ნაწარმოების სტრუქტურა, პრობლემა, სიმბოლოები, გარემო, დრო და ეპოქა, მოქმედი პირები, მხატვრული სამყარო და სხვა. მოსწავლეები შეისწავლიან იმას, თუ როგორ იყენებს ყოველივე ამას ავტორი მკითხველზე ზემოქმედებისათვის.

ლიტერატურულ წრეებზე უფრო ვრცლად ვისაუბრებთ კითხვითი საქმიანობების მიმოხილვისას.

სასაუბრო წრეები

სასაუბრო წრეები უზრუნველყოფენ უსაფრთხო გარემოს იმისათვის, რომ მოსწავლეებმა გაბედულად შეძლონ თავიანთი აზრების გაზიარება სხვებისათვის. სასაუბრო წრეები სასარგებლოა მაშინ, როდესაც სადისკუსიო თემას არ აქვს სწორი ან არასწორი პასუხები, როდესაც საქმე ეხება გრძნობების, შთაბეჭდილებების გაზიარებას და როდესაც მოსწავლეები განიხილავენ მორალურ ან ეთიკურ საკითხებს. ასევე, ეს კარგი საშუალებაა ჯგუფური კონსენსუსის მისაღწევად ან პრობლემის გადასაჭრელად.

მოსწავლეები სხედან წრეზე და ყოველ მათგანს აქვს საუბრის საშუალება. თუკი წრე დიდია, მაშინ უმჯობესია ათ-თორმეტკაციანი შიდა წრის მოწყობა, დანარჩენები კი მათ გარშემო განლაგდებიან. გარე წრეში მყოფნი მხოლოდ ისმენენ. საუბრის უფლება იმათ აქვთ, ვინც შიდა წრეშია. მოსწავლეები რიგრიგობით დაიკავებენ ამ ადგილებს. ის, ვინც თავის სათქმელს იტყვის, შიდა წრიდან გადაIნაცვლებს გარე წრეში და მის ადგილს იკავებს ის, ვისაც აზრის გამოთქმა სურს. წრე მანამდე იარსებებს, სანამ მონაწილეებს თემის ირგვლივ სალაპარაკო ექნებათ.

იმისათვის, რომ ყველას მიეცეს აზრის გამოთქმის საშუალება და ვინმემ არ დაიკავოს დომინირებული მდგომარეობა, თავი დავადწიოთ უწესრიგობასა და ხმაურს, მოსწავ-

ლეებს შეიძლება მივცეთ მიკროფონი ან თუნდაც საწერ-ქალამი (ვითომ მიკროფონია). მხოლოდ მას უნდა მიეცეს ლაპარაკის უფლება, ვინც ამ საგანს იმ წუთში ფლობს, შემდეგ ის სხვა მოსწავლეს გადასცემს, რომელსაც ასევე სურს სიტყვით გამოსვლა. ეს მანამდე გრძელდება, სანამ ყველას არ მიეცემა ლაპარაკის საშუალება. სასურველია, სასაუბრო დროის ლიმიტის დაწესება.

გთავაზობთ რამდენიმე მითითებას სასაუბრო წრეებისათვის:

- ყველა შენიშვნა გააკეთეთ პრობლემაზე ან თემაზე და არა მოსწავლეების ნათქვამზე;
- თავი შეიკავეთ როგორც დადებითი, ისე უარყოფითი რეაქციისაგან მოსწავლის ნათქვამზე;
- მხოლოდ ერთი მოსწავლე საუბრობს, დანარჩენები კი ჩუმად ისმენენ და ყოველგვარი შეფასებისაგან თავს იკავებენ;
- შეურაცხმყოფელი შენიშვნების გაკეთება აკრძალულია;
- ნებადართულია მოსწავლეებმა თქვან „გამოვტოვებ“, თუკი ისინი თავს უხერხულად გრძნობენ. იმის გამო, რომ ჩუმად არიან, არ გავაკრიტიკოთ და, მით უმეტეს, არ დავსაჯოთ;

- ფასილიტატორის როლს მასწავლებელი ან მოსწავლე ასრულებს და ის
  - უზრუნველყოფს ინსტრუქციების შესრულებას;
  - ყურადღების გარეშე არ ტოვებს თითოეულის მიერ საუბარში შეტანილ წვლილს (თუნდაც ასეთი ფრაზით: „გმადლობთ თქვენი აზრებისათვის / წვლილისათვის“);
  - საჭიროების შემთხვევაში აზუსტებს, განმარტავს კომენტარს / შენიშვნებს / მოსაზრებებს (მაგალითად, „თუ სწორად გავიგე, თქვენ ამბობთ, რომ“. . .).
- სთხოვეთ გამომსვლელებს, რათა მათ თავიანთი კომენტარები / შენიშვნები / მოსაზრებები გადმოსცენ რაც შეიძლება უფრო მარტივად და გასაგებად (სათქმელის გათვალსაჩინოებისათვის გამოიყენონ პირადი შემთხვევები, ეფექტისათვის – მეტაფორები, შედარებები და სხვა);
- სთხოვეთ მსმენელებს, რომ გამომსვლელს ინტერესითა და ყურადღებით მოუსმინონ და ამით გამოხატონ მისდამი თანადგომა.
- ყურადღებით უსმინონ გამომსვლელის საუბარს და არ იფიქრონ იმაზე, თუ რას იტყვიან, როდესაც მათი ჯერი დადგება.

რჩევები მასწავლებელს

- *მიმართეთ სხვადასხვა გზას მოსწავლეთა საუბარში ჩასაბმელად.* ამისათვის:
  - უზრუნველყავით, რომ მოსწავლეებმა მასწავლებელზე მეტი ილაპარაკონ და ესაუბრონ ერთმანეთს და არა მასწავლებელს;
  - მოსწავლეები უნდა გრძნობდნენ იმას, რომ მათი ხედვა ღირებულია და რომ მათ სჭირდებათ სხვისი აზრებისა და შენიშვნების მოსმენა;
  - სასაუბრო წრეებში ჯგუფის ყველა წევრი უნდა იყოს ჩაბმული, განურჩევლად ნიჭისა და შესაძლებლობისა; ყოველმა მათგანმა უნდა იცოდეს, რომ თითოეულს შეუძლია განუმეორებელი წვლილის შეტანა თავისი განსხვავებული წარმოდგენებითა და ხედვით.
- *დადებითი მუხტი შეიტანეთ პასუხებში მოსწავლეთა შეკითხვებზე.*
  - რეაგირება მოახდინეთ ყოველი მოსწავლის მიერ დასმულ შეკითხვაზე. თუ ის საკუთარ შეკითხვაზე პასუხს ვერ მიიღებს კლასში, ერთად განსაზღვრეთ წყარო, რომელშიც შეიძლება ამ შეკითხვაზე პასუხის მოძებნა (შეიძლება ეს იყოს ენციკლოპედია, განმარტებითი ან სხვა სახის ლექსიკონი, ინტერნეტი, ბიბლიოგრაფია და სხვა);

– მოერიდეთ შეფასებითი ხასიათის კომენტარებს მოსწავლეთა შეკითხვებზე (მაგალითად, „ეს შეკითხვა არაარსებითია...“ „სჯობდა, შეკითხვა სხვაგვარად დაგესვა...“ და სხვა მისთ.).

- *დასვით ღია შეკითხვები.*

– დასვით შეკითხვები, რომლებიც მოსწავლეებისაგან მოითხოვს პროგნოზირებას, ჰიპოთეზის გამოთქმას, შეფასებას, დასკვნების გამოტანას და რომლებიც მრავალფეროვანი პასუხების გაცემის საშუალებას იძლევა;

– კარგი იქნება, თუკი შეკითხვის დასმის შემდეგ მოსწავლეებს ათიოდე წამს მისცემთ პასუხის მოსაფიქრებლად;

– პრაქტიკაში დაამკვიდრეთ ისეთი შეკითხვების დასმა, რომლებიც მოსწავლეებს დაეხმარება საკუთარი ვარაუდებისა და ლოგიკის გაცნობიერებაში (მაგალითად, „რატომ ფიქრობ, რომ ასე მოხდება, რა მიგანიშნებს ამაზე?“).

- *წაახალისეთ მოსწავლეები,* რათა მათ

– დაასაბუთონ თავიანთი მოსაზრებები;

– შენიშვნების მიცემის ნაცვლად დასვან შეკითხვები, რომლებიც დელიკატურად მიანიშნებენ მოსაუბრეს, რომ მის ნათქვამში მყარი არგუმენტის არქონის შემთხვევაში შეიძლება ეჭვი შეიტანონ.

მაგალითად, „საიდან იცი?“ „რით დაამტკიცებ?“ ან „რატომ ფიქრობ ასე?“;

– დამაჯერებლობისათვის განავრცონ, განმარტონ ან დააზუსტონ საკუთარი აზრები (ამისათვის შესაძლებელია აზრის ხელახალი, სხვაგვარი ფორმულირება).

თხრობა

თხრობა არის მთხრობელის მხრიდან საკუთარი გამოცდილების, მოთხრობის / ამბის ზეპირი გაზიარება მსმენელისათვის.

თხრობა შეიძლება იყოს სიამოვნების მომგვრელი საქმიანობა როგორც მთხრობელისათვის, ისე მსმენელისათვის და ამით მოსწავლეები დაკავებულნი უნდა იყვნენ სწავლების ყველა საფეხურებზე. ვიდრე მასწავლებელი მოსწავლეებისაგან მოითხოვს ამბის მოყოლას, მან თვითონ უნდა მისცეს თხრობის ნიმუში. ასევე მოსწავლეებს უნდა ჰქონდეთ საშუალება მოუსმინონ სხვა მთხრობელებს, რომლებსაც მათთვის სიამოვნების მინიჭება შეუძლიათ და სანიმუშო თხრობის მაგალითით გაამდიდრებენ მათს გამოცდილებას (ამ თვალსაზრისით სასურველია ცნობილი ადამიანების მოწვევა გაკვეთილებზე, ვიდეო და აუდიოჩანაწერების გამოყენება).

- ფირზე ჩაიწერეთ თქვენ მიერ ხმამაღლა წაკითხული მოთხრობა და რამდენჯერმე მოისმინეთ ჩანაწერი;
- მოთხრობა ნაწილებად დაყავით იმგვარად, რომ მსმენელს გაუადვილოთ მონათხრობის აღქმა (მაგალითად, გამოიყენეთ მოთხრობის ესკიზი / გეგმა, სქემა ან მოთხრობის რუკა, ილუსტრაციები);
- ვიზუალურად წარმოიდგინეთ გარემო და მოქმედი პირები (მაგალითად, დახუჭეთ თვალები და წარმოიდგინეთ ყველა ადგილი, ფერები, განათებაც კი; წარმოიდგინეთ ყველა მოქმედი პირის პორტრეტი, სახის გამომეტყველება, ჟესტები და მანერები);
- მოთხრობაში დასაწყისიდან დასასრულამდე მიმდინარე მოქმედებები გონებაში ჩუმად აღიდგინეთ (მაგალითად, აღწერეთ სცენების თანამიმდევრობა და დაადგინეთ, რომელი მათგანი მიმდინარეობს ნელა და რომელი – სწრაფად, რომელი სცენა რომელს ცვლის და ა.შ.);
- მოთხრობა საკუთარი სიტყვებით ხმამაღლა მოუყევით საკუთარ თავს;
- მოყევით მოთხრობა თქვენთვის და, თუ საჭიროა, ჩაიხედეთ მოთხრობის შესახებ თქვენ მიერ გაკეთებულ შენიშვნებში / ჩანაწერებში;
- გადადეთ გვერდზე თქვენი შენიშვნები და ახლა მოთხრობა უშუალოდ მოძრავი წარმოსახული

სახეების მიხედვით მოყევით (ამ დროისათვის მოთხრობა უკვე გათავისებული გექნებათ და „ზეპირად“ გეცოდინებათ);
- ივარჯიშეთ მოთხრობის მოყოლაში ცოცხალი აუდიტორიის წინაშე (ოჯახი, მეგობრები, შინაური ცხოველებიც კი).

მოსწავლეებმა შეიძლება უპირატესობა მიანიჭონ იმის მოყოლას, რაც თავს გადახდათ, ან რაც გამოიგონეს და არა წაკითხული მოთხრობის შინაარსის გადმოცემას; შესაძლოა მოინდომონ გაგონილი მოთხრობის / ამბის, ნანახი ფილმის შინაარსის გადმოცემა. ასეთი ინიციატივები უნდა წავახალისოთ, რათა მოსწავლეს მოეხსნას შიშის ან უხერხულობის განცდა, შეეჩვიოს აუდიტორიის წინაშე გამოსვლასა და ეფექტური თხრობის საშუალებების გამოყენებას. პირადი ამბები შეიძლება ეხებოდეს, მაგალითად, იმას, თუ როგორ დაარქვეს სახელი, ოჯახის რელიკვიებს, ბებია-ბაბუის ამბებს, შინაურ ცხოველებთან დაკავშირებულ ისტორიებს და ა.შ.

შეიძლება მოსწავლეებს თავად სურთ მოთხრობის შექმნა. ეს ინიციატივაც უნდა წახალისდეს. მათ შეუძლიათ:
– ტრადიციული ან ე. წ. მოარული სიუჟეტების, თემების გამოყენება (სესხება);

– რამდენიმე ვერსიიდან ერთ-ერთის აღება ან ამ ვერსიების გაერთიანება;
– ამბის / მოთხრობის გადანაცვლება დროში: წარსულიდან აწმყოში ან მომავალში;
– ამბის / მოთხრობის გადანაცვლება ერთი გეოგრაფიული გარემოდან სხვაში.

თხრობის დროს

მსმენელებს თხრობის დროს ესაჭიროებათ ისეთი გარემო, რომელშიც კომფორტულად იგრძნობენ თავს. ეს შესაძლებელია იყოს მოხერხებულსავარძლიანი, ხალიჩით ან ბალიშებით გაწყობილი სპეციალური კუთხე (ცხადია, ჩვენ არ ვგულისხმობთ, რომ ასეთი კუთხე მაინცდამაინც საკლასო ოთახში იყოს მოწყობილი. ამისათვის შეიძლება ერთი ოთახის საგანგებოდ აღჭურვა ან ბიბლიოთეკაში ასეთი კუთხის მოწყობა). მსმენელებს ხელი უნდა შევუწყოთ იმაში, რომ მოდუნდნენ და მოთხრობილის მოსმენით სიამოვნება მიიღონ.

მთხრობელსაც უნდა ჰქონდეს მოხერხებული მდგომარეობა. იგი პირდაპირ უნდა უყურებდეს აუდიტორიას, რათა ადვილად დაამყაროს მხედველობითი კონტაქტი მასთან.

მთხრობელს შეუძლია ჩააბნელოს ოთახი, ჩართოს მუსიკა, ან გააკეთოს ნებისმიერი რამ, რაც შესაბამისი გარემოს შექმნაში დაეხმარება. თხრობის ეფექტურობის გასაძლიერებლად მას შეუძლია ვიზუალურ საშუალებებსაც მიმართოს, მაგალითად, მოიშველიოს შესაბამისი ტანისამოსი, თუნდაც რომელიმე ატრიბუტი: ქუდი, შარფი, მანტია ან სხვა რამ; ილუსტრაციები, ფილმები და ა.შ. მსგავს „დახმარებას“ რამდენიმე უპირატესობა აქვს:

- ხელს უწყობს მოსწავლის მოტივირებას, ინტერესის აღძვრას;
- აერთიანებს ვიზუალურ და ზეპირ საქმიანობას;
- უზრუნველყოფს მორცხვი მთხრობელის მხარდაჭერას (მორცხვ მთხრობელს აძლევს საყრდენს, რაც სითამამეს მატებს).

თხრობის შემდეგ

თხრობა დასრულებულია. დგება მოსმენის შედეგად მიღებული გამოცდილების შესახებ საუბრის დრო. ეს მნიშვნელოვანი გზაა იმისათვის, რომ მოსწავლეებმა გააცნობიერონ, რა მოისმინეს, რისთვის და როგორ. მთხრობელსაც ეძლევა თვითშეფასების საშუალება. იმის განხილვა, რაც მოისმინეს, მოსწავლეებს აძლევს საშუალებას, იფიქრონ მოსმენილის საკუთარ ინტერპრეტაციაზე და იმაზეც, თუ რა გავლენა მოახდინა მათმა პირადმა გამოცდილებამ და შეძენილმა ცოდნამ ამ ინტერპრეტაციაზე.

იმისათვის, რომ განვიხილოთ მთხრობელის თხრობის მანერა, სასურველია, მასწავლებელმა თხრობის პროცესი ჩაI-

წეროს ვიდეო ან აუდიო ფირზე. ეს დაგვეხმარება მის შეფასებაში, ხოლო თავად მთხრობელს – თვითშეფასებაში.

მთხრობელმა შეიძლება აუდიოჩანაწერის მოსმენისას შეაფასოს:

- პაუზების გამოყენების ეფექტურობა,
- ინტონაცია,
- აზრის ფორმულირება,
- გარკვეული ბგერითი ეფექტები,
- დროის განაწილება,
- გამეორებები,
- ხმის სიძლიერე და ინტენსივობა.

ვიდეო ჩანაწერის ნახვისას მათ შეეძლებათ შეაფასონ:

- ❖ პოზა,
- ❖ ვიზუალური დამხმარე მასალის ეფექტიანობა,
- ❖ ჟესტიკულაცია,
- ❖ მიმიკა,
- ❖ სხეულის მოძრაობები.

ფირის ნახვის ან მოსმენის შემდეგ მოსწავლე უთუოდ შეძლებს იმის დადგენას, რასაც დახვეწა ესაჭიროება.

ალტერნატივის სახით მასწავლებელს ამგვარი შინაარსის წერილის მიწერა შეუძლია მოსწავლისათვის:

ძვირფასო გიორგი,

შენ გარკვევით საუბრობდი და შენმა თანაკლასელებმა სიამოვნება მიიღეს მოთხრობის მოსმენით. მე განსაკუთრებით ხმის ძლიერი ტონი და ღაბის ალნერა მოგეწონა.

გთავაზობთ თხრობის შეფასების კითხვარის ნიმუშს:

ამბის თხრობის შეფასების კითხვარი

მოსწავლის გვარი და სახელი _____

თარიღი _____

კრიტერიუმები	**ქულა**	**შენიშვნები**
ინტერესის აღძვრა თხრობის ექსპრესიულობა		
აუდიტორიის რეაქცია		
თხრობის გამომსახველობა		
მეგობრული / პოზიტიური დამოკიდებულება აუდიტორიის მიმართ		
ჯამში		
ხმა დიქცია, მეტყველების ტემპი		
ხმის სიმაღლე		
ტემბრი		
ჯამში		

ორგანიზება შესავლის ეფექტურობა		
მოვლენათა თანმიმდევრულობა		
დასკვნის ეფექტურობა		
ჯამში		
არავერბალური საშუალებები ჟესტები, მიმიკა		
მხედველობითი კონტაქტი		
პოზა		
სხეულის მოძრაობები		
ჯამში		

„გონებრივი იერიში“

(„ბრეინშტორმინგი“, შემოქმედებითი იდეების ძიება)

„გონებრივი იერიშის“ მიზანს წარმოადგენს რაც შეიძლება მეტი იდეის მოფიქრება დროის მოკლე მონაკვეთში. თემის შერჩევა შეიძლება კლასის გამოცდილების საფუძველზე. ჯგუფის წევრების მიერ შემოთავაზებული ყოველი აზრი აღინუსხება და არ დაიშვება არავითარი კრიტიკა ან შეფასება, რადგანაც ამ საქმიანობის მიზანი სწორედ ბევრი შემოქმედებითი იდეის გამოვლენაა.

„გონებრივი იერიში“ სამი ეტაპისაგან შედგება:

1. იდეების გენერირება (მოქმედებს პრინციპი: ყველა აზრი მიიღება ყოველგვარი კრიტიკის გარეშე);
2. იდეების გადახედვა (შეიძლება რამდენიმე იდეა მეორდებოდეს სხვადასხვაგვარი ფორმულირებით. მაშინ დარჩება მხოლოდ ერთი. შეიძლება იდეა სცდება თემას, მაშინ მას უნდა შეველიოთ და ა.შ.);
3. იდეების კლასიფიცირება-კატეგორიზაცია / რანჟირება.

ზეპირი მოხსენება

ზეპირი მოხსენების მომზადებისას მოსწავლეები ავითარებენ და ხვეწენ საკლასო თემისა და აუდიტორიისათვის შესაფერისი მასალის შეგროვებისა და მისი აგების / ორგანიზების უნარებს. ეს კი მოითხოვს კრიტიკულ კითხვას, ჩანაწერების, მონახაზის გაკეთებას, რეზიუმირებას. ხშირად მოხსენება აუდიტორიისათვის შეიძლება უფრო მრავლისმეტყველი აღმოჩნდეს, თუ მომხსენებელი გამოიყენებს ისეთ ვიზუალურ საშუალებებს, როგორებიცაა სქემები, გრაფიკები, რუკები, სლაიდები და პროექტორი.

ზეპირი მოხსენება მეტყველების მაღალ დონეს მოითხოვს. თუკი ზოგიერთი მოსწავლე თავს უხერხულად გრძნობს ანგარიშის დროს, მასში საკუთარი თავის რწმენა შეიძლება განვითარდეს სხვა ზეპირმეტყველებით საქმი-

ანობაში მონაწილეობის გზით. ამგვარად მოხდება მისი შემზადება ზეპირი მოხსენებისათვის.

ზეპირ მოხსენებამდე

მოხსენება ჯერ უნდა დაიწეროს და შემდეგ წარმოითქვას ზეპირად. მოსწავლეებს ესაჭიროებათ იმის მითითება, თუ სად და როგორ მოიძიონ ინფორმაცია / მასალა, როგორ მოამზადონ ჩანაწერები და როგორ მიაწოდონ აუდიტორიას ინფორმაცია საკუთარი სიტყვებით.

მოსწავლეებს და მასწავლებელს ერთად შეუძლიათ დაგეგმონ მოხსენება. ამისათვის მათ უნდა გაითვალისწინონ:

- შეარჩიონ საინტერესო თემა და არ გადაუხვიონ თემიდან;
- მოიძიონ, შეაგროვონ და „ააწყონ" სათანადო და ზუსტი ინფორმაცია;
- მიუთითონ გამოყენებული მასალა გასაზიარებელი ინფორმაციისა და აზრების გასამყარებლად;
- განსაზღვრონ სავარაუდო დრო ინფორმაციის მოძიების, დამუშავებისა და წერისათვის.

მოხსენების ნიმუშებია:

- მოხსენება, როგორც წაკითხულის განვრცობა (მაგალითად, თუ წაიკითხეს მოთხრობა, რომლის მოქმედებაც ქვეყნის რომელიმე კონკრეტულ ადგილას

მიმდინარეობს, მოსწავლეებმა შეიძლება მოისურვონ მოხსენების გაკეთება ამ ადგილის შესახებ; ან ადრე აქვთ წაკითხული სხვა მწერლის მოთხრობა ანალოგიურ თემაზე / პრობლემაზე და სურთ ლიტერატურული პარალელების შესახებ მოხსენების გაკეთება).
- მოხსენება, როგორც შესაბამის მასალასთან დაკავშირებული სხვადასხვა ჟანრის შესწავლის შედეგი (მაგალითად, თუ ფილმი გადაღებულია იმ მოთხრობის მიხედვით, რომელიც კლასში წაიკითხეს, მოსწავლეს შეუძლია გააკეთოს მოხსენება ფილმის მიმოხილვის სახით).
- მოხსენება, როგორც კვლევის შედეგი (მაგალითად, მოსწავლეებმა შეისწავლეს და გამოიკვლიეს მათს რაიონში არსებული ტოპონიმიკა და გააკეთეს მოხსენება ამ საკითხზე).

ზეპირი მოხსენების დროს

მნიშვნელოვანია, რომ მოხსენებას ჰქონდეს საინტერესო დასაწყისი და დასასრული. მოსწავლეებმა უნდა გამოIყენონ ჩანაწერები და მარტივი მონახაზები პრეზენტაციIსათვის. იმ მითითებათა შედგენაში, რომლებიც ზეპირი მოხსენების პრეზენტაციისათვის არის საჭირო, მოსწავლეებს შეიძლება მასწავლებელი დაეხმაროს. მაგალითად:

- შესაბამისი ხმის სიმაღლის შერჩევა;

- აუდიტორიასთან აუცილებელი მხედველობითი კონტაქტი;
- კარგი პოზა;
- უსიტყვო მინიშნებების (არავერბალური ხერხების) ეფექტურად გამოყენება.

ზეპირი მოხსენების შემდეგ

მოხსენების მოსმენა იმის საშუალებას აძლევს მსმენელებს, რომ მათ დაამყარონ კავშირი იმას შორის, რაც მათ იციან და რაც მოხსენებით გაიგეს. მსმენელებს შეუძლიათ მოხსენებით მიღებული ინფორმაციის განვრცობა დისკუსიის ან წერილობითი პასუხების მეშვეობით.

თავად ორატორს საკუთარი მოხსენების აუდიოჩანაწერის მოსმენა ან ვიდეოფირის ნახვა იმაში ეხმარება, რომ შეაფასოს, თუ რამდენად კარგად შეძლო საკუთარი თავის გამოხატვა. ორატორს შეუძლია შეაფასოს თავისი წარმატება თვითშეფასების კითხვარის გამოყენებით, მასწავლებელს კი შესაფასებლად შეიძლება ჰქონდეს სხვადასხვა ფორმა: „შეფასების ნუსხა“ ან „სარეიტინგო სკალა“, მოსწავლისათვის მიწერილი წერილი (ის მოსწავლეს სწერს, რა მოეწონა, რამ მიიქცია მისი ყურადღება), მოსწავლისა და მასწავლებლის გასაუბრება, ანუ ინტერვიუ. მნიშვნელოვანია, რომ მოსწავლეებს ესმოდეთ და იცოდნენ ის კრიტერიუმები, რომლებითაც მოხდება მათი შეფასება.

გთავაზობთ ზეპირი მოხსენების შეფასების კითხვარების რამდენიმე ნიმუშს:

მასწავლებლის მიერ ზეპირი მოხსენების შეფასების კითხვარი

მოხსენების სათაური:

წარმომდგენი(ები):

თარიღი:

	1-2	3-5	6-7	8-10
შინაარსი				
მიზნის სიცხადე				
მასალის ორგანიზება (შესავალი, ძირითადი ნაწილი, დასკვნა)				
ინფორმაციის საკმარისობა				
ინფორმაციის სიზუსტე				
წარმოდგენის ხერხები				
ხმა, მკაფიო მეტყველება				
შესაბამისი არავერბალური საშუალებები (ჟესტები, პოზა)				
შესაფერისი ენა (სტილი, ლექსიკა)				

შენიშვნები

მოსწავლის სასწავლო ჩანაწერების ნიმუში
ზეპირი მოხსენებისათვის

(მოხსენების შემდეგ გამოიყენე ეს ფორმა. პასუხები დაგეხმარება შენც და შენს მასწავლებელსაც იმაში, რომ დაადგინოთ, რა ისწავლე და რისი გაუმჯობესება გესაჭიროება).

მომხსენებლის სახელი და გვარი:

თარიღი:

მოხსენების სათაური:

_____

მოხსენების მიზანი / საგანი

_____

რა გავაკეთე (საქმიანობათა თანამიმდევრობა)

_____

_____

_____

რა ვისწავლე

_____

_____

_____

როგორ და რით შემიძლია გავაუმჯობესო ჩემი მოხსენება

_____

_____

_____

მასწავლებლის შენიშვნები

_____

_____

_____

_____

თანატოლთა მიერ ზეპირი მოხსენების
შეფასების ნიმუში

(ამგვარ სარეიტინგო სკალას შეუძლია მოხსენების შემდეგ შეფასებისა და დისკუსიისათვის საფუძვლის უზრუნველყოფა).

მომხსენებლის გვარი და სახელი

თარიღი

თემა _____

შემფასებელი მოსწავლის გვარი და სახელი _____

კითხვები შეაფასეთ ხუთქულიანი სკალით.

სკალა

1 = არა

2 = ძალიან მცირედ

3 = გარკვეულწილად

4 = მნიშვნელოვანწილად

5 = დიდწილად

შინაარსი

ჰქონდა მკაფიო დასაწყისი და დასასრული _____

თემისათვის არ გადაუხვევია _____

მოხსენება იყო კარგად ორგანიზებული _____

ამ მოხსენებიდან მე შევიტყვე და ვისწავლე შემდეგი:

_____

_____

წარმოდგენის (პრეზენტაციის) ხარისხი

მოსწავლე მკაფიოდ საუბრობდა. _____

მოსწავლე საუბრობდა ენთუზიაზმით / ხალისით. _____

მოსწავლემ სხვადასხვა საშუალება გამოიყენა (პროექტორი, დაფა, იუმორი, თვალსაჩინო მასალა) _____

მოსწავლემ დრო ეფექტურად გამოიყენა _____

მოსწავლემ შეძლო მოეწოდებინა მოხსენება მოკლე ჩანაწერების ან კონსპექტის / გეგმის გამოყენებით _____.

საუბარი საინტერესო თემაზე

საუბრამდე

მოსწავლეები არჩევენ მათთვის საინტერესო თემას. მათ ნათელი წარმოდგენა უნდა ჰქონდეთ იმაზე, სად და როდის წარმოადგენენ ამ თემას, განსაზღვრონ საუბრის მიზანი და აუდიტორია. შემდეგ მათ უნდა შეაგროვონ ინფორმაცია და შექმნან საუბრის მონახაზი. მოსწავლეებმა შეიძლება მოამზადონ საორიენტაციო ბარათები, რომლებზეც ჩამოწერილი იქნება ძირითადი საკითხები ან თავისი პრეზენტაციის გასაძლიერებლად მოინდომონ ვიზუალური მასალის გამოყენება (მაგალითად, სლაიდები, აუდიო ან ვიდეო მაგნიტოფონი, სქემები, ფოტოები და ილუსტრაციები).

მოსწავლეებს სჭირდებათ ხელის შეწყობა იმაში, რომ იმარჯიშონ სათქმელის პრეზენტაციაში წარმოსახვითი აუდიტორიის, სარკის ან მეგობრების წინაშე.

მასწავლებელს და მოსწავლეებს შეუძლიათ ერთად შეადგინონ სავარჯიშო მითითებები, მაგალითად:

- შეამოწმე ხმა და მეტყველების სისწრაფე იმაში დასარწმუნებლად, რომ ყველას ესმის შენი ხმა;
- მიანიჭე საუბარს გამომსახველობა ისე, რომ ხმამ ბუნებრივი ელერადობა არ დაკარგოს;
- გადახედე საორიენტაციო ბარათებს იმაში დასარწმუნებლად, რომ ეს ჩანაწერები საუბრის დროს დაგეხმარება;
- ტაქტიანად გამოიყენე საორიენტაციო ბარათები. ნუ შეუქმნი აუდიტორიას ისეთ წარმოდგენას, თითქოს მათ გარეშე ვერაფერს იტყოდი;
- შეამოწმე საკუთარი საუბარი, სანამ აუდიტორიის წინაშე წარდგებოდე (მაგალითად, იკითხეთ: "ხომ არ გამომრჩა რამე მნიშვნელოვანი ან რამე ზედმეტი ხომ არ ჩავრთე?", "ჩემი მოსაზრებები ერთმანეთს მწყობრად და ლოგიკურად მიჰყვება?")
- გადახედე ვიზუალურ საშუალებებს და განსაზღვრე, რამდენად ნაყოფიერი იქნება მათი გამოყენება, რას შესძენს ის შენს საუბარს.

საინტერესო თემაზე საუბრისას

თუ მოსწავლე მომზადებულია, საინტერესო თემაზე საუბარი საყიამოვნო პროცესად იქცევა როგორც მსმენელებისათვის, ისე თავად მოსწავლისათვის. საინტერესო თემაზე საუბარს შეიძლება სხვადასხვა ფორმა ჰქონდეს, დაწყებული წაკითხული მოთხრობის ან ნანახი ფილმის ხუთწუთიანი მიმოხილვით, დამთავრებული სლაიდების თხუთმეტწუთიანი პრეზენტაციით, რომელსაც თან ახლავს განმარტებები. საუბარი მაშინ არის უფრო მიმზიდველი, როცა მოსწავლეები საუბრობენ მშვიდად და საკუთარ თავში დარწმუნებულნი.

საინტერესო თემაზე საუბრის შემდეგ

სავსებით საკმარისია, თანატოლი შეაფასოს კლასის სამმა ან ოთხმა მოსწავლემ. შეფასების კრიტერიუმები განხილული და ჩამოყალიბებული უნდა იყოს საინტერესო თემის წარდგენამდე.

შემფასებლებმა უნდა უპასუხონ შემდეგ კითხვებს:

- **რა იყო საუბრის მიზანი?**
- **რამდენად კარგად იყო დაგეგმილი დრო?**
- **იყო თუ არა გამოყენებული ვიზუალური საშუალებები და რამდენად სასარგებლო იყო?**
- **იყო თუ არა საუბარი წარმოდგენილი ლოგიკური თანამიმდევრობით?**

- **ჩანდა თუ არა აუდიტორია დაინტერესებული? როგორ მიხვდით?**
- **რა უნდა გააკეთოს მომავალში ამ მოსწავლემ თავისი პრეზენტაციის გასაუმჯობესებლად?**

როლური თამაში

როლური თამაში – ეს არის ცხოვრებისეული სიტუაციის იმიტირება რომელიმე კონკრეტული პრობლემის გასააზრებლად და გადასაჭრელად. ეს მეთოდი მოსწავლეებს აძლევს იმის საშუალებას, რომ მათ განივითარონ და შეამოწმონ საკუთარი ცოდნა, უნარები და გამოცდილება მოცემულ სიტუაციაში მოქმედი პირების აზრებისა და გრძნობების გათავისებით. ამ მეთოდს შეუძლია შეასრულოს მოსწავლეებში დამოუკიდებელი აზროვნების განვითარებისა და სწავლის ხელშემწყობის როლი.

როლური თამაში მოსწავლეებს ეხმარება:

- **თანაგანცდის განვითარებაში, რადგანაც ისინი განიხილავენ და ითავისებენ სხვების აზრებს, გრძნობებს და თვალსაზრისებს;**
- **ზეპირი გამოხატვისა და ინტერპრეტაციის უნარების განვითარებაში, რადგან ისინი იყენებენ მეტყველებას იმისათვის, რომ გადმოსცენ ემოციები და გამოხატონ რეაქციები;**

- გადაწყვეტილების მიღებისა და პრობლემის გადაჭრის უნარების განვითარებაში, რადგანაც ცხოვრებისეული სიტუაციების გათამაშებისას ისინი იღებენ უნიკალურ გამოცდილებას;
- ზეპირმეტყველებისა და მოსმენის უნარების განვითარებაში.

როლური თამაშის დაწყებამდე

განსაზღვრეთ როლური თამაშის წყარო. ასეთ წყაროდ ყველაზე ხშირად ლიტერატურა გამოიყენება, თუმცა მედია და მოსწავლეთა ცხოვრებისეული გამოცდილებაც მდიდარი წყაროა როლური თამაშისათვის.

როლური თამაშის დაგეგმვის პროცესი ამგვარია:

- შეარჩიეთ ისეთი საკითხი ან თემა, რომლის შესწავლაც მიმდინარეობს და რომელშიც არის ადამიანური პრობლემები. ამასთან არის ისეთი როლები, რომლებშიც შესაძლებელი იქნება მოსწავლეების გარკვეული რაოდენობის ჩართვა;
- შეარჩიეთ კონცეფცია / იდეა / პრობლემა, რომელსაც შეიცავს თემა და დარწმუნდით, რომ ის სადავო და საინტერესო იქნება მოსწავლეთათვის;
- წინასწარ განსაზღვრეთ თვალსაზრისები, რომლებიც შეიძლება იყოს გამოთქმული;

- ყოველი თვალსაზრისი შეიტანეთ სიტუაციაში იმგვარად, რომ მონაწილე მოქმედი პირები შეეჯახონ გადასაჭრელ პრობლემას;
- შეარჩიეთ სიტუაცია გათამაშებისათვის და როლები მოსწავლეთა და მასწავლებლისათვის.

მაგალითად, მოსწავლეებმა შეარჩიეს სიტუაცია „X".

როლური თამაშისათვის მომზადების საფეხურებია:

- სცენარის შექმნა როლური თამაშისათვის (სცენარში უნდა ჩანდეს გადასაჭრელი პრობლემა);
- როლურ თამაშში მოსწავლეთა ვალდებულებების განსაზღვრა (მაგალითად, ვინ იქნება მთხრობელი, ვინ დასვამს შეკითხვებს, ვინ დახატავს და ა.შ.);
- როლების განაწილება (სასურველია, თუ ბარათებზე დაწერილი იქნება როლი და თითოეული მონაწილის ფუნქცია);
- ოთახის მომზადება (ოთახში მერხების განლაგების შეცვლით დაწყებული, დამთავრებული ავეჯითა და განათებით);
- მოსწავლეებმა უნდა მოიფიქრონ, როგორ შევიდნენ თავიდან როლში (თავიდანვე იმის გააზრება, ვინ არიან, სად არიან და რა ხდება);
- გარკვეული დაძაბულობის შეტანა, რათა ყველა დაინტერესდეს (მაგალითად, ურთიერთსაწინააღმდეგო იდეები ან ამ იდეების გამომხატველი პერსონაჟე-

ბი, გადასაჭრელი პრობლემის აქტუალობა, სიტუაციის იდუმალება და სხვა).

როლური თამაშის დროს

მნიშვნელოვანია, რომ მოსწავლეებმა უსაფრთხოდ იგრძნონ თავი, როდესაც ისინი სხვადასხვა როლში გამოდიან. ყველა უნდა იყოს დარწმუნებული იმაში, რომ არავინ დასცინებს, არ გადაიტანენ განსახიერებული პერსონაჟის თვისებებს მასზე. თამაშის წესების წინასწარ დადგენა და როლური თამაშის შემდგომი საქმიანობების ცოდნა მოსწავლეებს დაეხმარება იმაში, რომ ყურადღებით ადევნონ თვალი თამაშის პროცესს, მზად იყვნენ პასუხებისა და დისკუსიისათვის წარმოდგენის შემდეგ.

როლური თამაშის შემდეგ

როლური თამაში შეფასდება განსჯითი დისკუსიის მეშვეობით. ისიც დასაშვებია, რომ მოსწავლეებმა საკუთარი შთაბეჭდილებები წერილობით გადმოსცენ. ასეთ დროს შეიძლება მოსწავლემ, რომელიც პასიური იყო როლური თამაშის დროს, ძალიან გააზრებულად დაწეროს თავისი შთაბეჭდილებების შესახებ.

მკითხველის თეატრი

მკითხველის თეატრი დრამატული ინტერპრეტაციის ისეთი ფორმაა, როდესაც მოსწავლეები ჩართულნი არიან სცენარის / დრამატული ნაწარმოების ხმამაღლა კითხვაში. მკითხველის თეატრი არ მოითხოვს დეკორაციებს, კოსტიუმებს ან მოქმედებას. მკითხველები გადმოსცემენ განწყობილებას, ტონს, ემოციას და მოქმედ პირთა ხასიათს ხმის, მიმიკისა და ჟესტების მეშვეობით.

მკითხველის თეატრი მოსწავლეებს იმის საშუალებას აძლევს, რომ ივარჯიშონ კითხვისა და მეტყველების უნარების განვითარებაში. ეს ეფექტიანი სტრატეგიაა იმისათვის, რომ მოსწავლეებს განუვითარდეს საკუთარი კითხვის უნარის მიმართ რწმენა, თვითდაჯერებულობა და შემდეგ მათ დამოუკიდებლად შეძლონ ხმამაღლა გამომსახველობითი კითხვა.

შენიშვნა: თუკი ისინი, ვინც მოlსუსტებენ კითხვაში, დაჯგუფდებიან იმათთან, რომლებიც თავისუფლად კითხულობენ, ეს მათ დაეხმარება კითხვის ხარისხის გაუმჯობესებაში.

ჩვეულებრივ, თითო მონაკვეთისათვის მკითხველის თეატრში 5 ან 6 მკითხველი შეირჩევა. შერჩეული მონაკვეთები საინტერესო უნდა იყოს როგორც მკითხველისათვის, ისე მსმენელისათვის. მოსწავლეებს შეუძლიათ დაწერონ

საკუთარი სცენარები ან სცენარად გადააკეთონ მოთხრობები, რომანის ნაწყვეტი ან ეპიკური პოეზია.

მკითხველის თეატრის მიზნებია:

- დაეხმაროს მოსწავლეებს იმის გაცნობიერებაში, რომ მკითხველის თეატრში ხმამაღლა კითხვა, ერთი მხრივ, ლიტერატურული ნაწარმოების ნაწყვეტის გადაცემის, ხოლო, მეორე მხრივ კი, მოქმედ პირთა ხასიათების ინტერპრეტაციისა და გაგების საშუალებაა;
- მისცეს მოსწავლეებს პიესათა შერჩევის გამოცდილება ან სხვა ჟანრის ტექსტების მისადაგება მკითხველთა თეატრისათვის;
- გაავარჯიშოს მოსწავლეები დიალოგებისა და მონოლოგების ინტერპრეტაციასა და გაჯაცემაში;
- გაუძლიეროს ხმამაღლა კითხვით და მოსმენით მიღებული სიამოვნება;
- გაუძლიეროს ლიტერატურის მიმართ პატივისცემისა და ინტერესის გრძნობა;
- განუვითაროს და დაუხვეწოს გემოვნება.

მკითხველის თეატრში მონაწილეობამდე

- კიდევ ერთხელ გადააკითხეთ მოსწავლეებს სცენარი და მოქმედი პირები შეარჩევინეთ ინტერესებისა და კითხვის უნარის გათვალისწინებით;
- განსაზღვრეთ როლები (მაგალითად, მთხრობელი, მოქმედი პირები);
- ყოველი მოსწავლისათვის, რომელმაც უნდა წაიკითხოს, უზრუნველყავით სცენარის თითო ასლი (კარგი იქნება, თუ მონაწილეები საკუთარ როლებს მონიშნავენ მარკერით);
- ჩუმად წააკითხეთ მოსწავლეებს სცენარი;
- განიხილეთ და აუხსენით ყოველი რთული ფრაზა ან გაუგებარი სიტყვა;
- მოსწავლეებს შესთავაზეთ, იმსჯელონ მოქმედ პირებზე (როგორ შეიძლება მეტყველებდნენ ისინი? როგორი მიმიკა, როგორი ჟესტები შეიძლება ჰქონდეთ?)
- მოსწავლეებს იმდენჯერ წააკითხეთ სცენარი, რამდენჯერაც საჭირო იქნება იმისათვის, რომ დარწმუნდნენ საკუთარ შესაძლებლობებში; დარწმუნდნენ იმაში, რომ შეუძლიათ როლთან შეგუება, მორგება და თავისუფლად კითხვა;
- დაეხმარეთ მოსწავლეებს იმაში, რომ რაც შეიძლება ეფექტურად განლაგდნენ (სასურველია, რომ

მაყურებელიც კარგად ხედავდეს მონაწილეებს და მონაწილეებიც – ერთმანეთს).

მკითხველთა თეატრის მიმდინარეობისას

მკითხველთა თეატრის მიმდინარეობისას მხედველობაშია მისაღები შემდეგი:

- მონაწილეებს სცენარის ასლები ხელში უჭირავთ, ან სადგამიან დაფებზეა დამაგრებული, ან მაგიდებზე აწყვია;
- მონაწილეებმა შეიძლება აირჩიონ განლაგების მათთვის სასურველი და მოსახერხებელი ვარიანტი – ყველამ უყუროს იმ მონაწილეს, რომელიც კითხულობს ან ყველა მათგანმა მზერა მიმართოს ერთი წერტილისკენ, მაგალითად, მსმენელთა თავებს ზემოთ. მთავარია ის, რომ არ დაავიწყდეთ „მაყურებელი", რომელიც ცდილობს მკითხველისეული ინტერპრეტაციით სიამოვნება მიღებას.

მკითხველთა თეატრში მონაწილეობის შემდეგ

მკითხველთა თეატრის დასრულების შემდეგ გათვალისწინებულია შემდეგი საქმიანობანი:

- მოსწავლეები ასაუბრეთ ან დააწერინეთ, რა მიმართებაა წარმოდგენის მათეულ ინტერპრეტაციასა და მათ პირად გამოცდილებას ან ადრინდელ ცოდნას შორის;
- გამოყავით დრო იმისათვის, რომ მცირე ჯგუფებში შედგეს განსჯითი დისკუსია სცენარის მკითხველებს შორის (მაგალითად, რამდენად შეძლო ჯგუფმა დავალებისათვის თავის გართმევა; იყო თუ არა სწორად გაკეთებული აქცენტები და სხვა);
- შეაფასეთ მონაწილეები მოსწავლეებთან ერთად წინასწარ შექმნილი შეფასების კრიტერიუმების მიხედვით (მაგალითად, ხმის გამოყენება, მოქმედი პირის ხასიათის განვითარების წვდომა, ჟესტებისა და მიმიკის გამოყენება, ეფექტური პაუზები და სხვა).

ქვემოთ გთავაზობთ მკითხველთა თეატრის მონაწილის შეფასების სქემას. ეს არის ფორმა, რომელიც შეიძლება გამოიყენონ როგორც თანატოლებმა, ისე მასწავლებელმა.

მკითხველთა თეატრის მონაწილის შეფასების სქემა

მოსწავლის გვარი და სახელი _____

თარიღი _____

10 ქულა სკალაზე უმაღლეს ნიშანს წარმოადგენს. ყველა გრაფაში შემოხაზეთ თითო ქულა და თქვენს გადაწყვეტილებას მოკლე შენიშვნები გაუკეთეთ.

შედეგები	ქულა	შენიშვნები
ყველა სიტყვა მკაფიოდ იყო წარმოთქმული?		
იყო აქცენტი გაკეთებული საკვანძო სიტყვებზე?		
განწყობა და გრძნობები ეფექტურად იყო გადმოცემული?		
ხმის სიძლიერე ეფექტურად იყო გამოყენებული?		
ხმის ტონი ეფექტურად იყო გამოყენებული?		
შერჩეული მონაკვეთი აუდიტორიისა და მიზნის შესაბამის ტემპით იყო წაკითხული?		
ამყარებდა თვალით კონტაქტს აუდიტორიასთან?		
ჟესტები შესაბამისად იყო გამოყენებული?		
პუნქტუაცია სწორად იყო გაგებული / ინტერპრირებული?		
შეძლო აუდიტორიის ყურადღების მიპყრობა და შენარჩუნება?		

ინტერვიუ

ინტერვიუ ინფორმაციის მოპოვებისა და მოსწავლეთათვის მეტყველებისა და მოსმენის უნარების განვითარების კარგი საშუალებაა.

ინტერვიუსათვის მოსწავლეებს შეუძლიათ მიმართონ ადამიანებს, რომლებმაც კარგად იციან შესასწავლი თემები. ეს შეიძლება იყვნენ სტუმრები, უფროსი მოსწავლეები ან მასწავლებლები.

მნიშვნელოვანია, რომ ინტერვიუს კონკრეტული მიზანი ჰქონდეს. მაგალითად, მოსწავლეს სურს ჩაატაროს ინტერვიუ მოგზაურთან, რადგან მან წაიკითხა მოგზაურული ჟანრის ნაწარმოები და აღეძრა ინტერესი, უფრო მეტი შეიტყოს მოგზაურობებისა და მოგზაურების შესახებ. ან სისტემატურად უყურებს აკა მორჩილაძის გადაცემას „უცნობი საქართველო“ და გადაწყვიტა მწერალთან გასაუბრება.

ინტერვიუმდე

ნაყოფიერი ინტერვიუ გულდასმით დაგეგმვის შედეგია. მასწავლებელმა და მოსწავლემ ერთად უნდა შეადგინონ საკონტროლო ბარათი ინტერვიუსათვის.

ინტერვიუს მომზადების საფეხურებია:

- მიზნის კარგად გააზრება და ნათლად ჩამოყალიბება;

- დროის, ადგილისა და გარემოს შერჩევა ისე, რომ ეს ორივე მხარისათვის მისაღები და მოხერხებული იყოს. წინა დღეს იმის გადამოწმება, თანახმაა თუ არა რესპოდენტი;
- ინფორმაციის მოძიება ინტერვიუს თემაზე. თემასთან დაკავშირებით საჭირო ლექსიკის შესწავლა;
- საკუთარი დამოკიდებულების გადასინჯვა განსახილველი საკითხის მიმართ (დაუსვით თავს კითხვა, ხომ არა ხართ ტენდენციური, ხომ არ უყურებთ საკითხს ცალმხრივად და ა. შ.);
- იმ საკითხთა სავარაუდო წრის წინასწარ მოხაზვა, რომლებიც შეიძლება ინტერვიუს დროს დამატებით წარმოჩნდეს;
- იმის დაგეგმვა, თუ როგორ ჩაიწერთ ინტერვიუს. თუ აუდიო ან ვიდეო მაგნიტოფონით გსურთ ჩაწერა, წინასწარ აიღეთ ნებართვა რესპონდენტისგან. დარწმუნდით, რომ აღჭურვილობა გამართულად მუშაობს.

ინტერვიუს დროს

მოსწავლეებს ესაჭიროებათ რჩევები იმისთვის, თუ როგორ ჩაატარონ ინტერვიუ. ასეთი რჩევებია:

- გამოიყენეთ ის ენა, რომელიც შეესაბამება გარემოს, საკითხს და გასაგებია ინტერვიუს დამსწრე ადამიანებისათვის (აარიდეთ თავი ძნელად გასაგებ ტერმინებს, განსხვავებულად ესაუბრეთ თანატოლებსა და უფროსებს, დაიცავით ეტიკეტი);
- მზად იყავით მოსაუბრის მხრიდან უსიტყვო მინიშნებებისათვის. უყურეთ სახეში, დაუკვირდით მათს გამომეტყველებას და, თუკი შეატყობთ, რომ არ ესიამოვნათ თქვენი ნათქვამი ან გაკვირვებულნი დარჩნენ შეკითხვით, ხელახლა ჩამოაყალიბეთ სათქმელი;
- ყოველთვის იყავით თავაზიანი. დასარწმუნებლად ხელახლა გააკეთეთ კომენტარები. დააჯამეთ ვრცელი და რთული პასუხები. დასვით დამაზუსტებელი შეკითხვები;
- უმეტესად ასაუბრეთ რესპონდენტი (თავი აარიდეთ ვრცელ და ისეთ შეკითხვებს, რომლებიც შეიცავენ პასუხს, აშკარად ავლენენ თქვენს დამოკიდებულებას).
- გამოიყენეთ უსიტყვო მინიშნებები იმისათვის, რომ გამოამჟღავნოთ თქვენი ინტერესი და მხარდაჭერა რესპონდენტის მიმართ (მაგალითად, კონტაქტი თვალებით, თავის დაქნევა, ღიმილი და სხვა);

- ინტერვიუ დაასრულეთ მასში მონაწილეობის მიღებისათვის მადლობის გადახდით.

ინტერვიუს შემდეგ

მასწავლებელმა ინტერვიუ უნდა განიხილოს კლასში იმ მოსწავლესთან ერთად, რომელმაც ჩაატარა იგი (აუდიო ან ვიდეოჩანაწერი ამ შემთხვევაში დაკვირვებისა და სწავლების კარგ საშუალებად გამოდგება).

თუ ინტერვიუ სკოლის გარეთ ჩატარდა, მოსწავლეს შეუძლია შეაფასოს საკუთარი ნამუშევარი და ანგარიში ჩააბაროს კლასს. თუკი მასწავლებელსა და მოსწავლეებს საშუალება ჰქონდათ თვალი ედევნებინათ ინტერვიუსათვის, მაშინ მოსწავლეებს შეიძლება დაევალოთ შეავსონ თანატოლის შეფასების კითხვარი.

ნიმუში იხილეთ ქვემოთ.

ინტერვიუს შეფასების სარეიტინგო სკალა

მოსწავლის სახელი და გვარი: _____

თარიღი _____

თემა _____

შეაფასეთ ქულებით 1-დან 10-მდე

შედეგი	შეფასება	მაგალითი (დადასტურება)
გამოაჩინა გასაუბრების / ინტერვიუს თემის ხელმიწვდომი ცოდნა		
ფლობს სასაუბრო თემის ლექსიკას		
გათვითცნობიერებულია თემის შესახებ ახალ ინფორმაციასა და სხვადასხვა ფერსიაში		
ინტერვიუ ააწყო შესავლის, ძირითადი ნაწილის / ბირთვის და დასკვნის ფორმით		
მგრძნობიარე იყოს რესპონდენტის რეაქციებისა და არავერბალური მინიშნებების მიმართ		
სადაც საჭირო იყო, სვამდა დამატებით შეკითხვებს		
აჯამებდა, როდესაც იყო საჭირო და აკეთებდა შესაბამის კომენტარებს		
იყო თავაზიანი, ამყარებდა გულთბილ და დაინტერესებულ დამოკიდებულებას		

შენიშვნები

_____

_____

არაოფიციალური კამათი / დებატები

დებატები მოსწავლეებს

- საშუალებას აძლევს მოისმინონ თანაკლასელების მოსაზრებები და გამოთქვან აზრები მათთვის საინტერესო საკითხებზე;
- ეხმარება მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღებაში;
- აქცევს მათ კრიტიკულ მსმენელებად;
- ეხმარება ერთად მუშაობასა და საერთო პრობლემების გაგება-გადაჭრაში.

ამ მეთოდს რამდენიმე უპირატესობა აქვს:

- კამათი / დებატები მოსწავლეებს უყალიბებს კამათის კულტურას;
- კამათი / დებატები ნაყოფიერი მეთოდია ცოდნის მისაღებად, რადგანაც არგუმენტები უნდა იყოს გამაგრებული შესაბამისი, ზუსტი და სრული ინფორმაციით;
- მოსწავლეები, რომლებიც მონაწილეობენ კამათში / დებატებში, სწავლობენ ყველაზე მყარი და დამაჯერებელი არგუმენტების ამორჩევას და უყალიბდებათ საკუთარი თავისადმი რწმენა;

- კამათი / დებატები განსაკუთრებით ავითარებს გუნდური მუშაობის უნარს, ზრდის თითოეულის პასუხისმგებლობას გუნდის წინაშე.

არაოფიციალური კამათის / დებატების დაწყებამდე:

არაფორმალური კამათის / დებატების მიზანი ის არის, რომ მიღწეულ იქნეს სადებატო საკითხის რაც შეიძლება უფრო სრულყოფილი გააზრება ორივე მოკამათე მხრის მიერ.

გთავაზობთ ზოგიერთ მითითებას:

- მასწავლებელი და მოსწავლეები ირჩევენ თემას, რომელიც დაკავშირებულია შესწავლილ ან შესასწავლ მასალასთან. ამ შემთხვევაში „გონებრივი იერიში“ თემების „ჩამოყრის“ საუკეთესო საშუალებაა;
- როდესაც განიხილება რიგი აზრებისა და თემა შეირჩევა, შეიძლება მოსწავლეთა ორი ჯგუფის ჩამოყალიბება. ყოველ ჯგუფში ცალკეული მოსწავლე ან წყვილები შეიძლება პასუხისმგებელნი იყვნენ გარკვეულ დავალებაზე (მაგალითად, არგუმენტების / კონტრარგუმენტების მომზადება). იმ მოსწავლეებს, რომლებიც ერთ ჯერზე მსმენელების როლში არიან, კამათის საშუალება შემდეგში მიეცემათ;

- მზადდება ინსტრუქციების ნუსხა, რომელშიც გათვალისწინებული იქნება კამათის / დებატების ნაყოფიერად წარმართვისათვის სასურველი პირობები (ყოველი მოპაექრისათვის შეთავაზებული დროის ზღვარი, რიგითობის დაცვა, მეორე მხრის არგუმენტებისათვის ყურადღებით მოსმენის აუცილებლობა, ჯგუფში მჭიდრო თანამშრომლობის აუცილებლობა და სხვა).
- წინასწარ ივარაუდება მოწინააღმდეგის შესაძლო არგუმენტები. თანაკლასელებთან ერთად მოსწავლეები გაივლიან მოსალოდნელი დებატების რეპეტიციას, რომელშიც კიდევ ერთხელ შეამოწმებენ როგორც საკუთარ თავს, ისე „მოწინააღმდეგეს“.
- მოძებნიან ანალოგიებს, აგროვებენ მაგალითებს, რომლებიც, შესაძლებელია, დასჭირდეთ საკუთარი პოზიციის გასამყარებლად.

არაოფიციალური კამათის / დებატების დროს:

ზოგიერთი მითითება არაოფიციალური კამათის / დებატებისათვის:

- მოსწავლეები უერთდებიან თავიანთ ჯგუფებს და 15-20 წუთის განმავლობაში აცნობენ თანაგუნდელებს თავიანთ არგუმენტებს;
- გუნდი არგუმენტების განხილვის შემდეგ არჩევს ყოველი არგუმენტის წარმომოქმელს.

არგუმენტების წარმომოქმელები რიგრიგობით საუბრობენ;
- გუნდის რომელიმე წევრი / წევრები ინიშნავს / ინიშნავენ წარმოთქმულ არგუმენტებს. მოსწავლეები დარწმუნებულები უნდა იყვნენ, რომ არ იმეორებენ უკვე გამოთქმულს და უნდა უზრუნველყონ ყველა არგუმენტის ჩაწერა.
- მოკამათეებს უნდა ახსოვდეთ, რომ მათ კონცენტრაცია უნდა გააკეთონ არგუმენტებზე და არა მონაწილეებზე.
- მოსწავლეები მანამ აგრძელებენ დებატების რაუნდებს, სანამ არგუმენტები არ ამოიწურება.
- როდესაც ორივე მხარე ამოწურავს თავის არგუმენტებს, იწყება მასწავლებლის მიერ წარმართული დისკუსია. გთავაზობთ დისკუსიისათვის შემოთავაზებულ ზოგიერთ საკითხს:
  - როგორი ხარისხის იყო შემოთავაზებული მოსაზრებები? რატომ თვლით ასე?
  - რომელი არგუმენტები ჩანდა ყველაზე უფრო სარწმუნო და დამაჯერებელი?
  - წარმოიშვა თუ არა კამათისას ისეთი მოსაზრებები, რომლებიც მონაწილეებს

შეეძლოთ არ განეხილათ (სადებატო საკითხისათვის ნაკლებმნიშვნელოვანი იყო), მაგრამ მასზე მაინც დახარჯეს დრო და ენერგია?

- რომელი არგუმენტები მოგეჩვენათ იმდენად ძლიერად, რომ შეეძლო ზოგიერთი მოსწავლის მოსაზრებების შეცვლა?

არ არის აუცილებელი და ბევრ შემთხვევაში რეკომენდებულიც, რომ გამოცხადდეს კამათში „გამარჯვებული" ჯგუფი. მაგრამ, თუ მასწავლებელი და მოსწავლეები მაინც გადაწყვეტენ, ეს შეიძლება ამგვარად გაკეთდეს:

- ყოველი ძალიან დამაჯერებელი ან ორიგინალური არგუმენტისათვის ჯგუფი ქულას მიიღებს;
- არგუმენტის გამეორებისათვის ქულა არ იწერება (შეიძლება დააკლდეს კიდეც);
- იგებს ის ჯგუფი, რომელსაც მეტი ქულა აქვს.

არაოფიციალური კამათის / დებატების შემდეგ

კამათზე / დებატებზე მოსწავლეებმა შეიძლება მოახდინონ რეაგირება ინდივიდუალურად, წერილობით. წერილობითი ფორმა საუკეთესო ვარიანტია, რადგანაც მანამდე უკვე გაიმართა საკმაოდ ვრცელი მსჯელობა, ხელი შეეწყო მოსმენისა და მეტყველების უნარების განვითარებას. ახლა კარგი იქნება, თუ წერაზეც ვიზრუნებთ. სასურველია, შეჯამდეს სადებატო საკითხი და თუ ეს წერილობით მოხდება, კარგია.

მოსწავლეებს შეუძლიათ:

- შეადარონ ის, რაც კამათის დროს ისწავლეს, ადრინდელ ცოდნას;
- გააღრმავონ იმ საკითხის შესწავლა, რომელიც კამათისას წარმოიშვა (შეიძლება ამ საკითხზე ფიქრისა და მუშაობის გაგრძელება იყოს საკონფერენციო თემების მომზადება, პროექტების შექმნა, მოსწავლეთა ჟურნალის გამოცემა და სხვა);
- კომენტარი გაუკეთონ არაოფიციალური კამათის / დებატების უპირატესობებსა და სუსტ მხარეებს;
- მასწავლებელს ან მეგობარს უამბონ (წერილობით ან არაოფიციალურ საუბარში) იმ დამოკიდებულების შესახებ, რომელიც გაუჩნდათ კამათის / დებატების შემდეგ.

კოოპერაციული / ერთობლივი სწავლა

კოოპერაციული / ერთობლივი სწავლა მნიშვნელოვანი მეთოდია იმ თვალსაზრისით, რომ

- მოსმენისა და მეტყველების უნარებთან ერთად ავითარებს კითხვისა და გარკვეულწილად წერის უნარ-ჩვევებს;

- ხელს უწყობს მიზნის მისაღწევად მოსწავლეების ჯგუფურ თანამშრომლობას;
- მიზნის მისაღწევად აუცილებელს ხდის ჯგუფის ყოველი წევრის მონაწილეობას;
- წარმატება და შეფასება ეფუძნება ჯგუფის წევრთა თანამშრომლობას: როგორც ინდივიდუალური წვლილის შეტანას, ისე ჯგუფის შიგნით საქმიანობას.

კოოპერაციული / ერთობლივი სწავლა განსაკუთრებით შედეგიანია საშუალო საფეხურზე, როდესაც მოსწავლეებს აქვთ ადიარების ბუნებრივი სურვილი. ამ ასაკში ძლიერია შეჯიბრებისაკენ სწრაფვა და ინდივიდუალური ძალისხმევა თვითდამკვიდრებისათვის. ასეთ დროს კარგია კოოპერაციული / ერთობლივი სწავლების გამოყენება, რადგან მას აქვს უპირატესობა: მოსწავლეები ერთად შრომობენ და ერთმანეთს ეხმარებიან. მოქმედებს პრინციპი: "ერთი ყველასათვის, ყველა ერთისათვის".

კოოპერაციული / ერთობლივი სწავლის მიზნებია:

- ერთმანეთს შორის ურთიერთობის გაღრმავება;
- ლიდერობის უნარის განვითარება და საკუთარი თავის მიმართ რწმენის გაღრმავება; მოსწავლეთა თვითშეფასების გაზრდა;
- მოსწავლეთა სტიმულირება, რათა მათ საკუთარ თავზე აიღონ სწავლაზე პასუხისმგებლობის წილი;

- მოსწავლეთა მიერ იმის გაცნობიერება, თუ რა საჭიროებები და პრობლემები აქვს ჯგუფს;
- ენობრივი და სააზროვნო უნარების გაუმჯობესება დისკუსიების, დაგეგმვისა და პრობლემების გადაჭრის მეშვეობით;
- მნიშვნელოვანი სოციალური უნარების განვითარება, ისეთების, როგორიც არის ყურადღებით მოსმენა, სხვათა აზრების პატივისცემა.

ზოგიერთი მითითება, რომლებიც მხედველობაშია მისაღები:

კოოპერაციული / ერთობლივი სწავლის საქმიანობის დაწყებამდე

- შეადგენინეთ მოსწავლეებს ჯგუფში მუშაობის ქცევის წესები;
- ჯგუფური ნამუშევრის შეფასების კრიტერიუმები დაადგინეთ მანამ, სანამ მოსწავლეები თავ-თავისი დავალებების შესრულებას შეუდგებიან;
- ჯგუფები უნდა იყოს შერეული (როგორც სქესის, ისე შესაძლებლობების მიხედვით);
- ჯგუფის ამოცანა ისე უნდა იყოს ჩამოყალიბებული, რომ მის შესასრულებლად თითოეული წევრის მონაწილეობა აუცილებელი გახდეს;

- ყოველ წევრს სპეციფიკური როლი უნდა ჰქონდეს. თავიდან როლებს მასწავლებელი გაანაწილებს, მაგრამ, იდეალურ შემთხვევაში, როლებს თავად ჯგუფი განსაზღვრავს და ადგენს თითოეული წევრის მოვალეობებს თანამშრომლობისა და კონსენსუსის გზით.

კოოპერაციული / ერთობლივი სწავლის დროს

კოოპერაციული / ერთობლივი სწავლის პროცესის საფეხურებია:

- კლასი იყოფა იმდენ 4-5კაციან ჯგუფად, რამდენ ნაწილადაც არის ტექსტი დაყოფილი;
- ჯგუფის ყოველი წევრს აქვს ნომერი (მინიჭებული ან გადათვლით, ან ბარათებით); ერთი ნომრის (შეიძლება ფერის) მქონე მოსწავლეები ქმნიან "ოჯახს";
- მოსწავლეები გადადიან "ოჯახიდან" "ექსპერტთა" ჯგუფში იმ თანაკლასელებთან ერთად, რომლებსაც იგივე ნომერი აქვთ (მაგალითად, ყველა მოსწავლე, რომელსაც აქვს № 2, ერთმანეთს შეხვდება). ერთი ნომრის მოსწავლეები ხდებიან ტექსტის კონკრეტული ნაწილის ექსპერტები;
- ექსპერტთა ყოველ ჯგუფს აქვს ტექსტის კონკრეტული ნაწილი ან ქვეთემა და გარკვეული

ამოცანა. მოსწავლეები კითხულობენ, იკვლევენ თავიანთ დავალებას. მათ უნდა განსაზღვრონ, თუ როგორ აღნუსხავენ და როგორ ჩააბარებენ ანგარიშს თავანთი "აღმოჩენების" შესახებ "ოჯახის წევრებს". მოსწავლეებმა ისე უნდა დაამუშაონ საკუთარი ნაწილი, რომ დაინტერესონ სხვები, ადვილად აუხსნან და გააგებინონ მათ.

- როდესაც ამოცანა ან ქვეთემა დასრულებულია, მოსწავლეები უბრუნდებიან თავიანთ "ოჯახებს", ანუ თავდაპირველ ჯგუფებს;
- ყოველი მოსწავლე უზიარებს დანარჩენებს თავის გამოცდილებას იმის სესახებ, თუ რა ისწავლა ან გააკეთა, როდესაც ის ექსპერტთა ჯგუფში იყო.

კოოპერაციული / ერთობლივი სწავლის შემდგომ

მასწავლებელი აფასებს მოსწავლეთა მონაწილეობას და ადგენს წინსვლის ხარისხს, აჯამებს ჯგუფებზე დაკვირვების შედეგებს. ასევე მოსწავლეები აფასებენ როგორც საკუთარ თავს, ისე ჯგუფის წევრებს.

კ ი თ ხ ვ ა

კითხვა ის საშუალებაა, რომლითაც ადამიანი მთელი ცხოვრების განმავლობაში სწავლობს და იღებს ახალ ინფორმაციას. იმისათვის, რომ ის იყოს უკეთ ინფორმირებული, განსწავლული, ესმოდეს საკითხები, რომლებიც გავლენას მოახდენს მის ცხოვრებაზე, უნდა იკითხოს წიგნები, ჟურნალ-გაზეთები, სახელმძღვანელოები, სხვა წერილობითი **წყაროები**. მაგრამ, სანამ კითხვას დაიწყებს, მან:

ა) უნდა იცოდეს, ***რისთვის*** კითხულობს;

ბ) უნდა იცოდეს, ***რა*** წაიკითხოს, ანუ თავად აიღოს პასუხისმგებლობა კითხვაზე;

გ) უნდა იცოდეს, ***როგორ*** წაიკითხოს (რა ხერხები და საშუალებები, კითხვის რომელი სტრატეგიები გამოიყენოს).

კითხვა ერთიანი პროცესია, რომელიც ხელს უწყობს მოსწავლეთა საერთო განვითარებას და რომლის დახასიათება შეიძლება სამი ასპექტის მიხედვით:

1. კითხვა არ ნიშნავს ცალკეული ასოების, მარცვლების, სიტყვების ან თუნდაც ცალკეული წინადადებებისა და ფრაზების ამოკითხვას. კითხვა, როგორც სასწავლო ქმედება, აქტი, ხორციელდება მაშინ, როცა ყველა

ზემოთ ჩამოთვლილი ელემენტის წაკითხვის უნარ-ჩვევა ერთიანდება მთლიანი ტექსტის გასაგებად;

2. კითხვა ხანგრძლივი პრაქტიკის შედეგია. მხოლოდ მუდმივი ვარჯიშის შემდეგ უვითარდება მოსწავლეს გააზრებული და დამოუკიდებელი კითხვის უნარ-ჩვევა;

3. კითხვა კომპლექსური კომუნიკაციური პროცესია, საუბარია მკითხველსა და ავტორს შორის, სოციალური აქტია, რომელიც მოითხოვს ფიქრსა და თანამონაწილეობას. კითხვა ყოველთვის გულისხმობს ინტერპრეტაციას, რომელსაც წინ უძღვის გაგების პროცესი; წაკითხულის გაგების ხარისხი კი დამოკიდებულია მკითხველის მომზადების დონეზე, კითხვის მიზანსა და წასაკითხი ტექსტის შინაარსზე.

კითხვის მიზნები და სახეები

კითხვას შეიძლება ჰქონდეს სხვადასხვა მიზანი: ტექსტის შესახებ ზოგადი წარმოდგენის შექმნა, კონკრეტული და სპეციფიკური ინფორმაციის მოპოვება, გართობა და სიამოვნების მიღება, ღრმა და საფუძვლიანი შესწავლა და სხვა. მიზნის შესატყვისად შეირჩევა კითხვის სახეობა, ანუ კითხვის სტრატეგია.

კითხვის მიზნისა და სახეობის შესაბამისობის საილუსტრაციოდ იხილეთ ქვემოთ წარმოდგენილი სქემა.

კითხვის სახე / სტრატეგია	გამოიყენება, როცა
ზედაპირული, ე. წ. გაცნობითი კითხვა	გვინდა ტექსტის შესახებ ზოგადი წარმოდგენის შექმნა.
გადათვალიერება	გვინდა ცალკეული კონკრეტული ინფორმაციის მოპოვება (თარიღი, რომელიმე ტერმინი, გეოგრაფიული ადგილი და სხვ.), საჭირო ადგილის მოძებნა.
სწრაფი კითხვა	მიზნად გვაქვს გართობა / სიამოვნების მიღება.
ნელა და ყურადღებით კითხვა, ე. წ. შესწავლითი კითხვა	მასალა რთულია, შეიცავს უცნობ ცნებებს, სიტყვებს, სპეციფიკურ ლექსიკას; გააზრებას მოითხოვს ცალკეული დეტალები, გვინდა დასკვნების გამოტანა; გვინდა იდეების შეფასება, პრობლემაზე მსჯელობა, რაღაცის საფუძვლიანი შესწავლა.

რა აადვილებს და ახალისებს კითხვის პროცესს?

კითხვა ინტერაქციულ(დიალოგურ)-კონსტრუქციული პროცესია, რომლის დროსაც მკითხველი ადარებს ახალწაკითხულს იმას, რაც მან უკვე იცის. კარგ მკითხველს ყოველთვის აქვს პიროვნული მოლოდინი წასაკითხი ტექსტის მიმართ, რაც ხშირ შემთხვევაში გამოიხატება ვარაუდების, ჰიპოთეზების გამოთქმით. კითხვის დროს ეს ვარაუდები მოწმდება, რაც სახალისოსა და აქტიურს ხდის პროცესს.

კითხვის დიალოგურ-კონსტრუქციული მოდელი ცხადყოფს იმას, რომ თითოეული მოსწავლის დამოკიდებულება ტექსტის მიმართ განსხვავებულია და ის ამ დამოკიდებულებას აგებს უნიკალურ პიროვნულ გამოცდილებაზე, უკვე არსებულ ცოდნაზე.

კითხვა მაშინ გადაიქცევა სახალისო საქმიანობად, როცა მოსწავლე გაიგებს წაკითხულს. წაკითხულის გაგებაზე კი გავლენას ახდენს რამდენიმე ფაქტორი, კერძოდ:

- "სამყაროს", ე.წ. ზოგადი ცოდნა და ცხოვრებისეული გამოცდილება;
- თემის, ანუ ე.წ. ფონური, ცოდნა;
- ლინგვისტური ცოდნა;
- ტექსტის სტრუქტურის ცოდნა;
- მეტაკოგნიტური ცოდნა.

"სამყაროს" ცოდნა და ცხოვრებისეული გამოცდილება მოსწავლეს ეხმარება წაკითხულის წარმოსახვაში. იგი ადვილად უკავშირებს ტექსტებში ამოკითხულს სინამდვილეს, გადააქვს ის საკუთარი გამოცდილებისა და ცოდნის კონტექსტში, ადარებს, პოულობს მსგავსება-განსხვავებებს და ხედება, რომ, მიუხე-

დავად მსგავსებისა, თითოეული ინდივიდი უნიკალურია, ისევე, როგორც უნიკალურია ყოველი ერი. მას უჩნდება შემწყნარებლური დამოკიდებულება განსხვავებული აზრის, შეხედულებების, კულტურის მიმართ და უადვილდება სხვისი ნააზრევის გაგება. მოსწავლე ბევრ კითხვაზე ამ ცოდნის წყალობით, ზოგად კანონზომიერებებზე დაყრდნობით უპასუხებს.

თემის, ანუ ე. წ. ფონური, ცოდნა უადვილებს მოსწავლეს წაკითხულის გაგებას იმდენად, რამდენადაც მან უკვე იცის ტექსტის თემასთან დაკავშირებული ფაქტები, ძირითადი ცნებები და ტერმინები. მოსწავლეს გონებაში აქვს ამ თემასთან დაკავშირებული ცოდნის ორგანიზებული კონსტრუქციები, სქემები, რომლებიც მას ეხმარება წაკითხულის გაგებაში და იცვლება წაკითხულისაგე გავლენით. ამ სქემების საშუალებით უყალიბდება მკითხველს ჰიპოთეზებიცა და დასკვნებიც.

ლინგვისტური ცოდნა (სინტაქსური კავშირები, სასვენი ნიშნების ხმარების წესები, წინადადების აგების კანონზომიერებანი და სხვ.) გავლენას ახდენს ტექსტის გაგებაზე. თუ მოსწავლე ჩამოყალიბდა წარმატებულ მკითხველად, იგი იმდენად ითავისებს ენობრივ სისტემას, რომ ავტომატურად იყენებს გრამატიკულ ფორმებს წაკითხულის გასაგებად. მაგალითად, წინადადებაში სიტყვათა წყობით, სინტაქსური კავშირებით მოსწავლეს შეუძლია ივარაუდოს მისთვის უცნობი სიტყვის მნიშვნელობა. ასევე შეუძლია ახალი ლექსიკური ერთეულის მნიშვნელობის გაგება გარემომცველი სიტყვების, მომდევნო წინადადებების საშუალებით.

ტექსტის სტრუქტურის ცოდნაც ხელს უწყობს გაგებასა და დამახსოვრებას. ამ ცოდნის წყალობით მოსწავლეს შეუძლია ტექსტების კლასიფიცირება და მათთვის კითხვის შესაბამისი სტრატეგიის შერჩევა. მაგალითად, ლექსს კითხულობს ხმამაღლა და ყურადღებით უსმენს როგორც საკუთარ, ისე სხვის წაკითხულს; ვრცელ ტექსტს ყოფს ნაწილებად და ნაწილებს შორის დაადგენს მიზეზშედეგობრივ კავშირებს; აღმოაჩენს პარაგრაფებად დაყოფის საფუძველს და სხვ.

მეტაკოგნიტური ცოდნა მოსწავლეს აძლევს იმის გაცნობიერების საშუალებას, თუ როგორ მიმდინარეობს წაკითხულის გაგების პროცესი. მისი წყალობით იგი თვალს ადევნებს საკუთარი ცოდნის შეძენის პროცესს. კარგი მკითხველები იყენებენ კითხვის სხვადასხვა სტრატეგიას და გონებაში ერთმანეთს ადარებენ მათი გამოყენების ეფექტიანობას. ისინი იაზრებენ, როდის მოხდა წაკითხულის წარმოსახვა, როდის დასჭირდათ

ხელახლა წაკითხვა, როდის მიმართეს ლექსიკონს, როდის შეაჯამეს გონებაში წაკითხული და ა. შ.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ყველა მოსწავლე ერთმანეთისგან განსხვავდება ცოდნით, გამოცდილებითა და მზაობით. ამას ემატება პიროვნული თვისებები, სწავლის სტილი, ინტელექტუალური უნარები, ინტერესები და მოთხოვნილებები. კითხვის სწავლების პროცესი სახალისო, ნაყოფიერი და წარმატებული იქნება, თუ მასწავლებელი გაითვალისწინებს თითოეულს.

რამდენიმე რჩევა მასწავლებლებს

თუ ჩვენ, მასწავლებლები, ყურადღებას გავამახვილებთ საკითხავი მასალის მხოლოდ და მხოლოდ აღქმაზე, მაშინ მოსწავლეებს აქტიურად ვერ ჩავრთავთ კითხვის პროცესში, ვერ შევუქმნით ენის საფუძვლიანი შესწავლისა და, საერთოდ, აზროვნების განვითარების პირობებს. "წაკითხულის აღქმაში" ჩვენ ხშირ შემთხვევაში ვგულისხმობთ იმას, რომ მოსწავლე მეხსიერებით აღადგენს ფაქტებს, სახელებს, მოქმედების ადგილს, ძირითად მოვლენებს; მაგრამ შეგვიძლია იმის თქმა, რომ ყველას, ვინც გადმოსცემს ტექსტში მოცემულ ინფორმაციას, ესმის წაკითხული?

გაგება, განსხვავებით აღქმისაგან, აზროვნების განვითარების უფრო მაღალი საფეხურია, რომელიც გულისხმობს იმას, რომ მოსწავლემ გაიაზრა ტექსტში წამოჭრილი ძირითადი იდეები, გაამდიდრა განსახილველი საკითხის შესახებ საკუთარი ცოდნა, შეუძლია საჭიროების შემთხვევაში ტექსტის იდეის, მასში გადმოცემული ინფორმაციისა და კონცეფციების გამოყენება. ამ შემთხვევაში ცხადი ხდება, რომ მეხსიერებით ტექსტის უბრალო აღდგენა არ ნიშნავს მის გაგებას.

კითხვა რომ სასარგებლო იყოს, მკითხველმა უნდა შეძლოს ტექსტის გაგება და ინტერპრეტაცია. ეს კი მოხერხდება მხოლოდ მაშინ, თუ მოსწავლე დააკავშირებს იმას, რასაც კითხულობს, იმასთან, რაც იცის. მასწავლებლის უმთავრესი ამოცანა უნდა იყოს, დაეხმაროს მოსწავლეს ამ კავშირის დამყარებაში, გააზრებული კითხვის უნარის გამომუშავებაში, ასწავლოს, როგორ განსაზღვროს კითხვის მიზანი, როგორ მიიღოს კითხვით სიამოვნება, როგორ დაამყაროს კონტაქტი ტექსტთან და როგორ მივიდეს მეხსიერებით ტექსტის უბრალო აღდგენიდან მის კომპლექსურ გაგებამდე.

რა უნდა გააკეთოს მასწავლებელმა ამ ამოცანის განსახორციელებლად?

ნათლად და მკაფიოდ ჩამოაყალიბოს თითოეული ტექსტის წაკითხვის მიზანი (რატომ ვაკითხებ ამ ტექსტს?

რა უნდა იცოდნენ და რა უნდა შეძლონ ამ ტექსტის წაკითხვის შემდგომ მოსწავლეებმა?);

- გაითვალისწინოს მოსწავლეთა ინტერესები და საჭიროებები (რამ შეიძლება ამ ტექსტში ისინი დაინტერესოს? რამდენად სჭირდებათ ის, რასაც წაკითხვისას ისწავლიან და გაიგებენ? რაში გამოიყენებენ წაკითხულს?)
- გამოიყენოს მუშაობის სხვადასხვა ფორმა: ინდივიდუალური, წყვილური, მცირე ჯგუფებში, მთელ კლასთან;
- უზრუნველყოს დროის სწორი განაწილება (იცოდეს, რამდენი დრო დაუთმოს ხმამაღლა და ჩუმად კითხვას, დისკუსიას და ა.შ.);
- უზრუნველყოს ყველა მოსწავლის ჩართვა კითხვის პროცესში;
- რეგულარულად თავად უკითხოს ხმამაღლა მოსწავლეებს. მისცეს გამომსახველობითი კითხვის ნიმუში;
- ხშირად აკითხოს ხმამაღლა მოსწავლეებს და ავარჯიშოს გამომსახველობით კითხვაში;
- ავარჯიშოს მოსწავლეები კითხვის სხვადასხვა სახეობაში (იხ. ზემოთ მოცემული სქემა);
- კითხვის დაწყებამდე გააქტიუროს მოსწავლეთა წინარე ცოდნა, საგაკვეთილო საკითხთან დაკავშირებული, ამისათვის თავისუფლად, შეუზღუდავად გამოათქმევინოს მოსაზრებები. ჰიპოთეზები, ვარაუდები;

- მისცეს მოსწავლეებს დრო ჩუმი კითხვისათვის;
- გამოიყენოს სხვადასხვა სტრატეგია, თავიდან აიცილოს ერთფეროვნება;
- გამოიყენოს ისეთი სტრატეგიები, რომლებიც ხელს უწყობენ წაკითხულის გააზრებას, ავითარებენ კრიტიკულ აზროვნებას;
- აჩვენოს მოსწავლეებს, როგორ იგება ტექსტი. ასწავლოს მათ ტექსტის აზრობრივ ნაწილებად დაყოფა;
- არ შემოიფარგლოს მხოლოდ მოკლე ნაწყვეტების კითხვით. მოსწავლეებს მისცეს მთლიანი ტექსტის წაკითხვის შესაძლებლობა გაკვეთილზეე ან სახლში, დამოუკიდებლად;
- მისცეს მოსწავლეებს წასაკითხი ტექსტის არჩევის შესაძლებლობა;
- შეუნაცვლოს ერთმანეთს ხელმძღვანელობითი (ინსტრუქციით კითხვა) და დამოუკიდებელი კითხვა, რათა მოსწავლეებმა შეძლონ ხელმძღვანელობითი კითხვის დროს მიღებული უნარ-ჩვევების გამოყენება დამოუკიდებელი კითხვისას;
- უზრუნველყოს საკითხავი ტექსტის მრავალფეროვნება (სხვადასხვა ტიპისა და ჟანრის ტექსტები);
- გაითვალისწინოს, რომ წაკითხულის გაგება და გააზრება უფრო ადვილია თანატოლებთან ურთიერთობისას, ვიდრე იზოლაციაში;

- კითხვის უნარი განუვითაროს მოსწავლეებს წერის, მოსმენისა და ლაპარაკის უნარ-ჩვევებთან ინტეგრირებულად;
- წაახალისოს წაკითხულთან დაკავშირებით გამართულ დისკუსიებში მოსწავლეთა მონაწილეობა; შექმნას აზრის თავისუფლად გამოთქმის ატმოსფერო; გაათავისუფლოს მოსწავლეები შიშის კომპლექსისაგან;
- დისკუსიებში შეასრულოს გზამკვლევის და არა წარმმართველის როლი;
- ჯგუფებად დაყოფისას გაითვალისწინოს მოსწავლეთა შესაძლებლობები და გამოიყენოს როგორც ჰეტეროგენური (სხვადასხვა დონის მოსწავლეთა დაჯგუფება), ისე ჰომოგენური (ერთი დონის მოსწავლეთა დაჯგუფება) პრინციპი.

კითხვის პროცესში აუცილებელია სამი უმთავრესი ელემენტის არსებობა. ეს არის ***დრო, არჩევის შესაძლებლობა და წაკითხულის შესახებ აზრის გამოთქმა.***

სკოლებში, გაკვეთილებზე, მოსწავლეებს მეტი დრო უნდა გამოვუყოთ როგორც ჩუმი, ისე ხმამაღლა კითხვისათვის. იმის დადგენა, თუ კონკრეტულ დროში რა მოცულობის ტექსტის წაკითხვას ახერხებს მოსწავლე და რამდენად იგებს წაკითხულს, გვეხმარება მოსწავლის შესაძლებლობებისა და არსებული დონის დიაგნოსტირებაში. ხმამაღლა კითხვა საშუალებას გვაძლევს ყურადღება გავამახვილოთ გაგების ხარისხზე, პაუზები და ინტონაციები ხშირად წაკითხულის გაგების ინდიკატორად გამოგვადგება.

როცა მოსწავლეებს შეუძლიათ თავად ***აირჩიონ წასაკითხი მასალა,*** მათ უჩნდებათ ე.წ. "საკუთრების გრძნობა" ტექსტის მიმართ. ეს გრძნობა პირველი ნაბიჯია კარგ მკითხველად ჩამოყალიბების გზაზე. სწორედ "საკუთრების გრძნობა" აძლევს მათ საშუალებას, განსაზღვრონ კითხვის მიზანი, დაიკმაყოფილონ ინტერესი, შეაფასონ საკუთარი შესაძლებლობები. ამიტომ უარი ვთქვათ იმ პრაქტიკაზე, როცა მხოლოდ ჩვენ ვურჩევთ წასაკითხ მასალას მოსწავლეებს, ჩვენ ვუსაზღვრავთ ვადას, რა დროში წაიკითხონ და ჩვენვე ვუყალიბებთ მიზანს. ასეთი შეზღუდვა და ძალდატანება უკარგავს მათ კითხვის ხალისს, მოტივაციას, უყალიბებს არაობიექტურ თვითშეფასებას.

ხშირად კითხვა არ ადიქმება სოციალურ აქტად. მაშინაც კი, როცა მოსწავლეები ხმამაღლა, რიგრიგობით კითხულობენ მონაკვეთებად დაყოფილ ტექსტს, ამ პროცესს ვერ ვუწოდებთ სოციალურს. კითხვა, უპირველეს ყოვლისა, საუბარია მკითხველსა და ავტორს შორის, რომელიც უნდა გაფართოვდეს სხვა მკითხველების ჩართვით. ეს მოხდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ისინი

ერთმანეთს გაუზიარებენ მოსაზრებებს წაკითხულის შესახებ, შეუზღუდავად გამოთქვამენ საკუთარ შეხედულებებს. მოსწავლეს უნდა მივცეთ წაკითხულით აღძრული შთაბეჭდილებების თანაკლასელებისათვის გაზიარების, გულწრფელი აზრის გამოხატვის შესაძლებლობა. ასე ისინი უკეთ გაიაზრებენ ტექსტს, მიღებულ ინფორმაციას, იდეებს, შეხედულებებს. ეს მოსწავლეებს სჭირდებათ თვითრეალიზაციისა და თვითდამკვიდრებისათვის, ხოლო იმის მოსმენა, რა წაიკითხეს მათმა მეგობრებმა, რა მოეწონათ, რა დაამახსოვრდათ – გამოცდილების გამდიდრებისათვის. ეს არის ახალი იდეების, ახალი შეხედულებების, უცნობი საკითხების *აღმოჩენის გზა.* ბავშვები ამას სპონტანურად აკეთებენ, მაგრამ სკოლის გარეთ. თუ იმავე სიტუაციას საკლასო გარემოში გადმოვიტანთ, კითხვა გადაიქცევა ჭეშმარიტად სოციალურ აქტად, რომელიც ხელს შეუწყობს არა მარტო მოსწავლის აზროვნების, არამედ მის პიროვნულ განვითარებასაც.

ტექსტი – კითხვის რესურსი

სხვადასხვა სახისა და ჟანრის ტექსტები ის საშუალებაა, რომლითაც მოსწავლეები სწავლობენ ენას, მის გამოყენებას. ტექსტები შეიძლება სამ ძირითად კატეგორიად (სახედ) დაჯგუფდეს: შემოქმედებით, შემეცნებით და

პრაქტიკული (პრაგმატული) ხასიათის ტექსტებად (იხ. ქვემოთ მოცემული სქემა).

ტექსტის სახეები		
შემოქმედებითი	შემეცნებითი	პრაგმატული
ლექსი, მოთხრობა, იგავი, ლეგენდა, ჩანახატი, ზღაპარი, მითი, ბალადა, გადმოცემა, გამოცანა, ანდაზა, ენის გასატეხი და სხვა.	ანალიზი, მსჯელობა, მოსხენება, დასკვნა, რეზიუმე, ანოტაცია, მიმოხილვა, საგაზეთო სტატია, ისტორიული ინფორმაცია, ენციკლოპედიური სტატია და სხვა.	ანგარიში, ავტობიოგრაფია, ახსნა-განმარტება, განცხადება, სარეკლამო ტექსტი, პირადი წერილი, მოხსენებითი ბარათი, ინსტრუქცია და სხვა.

სხვადასხვა სახის ტექსტები ენის შესწავლასთან ერთად ემსახურება ურთიერთობების, ადამიანური ხასიათებისა და ცხოვრებისეული საკითხების კვლევას. განსაკუთრებით ეს ითქმის მხატვრულ ტექსტებზე. მაგრამ მოსწავლეებს ცხოვრებაში ისეთი ტექსტებიც მრავლად შეხვდებათ, რომელთაც პრაგმატული ან სასწავლო, შემეცნებითი დანიშნულება აქვთ. ისინი ასეთი ტექსტების გაგების, გააზრებისა და გამოყენებისათვისაც უნდა იყვნენ მზად.

როგორ შევარჩიოთ ტექსტები? ამ კითხვაზე პასუხის გაცემას შემდეგ თავში შევეცდებით.

ტექსტების შერჩევა

„ეს ტექსტი უფრო იოლი იყო, ვიდრე ის, წინა გაკვეთილზე რომ წავიკითხეთ“; „ამ ტექსტს ვერაფერი გავუგე, ძალიან რთულია“, – დაახლოებით ასე გამოხატავენ კითხვით აღძრულ შთაბეჭდილებას მოსწავლეები. ტექსტის აღქმისა და გაგების ხარისხი დამოკიდებელია ბევრ ფაქტორზე, კერძოდ, როგორია მოსწავლის კითხვის ტემპი, აქვს თუ არა ტექსტის გაგებისათვის საკმარისი ლექსიკური მარაგი, ლინგვისტური ცოდნა და სხვა. ძალიან მნიშვნელოვანია თვით ტექსტის თავისებურებებიც. კერძოდ: მოცულობა, შინაარსი, სტრუქტურა, ლექსიკა, წინადადებების სინტაქსური სტრუქტურა და სხვა.

კლასში კითხვისას შემოქმედი და გამოცდილი მასწავლებელი მეტნაკლებად მოახერხებს ისეთი საქმიანობების შერჩევას, რომლებიც ტექსტის აღქმასა და გაგებას გაუადვილებს მოსწავლეებს; მაგრამ დამოუკიდებლად სახლში კითხვისას ნაკლებ სავარაუდოა, ყველამ ხალისითა და ინტერესით წაიკითხოს ტექსტი, რომლის გაგებაც უჭირს. ასეთ შემთხვევაში მოსალოდნელია მოტივაციის დაცემა, კითხვის სურვილის გაქრობა. ამის თავიდან ასაცილებლად, სასურველია, გაითვალისწინოთ ქვემოთ მოცემული რჩევები.

ტექსტების შერჩევისას გასათვალისწინებელია რამდენიმე ასპექტი:

უპირველეს ყოვლისა, *რა შინაარსის ტექსტები შევარჩიოთ?*

ამ თვალსაზრისით ანგარიში უნდა გაეწიოს შემდეგ საკითხებს:

- რით შეიძლება მოეწონოთ ტექსტი მოსწავლეებს;
- იძლევა თუ არა ტექსტის შინაარსი მოსწავლეთა პირად გამოცდილებასთან დაკავშირების საშუალებას;
- არის თუ არა ტექსტში ისეთი ელემენტები, რომლებიც აღძრავს მოსწავლეთა ცნობისმოყვარეობას;
- რამდენად ასახავს ტექსტი ეროვნული კულტურის თავისებურებებს და შეუწყობს თუ არა ხელს ამ კულტურის მიმართ ინტერესის გაღვივებას;
- არის თუ არა მისაწვდომი და გასაგები მოსწავლისათვის ის ინფორმაცია, რომელსაც შეიცავს ტექსტი;
- არის თუ არა საკმარისი მოსწავლეთა ლინგვისტური ცოდნა ტექსტის გასაგებად;
- ხომ არ არის ტექსტი ძალიან მარტივი, ან ძალიან რთული; იძლევა თუ არა მოსწავლის თუნდაც მცირეოდენი წინსვლის შესაძლებლობას.

რა ტიპის ტექსტები შევარჩიოთ?

ტექსტის ტიპის შერჩევისას უნდა გავითვალისწინოთ შემდეგი:

- ნაცნობია თუ არა მოსწავლისათვის ტექსტის სტრუქტურული ნიშნები;
- შეესაბამება თუ არა ტექსტის ტიპი იმ მიზანს, რომელიც დავისახეთ კონკრეტულ სიტუაციაში;
- განავითარებს თუ არა ტექსტი იმ აუცილებელ უნარ-ჩვევებს, რომლებიც მოსწავლეს სჭირდება;
- არის თუ არა დაცული ბალანსი პრაგმატულ და მხატვრულ ტექსტებს შორის;
- პირველწყაროა ტექსტი თუ ადაპტირებული ვარიანტი და, ადაპტირების შემთხვევაში, შენარჩუნებულია თუ არა ძირითადი ელემენტები (შინაარსი, ჟანრი, სტრუქტურა და სხვა).

როგორი რეაქციები შეიძლება ჰქონდეთ მოსწავლეებს?

კითხვის პროცესში მოსწავლეთა ჩართვასა და წაკითხულის გაგებას ბევრწილად განსაზღვრავს მოსწავლეთა მოსალოდნელი რეაქციები ტექსტების მიმართ. ეს რეაქციები ამგვარად შეიძლება ჩამოვაყალიბოთ:

- რას მეუბნება ეს ტექსტი ისეთს, რაც აქამდე არ ვიცოდი *(ინფორმაციული);*
- რას ვგრძნობ წაკითხულის მიმართ, რა ემოციები აღმეძრა? *(ემოციური);*
- ვეთანხმები თუ არა აქ გამოთქმულ მოსაზრებას / პოზიციას? *(აზრის გამომხატველი);*

- ვგავარ თუ არა რომელიმე გმირს? როგორ მოვიქცეოდი მის ადგილზე? ვიცნობ თუ არა ვინმეს, ვინც ასე მოიქცეოდა? *(გმირის მიმართ დამოკიდებულების გამომხატველი).*

რამდენად რთული შეიძლება იყოს ტექსტები მოსწავლეებისათვის?

ამ თვალსაზრისით ტექსტების შეფასებისას გასათვალისწინებელია შემდეგი ფაქტორები:

- იცნობს თუ არა მოსწავლე მსგავსი ტიპის ტექსტს;
- იცნობს თუ არა თემას;
- არის თუ არა გადატვირთული ინფორმაციული თვალსაზრისით;
- არის თუ არა რთული ენობრივად (ლექსიკა და სინტაქსური სტრუქტურა);
- არის თუ არა ტექსტი კარგად ორგანიზებული (მკაფიობა, სიცხადე, ერთიანობა და თანამიმდევრულობა);
- ხომ არ არის ძალიან დიდი მოცულობით;
- როგორია სტილი;
- რამდენად რთულია კონცეპტუალური თვალსაზრისით (იდეების სირთულე შეიძლება შეფასდეს იმის მიხედვით, რამდენად არის გათვალისწინებული

გადასვლა ნაცნობიდან უცნობისაკენ, კონკრეტულიდან – აბსტრაქტულისაკენ, პირადულიდან – საზოგადოსკენ).

მოსწავლეთა კითხვის დონის დადგენა – ტექსტის შერჩევის წინაპირობა

შეიძლება ერთი და იგივე ტექსტი ერთი მოსწავლისათვის რთული იყოს, მეორისათვის – მარტივი. ეს იმაზეა დამოკიდებული, რამდენად წარმატებულია მკითხველი; მაგრამ როგორ გავარჩიოთ ერთმანეთისაგან გაწაფული, წარმატებული მკითხველი და გაუწაფავი მკითხველი, რომელსაც გარკვეული პრობლემები აქვს. ამის გარკვევაში დაგვეხმარება ის მაჩვენებლები, რომლებიც მოცემულია ქვემოთ წარმოდგენილ სქემაში.

კითხვამდე

გაწაფული მკითხველი	გაუწაფავი მკითხველი
• მისთვის კითხვა არის აღქმისა და გააზრების პროცესი; • აყრდნობს წასაკითხ მასალას თავის ცოდნასა და გამოცდილებაზე; • გაგებისათვის აქტიურად იყენებს ლინგვისტურ და თემის შესახებ ცოდნას; • აცნობიერებს კითხვის მიზანს.	• აქვს შიში, რომ სათანადოდ ვერ აღიქვამს და გაიგებს წაკითხულს; • ფიქრობს იმაზე, რომ მოუწევს თითოეული სიტყვის ახსნა, თითოეული წინადადების გაშიფვრა; • არ / ვერ ფიქრობს წინასწარ წასაკითხი ტექსტის თემაზე, სტრუქტურასა და ენაზე; • ვერ აცნობიერებს, რისთვის კითხულობს.

კითხვის დროს

გაწაფული მკითხველი	გაუწაფავი მკითხველი
• მთელ ყურადღებას მიმართავს წასაკითხ მასალაზე; • მუდმივად აკონტროლებს საკუთარ თავს: რა გაიგო და რა ვერა; • მისი კითხვის დონე (ტემპი, აღქმისა და გაგების ხარისხი) შეესაბამება მიზანსა და საკითხავ მასალას; • ხედავს საკუთარ პროგრესს კითხვაში; • ირჩევს მასალისა და მიზნის შესაბამის სტრატეგიას; ხერდება, როცა ვერ იგებს წაკითხულს და ირჩევს შესაბამის ხერხს (მიმართავს ლექსიკონს, სვამს კითხვას და სხვა).	• ვერ ახერხებს ყურადღების კონცენტრაციას წასაკითხ მასალაზე; • ნერდება, თუ ვერ გაიგო და ვეღარ აგრძელებს კითხვას, რადგან არ იცის, რომელ სტრატეგიას მიმართოს; • ვერ საზღვრავს, კითხვის რა დონეზეა, ვერ ხედება საკუთარ საჭიროებებს; • ვერ მიადევნებს თვალს საკუთარ კითხვას – არის თუ არა პროგრესი, ან პირიქით; • იშვიათად იყენებს ნაცად და წარმატებულ სტრატეგიებს, კითხულობს სტიქიურად, არაორგანიზებულად.

კითხვის შემდეგ

გაწაფული მკითხველი	გაუწაფავი მკითხველი
• დაადგენს, მიაღწია თუ არა მიზანს; • ეხმაურება იმას, რაც წაიკითხა, გამოთქვამს საკუთარ მოსაზრებებს, კრიტიკულად აფასებს წაკითხულს; • გამოყოფს ძირითად იდეებს, ეძებს დამატებით ინფორმაციას საკითხავ მასალაში მოცემული ინფორმაციის შესავსებად.	• ვერ ხედება, რა წაიკითხა და რატომ; • არ ეხმაურება წაკითხულს, ვერ გამოთქვამს მოსაზრებებს. თუ ცდილობს საკუთარი დამოკიდებულების გამოხატვას, პასუხი ძალიან შეზღუდულია; • ვერ აფასებს ან არაობიექტურად აფასებს საკუთარ კითხვას.

დავადგინთ რა მოსწავლეთა კითხვის დონეს, გვეძლევა დიფერენციაციის საშუალება, რომელიც განსაზღვრავს თითოეული ტექსტის, დავალებისა და სავარჯიშოს შესაბამისობას მოსწავლეთა მოთხოვნილებებთან, შესაძლებლობებსა და საჭიროებებთან.

გაკვეთილის დაგეგმვისას დიფერენციაცია შეიძლება სხვადასხვა გზით გამოვლინდეს, კერძოდ:

ა) დავალების მიხედვით დიფერენციაცია;

ბ) შედეგების მიხედვით დიფერენციაცია.

თუ მასწავლებელი დავალების მიხედვით ახდენს დიფერენციაციას, ეს ნიშნავს, რომ სხვადასხვა ჯგუფს სხვადასხვა დავალება მიეცემა, ანუ ჯგუფებში მოსწავლეების გადანაწილება შესაძლებლობების მიხედვით მოხდება, თუმცა ისინი ერთი და იმავე მიზნის მიღწევისათვის იმუშავებენ. გაკვეთილის ერთ-ერთი მიზანი იქნება ისიც, რომ მოსწავლეებმა გაუზიარონ ერთმანეთს მიღებული ცოდნა და გამოცდილება.

თუ მასწავლებელი დიფერენციაციას შედეგების მიხედვით ახდენს, მაშინ მან, შესაძლოა, ყველა მოსწავლეს ერთნაირი სავარჯიშო მისცეს, მაგრამ შედეგები განისაზღვროს იმისდა მიხედვით, რისთვის უნდა მიეღწია თითოეულს. ასეთ შემთხვევაში მასწავლებლის გაკვეთილის გეგმაში შედეგები შემდეგნაირად დახასიათდება:

ყველამ უნდა . . .

უმეტესობამ უნდა . . .

ზოგიერთმა უნდა . . .

გთავაზობთ შედეგების მიხედვით დიფერენციაციის მაგალითს:

ყველამ უნდა შეძლოს წაკითხული ტექსტის სათაურისა და ავტორის დასახელება, პერსონაჟების ჩამოთვლა, მოქმედების ადგილის დასახელება, ტექსტში ასახული მოვლენის / ფაქტის დასახელება.

უმეტესობამ უნდა შეძლოს იმის განსაზღვრა, რა აკავშირშებს სათაურს ტექსტის შინაარსთან, პერსონაჟების თვისებების ჩამოთვლა, მოქმედების ადგილის აღწერა, ტექსტში ასახული მოვლენის / ფაქტის დასახელება და მოყოლა.

ზოგიერთმა უნდა შეძლოს სათაურის ალტერნატიული ვარიანტების მოფიქრება, პერსონაჟების დახასიათება, მოქმედების ადგილის აღწერა და იმ მხატვრული ხერხების მითითება, რომელთაც ავტორი იყენებს, ტექსტში ასახული მოვლენის/ფაქტის მნიშვნელობასა და აქტუალობაზე მსჯელობა.

ცხადია, მოსწავლეს მუდმივად უნდა ჰქონდეს იმის მოლოდინი, რომ მისი პროგრესი კითხვაში მომენტალუ-

რად აისახება როგორც დავალებათა, ისე შედეგების მიხედვით დიფერენციაციაზე.

დავალებების შერჩევა

დავალებები, ისევე როგორც ტექსტები, მკაფიოდ და ნათლად ჩამოყალიბებულ საგაკვეთილო მიზნებს უნდა შეესაბამებოდეს და რომელიმე კონკრეტული უნარ-ჩვევის / უნარ-ჩვევების განვითარებას ემსახურებოდეს.

დავალებების შერჩევისას გასათვალისწინებელია:

- არის თუ არა დავალება მიზანმიმართული, რომელიც წაკითხულის გაგებაში ეხმარება მოსწავლეს;
- არის თუ არა დავალება რეალისტური;
- არის თუ არა მნიშვნელოვანი (ხელს უწყობს თუ არა რომელიმე კონკრეტული უნარ-ჩვევის განვითარებას);
- არის თუ არა დავალება კონკრეტული მიზნის შესაბამისი;
- არის თუ არა დავალება ტექსტის სირთულის შესაბამისი;
- არის თუ არა დავალება მოსწავლეების შესაძლებლობების შესაბამისი (იძლევა თუ არა დიფერენცირების საშუალებას);

- არის თუ არა დავალება ორიენტირებული წარმატებაზე (ელის თუ რა მოსწავლე წარმატებას მიღებული შედეგით);
- "აიძულებს" თუ არა მოსწავლეს, რომ ეძიოს მისთვის სასურველი ინფორმაცია ტექსტში;
- უწყობს თუ არა ხელს დავალება თანამშრომლობას;
- უწყობს თუ არა ხელს დავალება ინდივიდუალურ ინტერპრეტაციას;
- უწყობს თუ არა ხელს დავალება პიროვნულ რეაგირებას / გამოხმაურებას ტექსტებზე;
- უწყობს თუ არა ხელს დავალება სხვადასხვა პროცედურის შესრულებას (და არა ორი ან სამი პროცედურის დასრულებულ განმეორებას);
- უწყობს თუ არა ხელს დავალება მოსწავლეთა დამოუკიდებლობას.

მოსწავლეების დამოუკიდებლობის განვითარებას ხელს უწყობს ის, რომ მათ ეძლევათ არჩევის თავისუფლება როგორც შინაარსის, ისე ფორმის თვალსაზრისით. მოსწავლეებისათვის მასალებისა და დავალებების განხილვისა და არჩევის ინიციატივის მიცემა გაბედულებაა მასწავლებლის მხრიდან, რადგან ეს ითხოვს დამატებით მომზადებას. ის შეჩვეულია ერთი ტექსტის გამოყენებას სავარჯიშოებთან ერთად მთელი კლასისათვის, ამ შემთხვევაში კი მან უნდა მისცეს მოსწავლეებს არჩევის შესაძლებლობა. მოსწავლეებსაც სჭირდე-

ბათ დრო და გარკვეული განმარტებები იმისათვის, რომ აირჩიონ, რადგან ისინი მიჩვეულნი არიან მასწავლებლის დომინირებულ როლს და უჭირთ პასუხისმგებლობის საკუთარ თავზე აღება.

მოსწავლეებს შეგვიძლია შევთავაზოთ, თავად მოძებნონ ტექსტი ისეთ თემაზე, რომელიც აინტერესებთ, ან შეთავაზებული ტექსტებიდან აირჩიონ ისეთი, რომელსაც ადვილად მიუსადაგებენ დავალებასა და სტრატეგიებს.

მაგალითად: ტექსტის წაკითხვამდე უნდა გაიმართოს დისკუსია. მასწავლებელი სთავაზობს კლასს სამ თემას. მოსწავლეები ირჩევენ ერთ-ერთს (ხმის უმრავლესობით).

კიდევ ერთი მაგალითი: მასწავლებელს კლასში კითხვისათვის შეაქვს ერთსა და იმავე თემაზე შექმნილი სხვადასხვა სახისა და ჟანრის ტექსტი – საგაზეთო სტატია, მოთხრობა, ფელეტონი, ცნობილი ადამიანის / ადამიანების მოსაზრებები. მოსწავლეები ჯგუფდებიან იმის მიხედვით, ვინ რომელი ტექსტი აირჩია.

კითხვის პროცესის მართვა

კითხვა გულისხმობს მოსწავლეს, ტექსტსა და სამყაროს შორის კავშირს. პედაგოგი კითხვის სწავლების ისეთ სტრატეგიებს უნდა იყენებდეს, რომლებიც მოსწავლეს სამყაროს შესახებ არსებული ცოდნის გააქტიუ-

რებასა და გამოყენებაში დაეხმარება. იმავდროულად ის ასწავლის მოსწავლეებს, როგორ განსაზღვრონ კითხვის მიზანი (*რისთვის* წაიკითხონ); როგორ შეარჩიონ საკითხავი მასალა (შინაარსი – *რა* წაიკითხონ) და რა ხერხები და საშუალებები, კითხვის რომელი სტრატეგიები გამოიყენონ (*როგორ* წაიკითხონ). ყოველივე ეს მიიღწევა იმ შემთხვევაში, თუ მასწავლებელმა იცის, როგორ მართოს კითხვის პროცესი. კითხვის პროცესს კი იგი მართავს არა მხოლოდ კლასში, არამედ კლასის გარეთ, ოღონდ ისე, რომ არ იზღუდება მოსწავლის დამოუკიდებლობა, არჩევანის თავისუფლება. მასწავლებელი გზამკვლევია კითხვის უსასრულო და საინტერესო სამყაროში.

კითხვის პროცესი ორგვარია: *ხელმძღვანელობითი* კითხვა და *დამოუკიდებელი* კითხვა. ხელმძღვანელობითი კითხვის დროს მასწავლებლის საქმიანობები ხელს უწყობს პროცესის გამრავალფეროვნებას, მოსწავლეთა კრიტიკული და შემოქმედებითი აზროვნების, მსჯელობის უნარის განვითარებას. დამოუკიდებელი კითხვისას მოსწავლეები იყენებენ იმ ცოდნასა და უნარ-ჩვევებს, რომლებიც მათ ხელმძღვანელობითი კითხვისას შეიძინეს.

ხელმძღვანელობითი კითხვა სტრუქტურირებული პროცესია, რომელიც სამი ეტაპისაგან შედგება: კითხ-

ვამდე ეტაპი, უშუალოდ კითხვის ეტაპი და კითხვის შემდგომი ეტაპი.

კითხვამდე ეტაპი

ამ ეტაპზე გამოყენებული სტრატეგიები მოსწავლეს ეხმარება იმ ცოდნის შეხსენებაში, რომელიც მას მოცემულ საკითხთან თუ თემასთან დაკავშირებით უკვე აქვს, ანუ ააქტიურებს თემის, პრობლემის, კონცეფციის შესახებ არსებულ ცოდნასა და პასიურ ლექსიკას.

ამ ეტაპზე მასწავლებელს შეუძლია მოსწავლეთა დონისა და კითხვისათვის მზაობის დადგენა, აქედან გამომდინარე, იმის განსაზღვრა, რა მიაწოდოს მათ.

კითხვის წინა აქტივობები "აიძულებენ" მოსწავლეებს, უპასუხონ კითხვებს, გამოთქვან ვარაუდები, მოსაზრებები, რომლებიც ხელს უწყობს შემდეგში წაკითხულის უკეთ გაგებასა და გააზრებას.

კითხვამდე ეტაპის მიზანია:

– **მოსწავლეთა ინტერესის გაღვივება, მოტივაციის აღძვრა.** კითხვის წინარე აქტივობებით დგინდება მოსწავლეების ინტერესები, წინარე ცოდნა და გამოცდილება, რომელიც უკავშირდება წასაკითხ ტექსტს. ეს ხელს უწყობს კითხვის სურვილის გაღვიძებას.

– **მოსწავლეთა ლინგვისტური ცოდნის შეფასება და აქტივიზაცია.** მასწავლებელი ტექსტის წაკითხვამდე აცნობს მოსწავლეებს ძირითად ტერმინებს, ახალ ცნებებს, ახალ სიტყვებსა და გამოთქმებს. ამ ეტაპის საქმიანობებით მასწავლებელი აფასებს მოსწავლის ლექსიკურ მარაგს და ხელს უწყობს ამ მარაგის გამდიდრებას.

– **კითხვის მიზნის განსაზღვრა.** როცა მოსწავლემ იცის, რისთვის კითხულობს, რა შეიძლება იყოს მისთვის მნიშვნელოვანი ტექსტში, კითხულობს უფრო მეტი ინტერესით.

კითხვის მიზანი კი შეიძლება იყოს:

- შეკითხვებზე პასუხის გაცემა;
- იდეის კვლევა;
- ინფორმაციის მოპოვება/მიღება;
- მოსაზრების არგუმენტირება;
- სიამოვნების მიღება;
- შეფასება და სხვ.

საქმიანობები, რომლებიც წინ უძღვის კითხვას:

❖ მოსწავლეებს მასწავლებელი აძლევს ტექსტის შესახებ ვარაუდების გამოთქმის საშუალებას ფოტოებზე, სურათებზე, ილუსტრაციებზე, თავებსა და ქვეთავებზე დაყრდნობით (როგორ ფიქრობთ, რაზე შეიძლება იყოს

ტექსტი? რა მიგანიშნებთ ამას? როგორ განვითარდება ამბავი მოთხრობის იმ თავში, რომელსაც ჰქვია. . .);

- მასწავლებელი თავად აწვდის ინფორმაციას თემის შესახებ ან მოსწავლეთა ფონური ცოდნის დასადგენად შეკითხვებით მიმართავს მათ (რა იცით, ან გგონიათ, რომ იცით . . . ? გაიხსენეთ . . . და ა. შ.);
- მასწავლებელი წინასწარ აცნობს მოსწავლეებს ტექსტის მოკლე შინაარსს;
- მასწავლებელი მოსწავლეებს აძლევს ტექსტიდან წინადადებებს / აბზაცებს არეული თანამიმდევრობით და მათ ინტუიციით უნდა დაალაგონ ისინი (შემდეგ, კითხვისას, ისინი საკუთარ ვერსიას შეადარებენ ტექსტს);
- მოსწავლეები წინასწარ ეცნობიან ტექსტში გამოყენებულ ლექსიკას (უცნობ, სპეციფიკურ სიტყვებს) და იდიომატურ გამონათქვამებს (უცნობი სიტყვების განმარტებებს პოულობენ ლექსიკონში, მასწავლებელი განუმარტავს იდიომებს ან აძლევს მასალას, რომელშიც შეუძლიათ თავად მონახონ ისინი);
- მასწავლებელი ასმენინებს აუდიომასალას, ან აჩვენებს ფილმს იმ თემაზე, რაზედაც არის წასაკითხი ტექსტი და აძლევს მსჯელობის საშუალებას;
- მოსწავლეები წინასწარ შეისწავლიან იმ საკითხებს, რომლებიც საფუძვლად უდევს წასაკითხ ტექსტს, ააქტიურებენ იმას, რაც უკვე იციან, მოიძიებენ და წარმოადგენენ ახალ ინფორმაციას;

- მასწავლებელი მოსწავლეებს აცნობს ტექსტის თემას და ამ თემაზე იმართება დისკუსია, რომელშიც ისინი გამოთქვამენ საკუთარ მოსაზრებებს. დისკუსია რომ არ ასცდეს წასაკითხი ტექსტის თემას, მასწავლებელი შეკითხვებით აბრუნებს მას სასურველ კალაპოტში;
- მასწავლებელი მოსწავლეებს სთავაზობს ორ ურთიერთსაწინააღმდეგო მოსაზრებას. მათ უნდა გამოხატონ საკუთარი პოზიცია: რომელს ეთანხმებიან და დაასაბუთონ – რატომ. ტექსტის წაკითხვისას მათ შეუძლიათ შეადარონ საკუთარი პოზიცია ავტორისას;
- მასწავლებელი აწვდის საყრდენ სიტყვებს ან რამდენიმე ფრაზას და მოსწავლეები უნდა მიხვდნენ, რაზეა ტექსტი;
- მოსწავლეები წერენ მოთხრობას სათაურზე ან ილუსტრაციაზე დაყრდნობით და შემდეგ ადარებენ ორიგინალს.

უფრო დაწვრილებით კითხვის წინარე საქმიანობების შესახებ.

<u>*ვარაუდების გამოთქმა*</u>

ეს აქტივობა ამზადებს მოსწავლეებს იმისთვის, რომ გადონ ხიდი საკუთარ ცოდნას, გამოცდილებასა და წასაკითხ ტექსტს შორის. ამისათვის ისინი:

– გამოთქვამენ ვარაუდს იმის შესახებ, რაზე შეიძლება იყოს საუბარი ტექსტში (სათაურზე, ილუსტრაციაზე ან მიმანიშნებელ სიტყვაზე დაყრდნობით);

– აყალიბებენ სამ-ხუთ მოსაზრებას წასაკითხი ტექსტის პრობლემის / თემის შესახებ. თუ მათი ვარაუდები არ გამართლდა, პრობლემას / თემას მასწავლებელი ასახელებს;

– მას შემდეგ, რაც დადგინდება პრობლემა / თემა, ჩნდება ახალი კითხვა: როგორ გადაწყდება პრობლემა, როგორ დასრულდება ტექსტი? მოსწავლეები ისევ და ისევ გამოთქვამენ ვარაუდებს, რომლებიც შემოწმდება ტექსტის კითხვის პროცესში.

ასეთი საქმიანობა ააქტიურებს მოსწავლეს, ამაღლებს კითხვის მოტივაციას, ყურადღება მობილიზებულია.

ფიქრი პერსონაჟზე

მასწავლებელი დაფაზე ან ფორმატზე ჩამოწერს წასაკითხი ნაწარმოების მთავარი გმირის დამახასიათებელ თვისებებს. მაგალითად,

– ცნობისმოყვარე;

– ჯიუტი;

– დამოუკიდებელი;

– ფრთხილი;

– ეგოისტი;

– პატიოსანი;

– ემოციური;

– გამოუცდელი.

მოსწავლეებმა უნდა დააჯგუფონ ეს თვისებები იმის მიხედვით, რომელია მათ შორის დადებითი, რომელი – უარყოფითი. მაგალითად,

დადებითი	უარყოფითი
ცნობისმოყვარე	ჯიუტი
დამოუკიდებელი	ეგოისტი
პატიოსანი	გამოუცდელი
ემოციური	

შემდეგ იმართება მსჯელობა, შეიძლება თუ არა პერსონაჟის ის თვისება, რომელიც მათ დადებითად მიაჩნიათ, სისუსტის მაჩვენებელი იყოს, ან პირიქით და რა შემთხვევაში.

ეს საქმიანობა ხელს უწყობს მოსწავლეთა ლექსიკური მარაგის გამდიდრებას, მსჯელობის უნარის განვითარებას, ამზადებს მოსწავლეებს პერსონაჟზე დაკვირვებისათვის უშუალოდ კითხვის პროცესში. მასწავლებლებს ეხმარება იმის დადგენაში, რამდენად სწორად ესმის მოსწავლეს ამა თუ იმ სიტყვის მნიშვნელობა და შეუძლია თუ არა კონტექსტის მიხედვით სიტყვის მნიშვნელობის ცვლილების გაგება.

მასწავლებლის შესავალი საუბარი

მასწავლებელი წინასწარ მოკლედ უამბობს მოსწავლეებს ტექსტში მოცემულ ამბავს. მოსწავლეები ამ მონათხრობის მიხედვით განსაზღვრავენ კითხვის მიზანს. ამის შემდეგ მასწავლებლის მონათხრობის საფუძველზე ისინი ქმნიან მოთხრობის საკუთარ ვერსიას (უფრო ვრცელს). მოთხრობის საკუთარ ვარიანტში მათ უნდა გამოიყენონ მთავარი იდეები და შესაბამისი ლექსიკა. მოსწავლეებმა ისე უნდა მოუთხრონ ეს ამბავი თანაკლასელებს, რომ დაინტერესონ ისინი.

ეს საქმიანობა აძლიერებს კითხვის მოტივაციას, ავითარებს მოსწავლის შემოქმედებით აზროვნებას, ხელს უწყობს ლექსიკური მარაგის გამდიდრებას.

გრაფიკული ორგანიზება

ინფორმაციის გრაფიკული ორგანიზების მაგალითია **ასოციაციური, ანუ სემანტიკური რუკა.**

მასწავლებელი აძლევს მოსწავლეებს წასაკითხი ტექსტის საყრდენ ცნებას, სიტყვას ან ფრაზას, რომელიც დაფის / ფურცლის შუაგულშია მოქცეული. მოსწავლეები მის ირგვლივ წერენ ყველაფერ იმას, რაც იციან ამ ცნების / ფრაზის შესახებ, ან რასაც ასოციაციურად უკავშირებენ მას. რუკა ივსება მთელი კლასის მიერ, თან ხდება პასუხების ერთგვარი კატეგორიზაცია. ერთ

ჯაჭვში ერთი ნიშნის მიხედვით ხდება დაჯგუფება. "იბმება" მთელი ქსელი.

ამ რუკას ბევრი რამ ემატება ტექსტის წაკითხვის შემდეგ.

სემანტიკური, ანუ ასოციაციური რუკა შეიძლება შექმნას მთელმა კლასმა, მცირე ჯგუფმა ან თითოეულმა მოსწავლემ ინდივიდუალურად.

ინფორმაციის გრაფიკული ორგანიზების კიდევ ერთი ხერხია **ვენის დიაგრამა.** ეს არის იდეის მსგავსებისა და განსხვავების გათვალსაჩინოების საშუალება. იგი იქმნება მთელი კლასის, მცირე ჯგუფის მიერ, შეიძლება ინდივიდუალურადაც.

დიაგრამის სრულყოფილად შევსებისათვის მოსწავლეები ასრულებენ შემდეგ მოქმედებებს:

- არჩევენ სიტყვებს, ცნებებს, ტერმინებს, და ა. შ., რომლებიც კონკრეტულ საგანთან / მოვლენასთან / თემასთან დაკავშირებით დასჭირდებათ;
- ჩამოწერენ დიაგრამის შესაბამის რგოლში საგნის / მოვლენის / თემის დამახასიათებელ სიტყვებს / ფრაზებს / იდეებს;
- ორი რგოლის გადაჯაჭვის ადგილას იწერება მსგავსი ან განმასხვავებელი ნიშნების აღმნიშვნელი სიტყვები / ფრაზები / იდეები;

➢ შევსებული დიაგრამის ირგვლივ მოსწავლეები გამოთქვამენ საკუთარ მოსაზრებებს, აზუსტებენ, შეაქვთ კორექტივები და ა. შ. ;

დიაგრამის შევსება – კორექტირება მოხდება ტექსტის წაკითხვის შემდეგ.

ამ საქმიანობით ხდება მოსწავლეთა ცოდნის გააქტიურება, ლექსიკის (მათ შორის სპეციფიკურის) შევსება-გამდიდრება, თემის მიმართ ინტერესის გაღვივება.

<u>ახალი ან სპეციფიკური ლექსიკის წინასწარ მიწოდება.</u>

მოსწავლეები მუდმივად იმდიდრებენ ლექსიკას. როცა ტექსტში ბევრი უცნობი ლექსიკური ერთეულია, სასურველია, ისინი წინასწარ, ტექსტის წაკითხვამდე, მიაწოდოს მათ მასწავლებელმა. უცნობ ლექსიკურ ერთეულთა სიმრავლე გავლენას ახდენს მოსწავლეთა მიერ წასაკითხი ტექსტის შერჩევაზე. ისინი, ცხადია, თავს აარიდებენ ისეთი ტექსტის წაკითხვას, რომელშიც მათთვის ბევრი გაუგებარი სიტყვაა. არადა, თითოეულის ინდივიდუალური პროგრესისათვის აუცილებელია ლექსიკური მარაგის მუდმივი შევსება როგორც ფუნქციური, ისე სპეციფიკური ლექსიკით.

გთავაზობთ იმ სასწავლო საქმიანობებს, რომლებიც ხელს უწყობს მოსწავლეთა ლექსიკური მარაგის გამ-

დიდრებას და წასაკითხი ტექსტის მიმართ დადებითი განწყობის ჩამოყალიბებას:

- მასწავლებლის მიერ ტექსტის წაკითხვამდე მიწოდებული სიტყვები მოსწავლეებს გადააქვთ საკუთარ ლექსიკონში, "სიტყვის ყულაბაში", "ლექსიკურ ერთეულთა ბანკში" და სხვა;
- მოსწავლეები ვარჯიშობენ ამ სიტყვებით წინადადებების ან მცირე ტექსტების შედგენაში;
- მასწავლებელი აჩვენებს და აღაწერინებს მოსწავლეებს სურათს, რისთვისაც მათ დასჭირდებათ ახალი სიტყვების გამოყენება;
- მოსწავლეები ახალი სიტყვებისათვის ეძებენ სინონიმებსა და ანტონიმებს;
- მოსწავლეები განალაგებენ ახალ სიტყვებს რაიმე ნიშნის / ნიშნების მიხედვით მასწავლებილის მიერ მიწოდებულ სქემაში (მაგალითად: "გასხივოსნებული" – რა კითხვას უპასუხებს? მეტყველების რა ნაწილია? ძირეულია თუ წარმოქმნილი? და ა. შ.)
- ქმნიან ასოციაციურ რუკას (იხსენებენ იმ სიტყვებს ან გამოთქმებს, რომლებსაც ასოციაციურად უკავშირებენ ახალ სიტყვებს);
- უსმენენ და / ან უყურებენ აუდიოვიზუალურ მასალას, რომელიც ახალ სიტყვებს შეიცავს;

- იხილავენ ამ სიტყვების მნიშვნელობის შესაძლო ცვლილებებს სხვადასხვა კონტექსტში.
- სასურველია ლექსიკური რუკის გამოყენება, რომელიც, საერთოდ, ლექსიკური ერთეულის გააზრების, დამახსოვრებისა და სწორად გამოყენების კარგი საშუალებაა (რუკა იხ. ქვემოთ).

ლექსიკური რუკა



ფონური ცოდნის დადგენა და საკუთარი ცოდნის კონსტრუირებაზე დაკვირვება

იმისათვის, რომ დავადგინოთ თემასთან დაკავშირებით რა ცოდნასა და გამოცდილებას ფლობს მოსწავლე, სასურველია სტრატეგიის – *ვიცი / მინდა ვიცოდე / ვისწავლე* – გამოყენება. ეს სტრატეგია ორ ეტაპად სრულდება. გამოიყენება კითხვის დაწყების წინ და კითხვის დასრულების შემდეგ.

ვიცი / მინდა ვიცოდე / ვისწავლე

- ააქტიურებს მოსწავლის ფონურ ცოდნას;
- ამზადებს მას მასალის მთლიანობაში გააზრებისათვის;
- ავითარებს კითხვის დასმის უნარ-ჩვევას;
- გვიჩვენებს, რა არის მოცემულ ტექსტში მოსწავლისათვის მნიშვნელოვანი;
- გვიჩვენებს, რა ისწავლა მან ამ ტექსტით;
- აძლიერებს ტექსტის კითხვისა და მასზე მუშაობის მოტივაციას;
- ავითარებს წერითი მეტყველების უნარ-ჩვევებს.

ეს სტრატეგია გამოიყენება კლასში მცირე ზომის მასალის წაკითხვის შემდეგ როგორც მთელ კლასთან, ისე მცირე ჯგუფებთან და ინდივიდუალური მუშაობისას.

მას შემდეგ, რაც მასწავლებელი აცნობს მოსწავლეებს, რა საკითხს ეხება წასაკითხი ტექსტი, ისინი ავსებენ სქემას, რისთვისაც:

- იხსენებენ და პირველ გრაფაში წერენ ყველაფერს, რაც იციან, ან ჰგონიათ, რომ იციან მოცემული საკითხის შესახებ;
- აყალიბებენ და წერენ მეორე გრაფაში შეკითხვების სახით იმას, რის გაგებაც აინტერესებთ ამ საკითხის შესახებ.

სქემის მესამე გრაფა ივსება კითხვის დასრულების შემდეგ (სქემის ნიმუში იხ. ქვემოთ).

ვიცი	მინდა ვიცოდე	ვისწავლე

კითხვის პროცესი

ეს ეტაპი ახალი ინფორმაციის გაგებასა და მის უკეთ ათვისებას უწყობს ხელს. მოსწავლე საკუთარ შეკითხვებზე პოულობს პასუხს და ცნობისმოყვარეობას იკმაყოფილებს. ამ ეტაპზე ისეთი სტრატეგიები გამოიყენება, რომელთა საშუალებითაც მოსწავლე თავად ადევნებს თვალს და აფასებს კიდეც კითხვის პროცესს. რა იცოდა, რა გაიგო ახალი, რის გაგება სურს კიდევ? – აი, შეკითხვები, რომლებზედაც ის პასუხს სცემს.

მოსწავლე კითხვისას უნდა გრძნობდეს პირად პროგრესს, წარმატებას, ეს კი დამოკიდებულია ტექსტის გაგების ხარისხზე, იმაზე, თუ რამდენად ჩასწვდა იგი ავტორის იდეას, რამდენად გაიაზრა ტექსტის თემა და მასში ასახული პრობლემა / პრობლემები. მაგრამ დამოუკიდებელი კითხვა არ ნიშნავს იმას, რომ მთელი ეს პროცესი მოსწავლეს მივანდოთ. მან უნდა შეძლოს იმ სტრატეგიების შერჩევა და გამოყენება, რომლებიც ხელმძღვანელობითი კითხვის დროს შეიძინა. ამ ეტაპზე მას აუცილებლად ესაჭიროება მასწავლებლის რეკომენდაციები, რჩევები.

უშუალოდ კითხვის ეტაპის მიზნებია:

- ❖ ტექსტის შინაარსისა და იდეის გაგება.

ამაში მოსწავლეებს დაეხმარება:

– კითხვის მიზნის გააზრება;
– ფონური ცოდნა (თემასთან დაკავშირებული ცოდნა);
– გაგების ხელშემწყობი სტრატეგიების ცოდნა.

❖ **სხვადასხვა ტიპის, სახისა და ჟანრის ტექსტების ნიშნების, სტრუქტურის, ორგანიზაციის თავისებურებების გააზრება.**

ტექსტის სტრუქტურისა და მისი ორგანიზაციის თავისებურებების ცოდნა მოსწავლეებს ეხმარება როგორც წაკითხულის უკეთ გააზრებაში, ისე წერის დროს მათს გამოყენებაში. მასწავლებლის მიერ ასეთ საკითხებზე ყურადღების გამახვილება მათ დამოუკიდებელი კითხვის პროცესს გაუადვილებს.

❖ **ენის ეფექტიანი გამოყენება.**

მოსწავლეები მუდმივად უნდა ვავარჯიშოთ ენისათვის დამახასიათებელი ფრაზეოლოგიის, ხატოვანი გამონათქვამების (იდიომები, ანდაზები, სხვა მყარი სიტყვათშეთანხმებები) ჯერ გაგებასა და შემდეგ მათს გამოყენებაში. ეს დაეხმარება მათ როგორც წაკითხულის გაგებაში, ისე მშობლიური ენის თავისებურებების გააზრებაში. ამ ცოდნას მოსწავლეები გამოიყენებენ წერისა და ზეპირმეტყველების დროს.

❖ **ავტორისეული იდეებით, თემებით, ენობრივი საშუალებებით აღძრული რეაქციების გამოხატვისათვის ხელშემწყობი გარემოს შექმნა.**

მოსწავლეებს ყოველთვის უნდა ჰქონდეთ საკუთარი რეაქციის, გრძნობების, დამოკიდებულების გამოხატვის საშუალება. ამით ისინი ამყარებენ კავშირს ტექსტსა და სუბიექტურ გამოცდილებას შორის, რაც კითხვის პროცესში მათი აქტიური ჩართვის აუცილებელი პირობაა. არსებითია, მოსწავლეებს ამ რეაქციების დროს შეექმნათ ინტელექტუალურად და ემოციურად უსაფრთხო გარემო.

საქმიანობები უშუალოდ კითხვის პროცესში:

❖ განსაზღვრა:
– ტექსტის ტიპის;
– ჟანრის;
– თემის;
– აუდიტორიის (ვისთვისაა ტექსტი შექმნილი, ვინ არის სავარაუდო მკითხველი?);
– ტექსტის მიზნის (მაგალითად, ინფორმირება, გართობა, დარწმუნება და ა. შ.);
– აბზაცის, რომელშიც თავმოყრილია ტექსტის ძირითადი ინფორმაცია;
– თითოეული აბზაცის ძირითადი იდეის და მისი განცალკევება დამატებითი ინფორმაციისაგან (მაგალითად, საყრდენი წინადადებები აბზაცის დასაწყისში ან ბოლოში);

– ტექსტის ტონის (მაგალითად, ირონიული, სატირული და სხვა);

– მწერლის დამოკიდებულების;

– ციტატების ტექსტიდან (ვინ თქვა? როდის თქვა? სად არის ამის შესაბამისი ადგილი ტექსტში. . .);

– გრამატიკული ფორმების (მაგალითად, დროის რომელი ფორმაა გამოყენებული, განსაზღვრებების, ზმნიზედების და სხვ. ხაზგასმა, ამოცნობა და ა. შ.);

– თანამიმდევრულობის (რა მოხდა ჯერ, შემდეგ და ა. შ.).

❖ ურთიერთმიმართების დადგენა:

– სათაურის ან თავების სათაურების შინაარსთან;

– ნახატების, ფოტოების და სქემების ტექსტებთან;

– ერთმანეთის შემავსებელი ტექსტების (მაგალითად, წერილები და მათზე პასუხები);

– ტექსტის ნაწილებს შორის;

– სათაურის ტექსტის რომელიმე ნაწილთან.

❖ ლოგიკური თანამიმდევრობით დალაგება:

– გათიშული აბზაცების ან წინადადებების;

– ტექსტთან ასოცირებული ნახატების, რომლებიც არეულად არის მოცემული;

– განცალკევებული ტექსტების (მაგალითად, ორი ადამიანის მიმოწერა);

– ორი ერთმანეთისაგან განსხვავებული ტექსტის, რომლებიც დანაწევრებული იყო და შემდეგ ერთ ტექსტად წარმოდგენილი.

❖ შედარება:

– ორი ტექსტის, რომლებშიც საპირისპირო ინფორმაციაა მოცემული (მაგალითად, ორი საგაზეთო სტატია, რომლებშიც ერთი და იგივე თემა სხვადასხვა პოზიციიდან არის განხილული);

– ორი სხვადასხვა ტიპის ტექსტისა ერთ თემაზე (მაგალითად, საგაზეთო სტატია და მხატვრული ნაწარმოები კორუფციის თემაზე);

– მოთხრობისა და მისი ილუსტრაციის;

– ორი პერსონაჟის.

❖ ინფორმაციის მონიშვნა და ორგანიზება:

– ინფორმაციის შეტანა შესაბამისი სათაურებით სქემაში ან დიაგრამაში;

– ძირითადი იდეის ჩამოყალიბება;

– არგუმენტების დაჯგუფება პრინციპით: მხარდამჭერი

– საწინააღმდეგო;

– სპეციფიკური და მნიშვნელოვანი მომენტების აღნიშვნა;

– პირობითი ნიშნების ან მარკერების გამოყენება სხვადასხვა ადგილის მოსანიშნად და დასაჯგუფებლად.

❖ გამოტოვებულის შევსება:

– დაუსრულებელი წინადადებით გადმოცემული სათაურის დასრულება (მაგალითად, "როცა ზარბაზნები ქუხს. . . ");

– დაუსრულებელი წინადადების ან აბზაცის დასრულება;

– ტექსტში გამოტოვებული სიტყვების ან წინადადებების შეტანა;

– სქემის ან "გონებრივი რუკის" დასრულება ტექსტიდან ამოღებული ინფორმაციის საფუძველზე;

– შეცდომების გასწორება;

– კროსვორდების ამოხსნა;

– ანკეტების შევსება.

❖ გადაწყვეტილების მიღება / პრობლემის გადაჭრა.

– არჩევანის გაკეთება რამდენიმე სარეკლამო ტექსტის წაკითხვის შემდეგ (მაგალითად, ანოტაციების მიხედვით სასურველი წიგნების შერჩევა);

– საიდუმლოს ამოხსნა, ან " დანაშულის გამოძიება და გახსნა" (მოსწავლეები კითხულობენ მასალას რომელიმე დანაშაულებრივ ფაქტზე და აყალიბებენ ვერსიებს შესაძლო დამნაშავის შესახებ).

უფრო კონკრეტულად ზოგიერთი საქმიანობის შესახებ.

<u>*დახასიათების სქემები*</u>

ეს საქმიანობა ეხმარება მოსწავლეებს განსაზღვრონ წაკითხული ტექსტის მნიშვნელოვანი, არსებითი მომენტები: მაგალითად, თემასთან, ძირითად იდეებთან, პერსონაჟების ხასიათებთან, ქმედებებთან დაკავშირებული ადგილები. მასწავლებელი მოსწავლეებს ეხმარება ამ ადგილების აღმნიშვნელი პირობითი ნიშნების შემუშავებასა და მათს კატეგორიზაციაში. ამისათვის ის მოსწავლეებს აწვდის სხვადასხვა სახის სქემას ან დიაგრამას. აქაც შეიძლება ვენის დიაგრამის, სემანტიკურ ნიშანთა სქემის გამოყენება, რომლებიც ზემით გაგაცანით (იხ. კითხვამდე ეტაპი).

საქმიანობათა თანამიმდევრობა ასეთია:

– ტექსტის წაკითხვის შემდეგ მოსწავლეები განსაზღვრავენ სულ მცირე სამ ნიშანს, რომელთა მიხედვითაც უნდა დახასიათდეს კონკრეტული თემა / პრობლემა / პერსონაჟი;

– მონიშნავენ ტექსტში იმ ადგილებს (სიტყვას / ფრაზას / აბზაცს), რომლებიც თემას / პრობლემას / პერსონაჟს მიემართება და მის წარმოჩენას ემსახურება;

– მონიშნული ადგილებიდან არჩევენ, მათი აზრით, ყველაზე არსებითსა და მნიშვნელოვანს და საწერენ წინასწარ განსაზღვრული ნიშნის ქვეშ;

– ავითარებენ სქემას საკუთარი შეხედულებების, მეწყვილესთან აზრთა გაზიარების საფუძველზე (ამ საქმიანობის წარმართვა მცირე ჯგუფშიც შეიძლება).

დახასიათების სქემა



თვისებები / მახასიათებლები



<u>პარტნიორობა კითხვის პროცესში</u>

კითხვის ეს მოდელი მოსწავლეებში ტექსტზე ერთობლივი მუშაობის, დეტალებზე ყურადღების მიქცევის, გაგებისა და გადმოცემის უნარ-ჩვევების განვითარებას უწყობს ხელს. თუ პარტნიორები სხვადასხვა დონის მოსწავლეები იქნებიან, ისინი ერთმანეთის მხარდაჭერით განივითარებენ სათანადო უნარ-ჩვევებს.

საქმიანობათა თანამიმდევრობა ასეთია:

– მოსწავლეები წყვილდებიან;

– მოსწავლეები კითხვის პროცესში აკეთებენ საკუთარი რეაქციის ამსახველ ჩანაწერს (მაგალითად, ამ ადგილმა განსაკუთრებით მიიქცია ჩემი ყურადღება იმიტომ, რომ ...);

– შემდეგ პარტნიორები ცვლიან ჩანაწერებს და კითხულობენ ერთმანეთის კომენტარებს;

– აყალიბებენ შეკითხვებს, რომლებიც ტექსტისა და კომენტარების წაკითხვის შემდეგ გაუჩნდათ;

– ცვლიან შეკითხვებს ერთმანეთში. ჯერ ერთი უპასუხებს პარტნიორის კითხვებს, შემდეგ – მეორე.

<u>ვარაუდების სქემა</u>

ეს საქმიანობა ხელს უწყობს მოსწავლის წინარე ცოდნისა და სუბიექტური გამოცდილების გააქტიურებას, წარმოსახვის უნარის განვითარებას; მოსწავლეები ბოლომდე ინარჩუნებენ კითხვის ინტერესს.

საქმიანობათა თანამიმდევრობა ასეთია:

– მოსწავლეები კითხულობენ ტექსტის პირველ მონაკვეთს (ტექსტი დაყოფილია აზრობრივად დასრულებულ მონაკვეთებად) და ჩერდებიან მოქმედების სავარაუდო განვითარების მოსაფიქრებლად;

– მასწავლებელი მათ აწვდის ამგვარ სქემას:

I პაუზა

I მონაკვეთის წაკითხვამდე	I მონაკვეთის წაკითხვამდე	I მონაკვეთის წაკითხვის შემდეგ
როგორ ფიქრობთ, რა მოხდება?	რატომ ფიქრობთ ასე? რა მინიშნებას ეყრდნობით?	რა მოხდა სინამდვილეში?

II პაუზა

II მონაკვეთის წაკითხვამდე	II მონაკვეთის წაკითხვამდე	II მონაკვეთის წაკითხვის შემდეგ
როგორ ფიქრობთ, რა მოხდება?	რატომ ფიქრობთ ასე? რა მინიშნებას ეყრდნობით?	რა მოხდა სინამდვილეში?

– ყოველი მონაკვეთის წაკითხვის შემდეგ მოსწავლეები სქემის I ნაწილში წერენ საკუთარ ვარაუდებს, II–ში იმ

დეტალს, მინიშნებას, რომლის საფუძველზეც გამოთქვეს ეს ვარაუდი;

– მომდევნო მონაკვეთის წაკითხვის შემდეგ მოსწავლეები უბრუნდებიან სქემის მესამე გრაფას და ავსებენ მას.

<u>აქტიური კითხვა</u>

ეს მეთოდი გამოიყენება მხოლოდ ინდივიდუალური მუშაობისას.

იგი:

- ააქტიურებს ახლად ათვისებულ ინფორმაციას;
- აძლევს საშუალებას მოსწავლეებს, შეაჯამონ მოსაზრებები წაკითხული მასალის შესახებ;
- აძლიერებს მოტივაციას;
- ამზადებს მოსწავლეს ტექსტის გააზრებისათვის;
- ააქტიურებს ფონურ ცოდნას;
- ავითარებს კრიტიკული აზროვნების უნარ-ჩვევებს;
- ავითარებს შენიშვნების ჩაწერის უნარ-ჩვევას;
- ავითარებს საქმიანობის ორგანიზების უნარ-ჩვევას.

საქმიანობების თანამიმდევრობა ასეთია:

- მასწავლებლის პირველი დავალებაა, რომ მოსწავლემ მხოლოდ გადახედოს დასამუშავებელ ტექსტს და საკუთარ თავს დაუსვას შემდეგი კითხვა: რა ვიცი მე მოცემული საკითხის შესახებ (მან უნდა გააკეთოს თავისი

ინფორმაციისა და ვარაუდების ანუ წინათგრძნობების სახელდებელი ნუსხა)?

- მასწავლებლის მეორე დავალებაა, რომ მოსწავლემ წერილობით ან ზეპირად ჩამოაყალიბოს შესასრულებელი სამუშაოს მიზანი და მოსალოდნელი შედეგი, ანუ პასუხი გასცეს შემდეგ კითხვებს: რატომ ვკითხულობ მე ამ ტექსტს (მიზანი)? რისი სწავლისა და გაგების იმედი მაქვს ტექსტის წაკითხვის შემდეგ (შედეგი)?
- მასწავლებლის მესამე დავალებაა, რომ ტექსტის კითხვისას მოსწავლემ დასვას შემდეგი კითხვები: *რა? ვინ? სად? როდის? როგორ? რატომ?* და ამ კითხვების საფუძველზე მოძიებული ინფორმაცია ჩაინიშნოს წინასწარ მიცემული სქემის პირველ გრაფაში (იხ. სქემა ქვემოთ).
- მასწავლებლის მეოთხე და საბოლოო დავალებაა, რომ მოსწავლემ ხელახლა წაიკითხოს თავისი შენიშვნები და პირველ გრაფაში გაკეთებულ პირველად კომენტარებს დაურთოს მეორადი, უკვე ემოციური, კომენტარები და შესწორებები და ამით შეავსოს სქემის მეორე ნაწილი.
- სამუშაოს დასრულების შემდეგ მასწავლებელი სვამს კითხვებს:

1. რა იყო, რაც ტექსტის წაკითხვამდე იცოდი?
2. რა აღმოჩნდა, რაც ტექსტის წაკითხვამ გვასწავლა?

3. რა კავშირშია ერთმანეთთან ის, რაც იცოდი და რაც ტექსტის წაკითხვის შემდეგ გაიგე?

ამ სტრატეგიის შესრულებას, როგორც წესი, მოსდევს მოსწავლეებს შორის აზრთა გაზიარება და ზოგადი საკლასო დისკუსია.

აქტიური კითხვის სქემა

პირველადი კომენტარი (ფაქტობრივი)	მეორადი კომენტარი (ემოციური და კრიტიკული)
რა? ვინ? სად? როდის? როგორ? რატომ?	

შენიშვნა: წარმოდგენილი სქემა შეიძლება გაიყოს ორ ან სამ ნაწილად: I გრაფა – პირველადი კომენტარისათვის, II – მეორადი ემოციური კომენტარისათვის და III – კრიტიკული კომენტარისათვის.

კითხვის შემდეგ

ეს უკვე წაკითხული მასალის გააზრების ეტაპია. ამ დროს არის სწორედ სასურველი ისეთი მეთოდების გამოყენება, რომლებიც მოსწავლეს მიღებული ინფორმაციის ორგანიზებაში ეხმარება. ორგანიზებისას ის გაცილებით უკეთ იმახსოვრებს მასალას და ხელახლა გაიაზრებს, გადააფასებს მიღებულ ინფორმაციას, ცოდნას. ამ ეტაპზე ის იმასაც აფასებს, რამდენად ნაყოფიერი იყო მისთვის კითხვის მთელი პროცესი.

სწორად წარმართული საქმიანობებით მოსწავლეებს გონებაში უყალიბდებათ ანალიზის, სინთეზის და შეფასების სქემები, რომლებსაც ისინი წარმატებით გამოიყენებენ დამოუკიდებელი კითხვის დროს. ამ ეტაპზე განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ისეთი გარემოს შექმნა, სადაც ისინი თავისუფლად, შეუზღუდავად გამოთქვამენ მოსაზრებებს წაკითხული ტექსტის შესახებ, დაამყარებენ კავშირს ადრინდელ ცოდნას, პირად გამოცდილებასა და ახალ წაკითხულს შორის, გამოიყენებენ მიღებულ ინფორმაციას და იმ ლექსიკას, რომელზეც იმუშავეს როგორც კითხვამდე, ისე კითხვის პროცესში. მათ ეძლევათ საშუალება, თვალი ადევნონ საკუთარი ცოდნის კონსტრუირებას: რა იცოდნენ, რა ისწავლეს და რის სწავლა სჭირდებათ კიდევ.

კითხვის შემდგომი ეტაპის მიზნებია:

- ❖ ავტორისეულ იდეებზე, ჩანაფიქრზე, პრობლემებზე ფიქრისა და მსჯელობის უნარის განვითარება;
- ❖ ავტორის მხატვრული ოსტატობის შეგრძნებისა და შეფასების უნარის განვითარება;
- ❖ ლიტერატურასა და ცხოვრებას შორის კავშირის დანახვის ხელშეწყობა;
- ❖ შედარებითი ანალიზის სქემების შემუშავება, რომლებიც მათ დაეხმარება სხვა ქვეყნების ლიტერატურის გაგებასა და შეფასებაში, სხვისი კულტურის მიმართ ტოლერანტული დამოკიდებულების ჩამოყალიბებაში;
- ❖ მოსწავლეთა აქტიური ჩართვა ტექსტის ანალიზის, სინთეზის პროცესში (მოსწავლეებს, რომლებიც აქტიურად არიან ჩართული ამ პროცესში, უმყარდებათ საკუთარი შესაძლებლობების რწმენა, უვითარდებათ კრიტიკული აზროვნება);
- ❖ ტექსტის ორგანიზაციის თავისებურებათა გააზრებისათვის ხელის შეწყობა;
- ❖ გააზრების პროცესის განგრძობადობის უზრუნველყოფა (მოსწავლეებს უნდა დარჩეთ დაუკმაყოფილებლობის განცდა, კიდევ უფრო მეტი ინფორმაციის მიღების სურვილი, გააგრძელონ მუშაობა ტექსტზე, კიდევ ერთხელ გადაიკითხონ);

- კითხვისა და კითხვის შემდგომ პროცესში მიღებული ცოდნისა და უნარ-ჩვევების (ანალიზი, სინთეზი, შეფასება) გამოყენება წერაში;
- წინარე ცოდნის დაკავშირება და შედარება ახალ იდეებსა და ინფორმაციასთან (ეს მოსწავლეებს აძლევს საშუალებას, თვალი გაადევნონ საკუთარ პროგრესს, მიმართონ ძალისხმევა ხარვეზების გამოსწორებისაკენ, ეძებონ გზები და საშუალებები ახალი იდეებისა და ინფორმაციის მოსაპოვებლად, სრულყონ საკუთარი ლინგვისტური და თემასთან დაკავშირებული ცოდნა).

კითხვის შემდგომი საქმიანობებია:

- საკუთარი მოსაზრებების გამოთქმა ტექსტის შესახებ და ტექსტში ასახული ამბის (თემის) დაკავშირება როგორც პირად, ისე ჯგუფის სხვა წევრთა გამოცდილებასთან;
- ტექსტის საკუთარი ინტერპრეტაციის ახსნა და დასაბუთება;
- ახალი ტექსტების შექმნა (მაგალითად, თხრობითი ტექსტის გადაკეთება დრამად, მწერალსა და პერსონაჟებთან წარმოსახვითი ინტერვიუსათვის შეკითხვებისა და პასუხების მომზადება, წაკითხულის ჟანრობრივად ან თემატურად მსგავსი ტექსტის შექმნა);
- ტექსტის აღდგენა, მისი შინაარსის გადმოცემა საყრდენი სიტყვების მიხედვით;

- ტექსტის გამოყენება გრამატიკასა და ლექსიკაში საკვანძოშოდ (მაგალითად, მოქმედების გადატანა სხვა გრამატიკულ დროში – აწმყოდან წარსულში, ან პირიქით, ანტონიმებისა და სინონიმების მოძებნა და სხვა).

წარმოგიდგენთ კითხვის შემდგომი ზოგიერთი საქმიანობის უფრო დეტალურ აღწერას.

<u>გამოხმაურება წაკითხულზე.</u>

გამოხმაურებით მოსწავლეები უკეთ იაზრებენ წაკითხულს და აგებენ ინდივიდუალურ, პერსონალურ გაგებას ფონური და ლინგვისტური ცოდნის, გამოცდილების საფუძველზე. პერსონალურ მნიშვნელობას ბევრწილად განსაზღვრავს ის სოციალური და კულტურული გარემო, რომელშიც მოზარდი ყალიბდება.

გამოხმაურებით მოსწავლეები დროთა განმავლობაში ხედავენ, როგორ უყალიბდებათ მათ ღირებულებები და ფასეულობები, როგორ ახდენს გავლენას კითხვა მათს ყოფაზე.

მასწავლებლის ვალია, ***შესთავაზოს მოსწავლეებს გამოხმაურების სხვადასხვა ფორმა და ხერხი, მისცეს მათ არჩევანის საშუალება და დრო.*** სწავლის სტილიდან, ინტელექტუალური უნარიდან გამომდინარე, თითოეული მოსწავლე ტექსტისადმი საკუთარი დამოკიდებულების გამოხატვის სხვადასხვა ფორმას ანიჭებს უპირატესობას:

ლინგვისტური ინტელექტის მოსწავლე არჩევს წერილობით ან ზეპირად საკუთარი მოსაზრებების ჩამოყალიბებას და მის ყურადღებას ენობრივი გამოხატვის საშუალებები იპყრობს;

ლოგიკურ–მათემატიკური ინტელექტის მოსწავლე აქცენტს ლოგიკურ კავშირებზე აკეთებს, უყვარს მოსაზრებების ლაკონურად ჩამოყალიბება და მათი არგუმენტირება. პრეზენტაციისას აქტიურად იყენებს კატეგორიზაციის სქემებს, დიაგრამებს, ინფორმაციის ორგანიზების სხვა საშუალებებს;

სივრცითი ინტელექტის მოსწავლეს ნახატებით ურჩევნია გამოხმაურება;

მუსიკალური ინტელექტის მოსწავლეს – რიტმითა და მუსიკალური პასაჟებით;

კინესთეტიკური ინტელექტის მოსწავლე გამოხმაურებისათვის როლურ თამაშებსა და დრამებს ანიჭებს უპირატესობას. ის საკუთარი სხეულის მოძრაობით, ჟესტიკულაციით გამოხატავს რეაქციას.

სოციალური ინტელექტის მოსწავლე (როგორც ინტრაპერსონალური, ისე ინტერპერსონალური) გამოხმაურებაში აქცენტს აკეთებს ურთიერთობებზე, მათს მნიშვნელობაზე, მიდრეკილია პერსონაჟის ძლიერი და სუსტი მხარეების შეფასებისაკენ, ფილოსოფიური, ფსიქოლოგიური და სოციალური საკითხების კვლევისაკენ.

მასწავლებელმა უნდა გაითვალისწინოს ყოველივე ზემოთ თქმული და გაამახვილოს ყურადღება შემდეგ საკითხებზე:

- რაც შეიძლება ხშირად მისცეს მოსწავლეებს წაკითხულზე გამოხმაურების საშუალება;
- შექმნას თითოეული მოსწავლის ინდივიდუალობის, მათი მოსაზრებების, გრძნობების პატივისცემის ატმოსფერო;
- წაახალოსოს მოსწავლეები გულწრფელი, გულახდილი პასუხებისათვის;
- ასწავლოს გამოხმაურების ჩაწერის სხვადასხვა ხერხი, კერძოდ:

– პასუხის დასაბუთება ციტატის ამოწერით;

– საეჭვო და დასაზუსტებელ ადგილებთან დაკავშირებული შეკითხვების ჩამოწერა;

– ვარაუდების ჩაწერა განსხვავებული სიტუაციებისათვის (მაგალითად, რა იქნებოდა, რომ გმირი იმ ადგილას და იმ დროს იქ არ აღმოჩენილიყო) და დასაბუთება, რატომ ფიქრობენ ასე;

– რეაქციები პერსონაჟის საქციელზე ან კონკრეტულ ინციდენტზე (მაგალითად, "შემძრა ამ საქციელმა იმიტომ, რომ. . ." ან "თანავუგრძნე, რადგან. . .);

– კომენტარები ავტორის მხატვრულ ოსტატობაზე (მაგალითად, რით შეძლო ავტორმა მკითხველის დაინტერესება, რომელმა მხატვრულმა სახეებმა მიიპყრო მა-

თი ყურადღება, რამდენად დამაჯერებელია სახეები და ა. შ.)

- აჩვენოს მოსწავლეებს, რომ სხვადასხვაგვარი ხედვა, მოსაზრებების მრავალფეროვნება უფრო საინტერესოს ხდის წაკითხულზე მსჯელობას;
- სასურველია, გამართოს მოსწავლესთან მიმოწერა, კომენტარები გაუკეთოს მის გამოხმაურებებს (მაგალითად: ძვირფასო თამარ, შენ მიერ გამოთქმულ მოსაზრებებს შორის ბევრი რამ საერთო აღმოვაჩინე ამ ნაწარმოების ჩემეულ ხედვასთან... და ა. შ.). ამ მიმოწერაში დიდი მნიშვნელობა ენიჭება გულახდილობასა და კონფიდენციალობას.

წაკითხულის გააზრების მიხედვით მოსწავლეები შეიძლება სხვადასხვა საფეხურზე აღმოჩნდნენ. იმის ერთერთი მაჩვენებელი, თუ წაკითხულის გააზრების რა დონეზე არიან მოსწავლეები, არის პასუხი შეკითხვებზე, რაც გამოხმაურების ყველაზე გავრცელებული ფორმაა.

ქვემოთ წარმოდგენილი სქემა ახასიათებს მკითხველის განვითარების სხვადასხვა დონეს წაკითხულის გააზრების თვალსაზრისით.

განვითარების დონეები	თითოეული დონის მახასიათებლები. ამ დონის მოსწავლეები:	შეკითხვები, რომელთაც მკითხველი თითოეულ დონეზე უპასუხებს
I დონე წაკითხულის წარმოსახვით გაუცნობიერებელი საიმოვნების მიღება	❖ არ არიან კრიტიკულები წაკითხულის მიმართ, შეფასება უფრო სუბიექტურია, ვიდრე ობიექტური; ❖ შეუძლიათ იმის შინაარსის გადმოცემა, რაც წაიკითხეს, მაგრამ არ შეუძიათ წაკითხულის შესახებ აზრის გამოთქმა; ❖ უპასუხებენ მხოლოდ ფაქტობრივ კითხვებს.	❖ რა მოხდა? ❖ ვის შეემთხვა ეს ამბავი? ❖ როდის მოხდა ეს? ❖ როგორ დასრულდა ამბავი?
II დონე ტექსტის მიზნისა და მისი მნიშვნელობის გაცნობიერება	❖ ხდებიან უფრო ობიექტურები; ❖ ადარებენ წაკითხულს საკუთარ ცოდნას, გამოცდილებას, ფასეულობებს; ❖ იწყებენ ქვეტექსტების კითხვას; ❖ აფასებენ ტექსტში ასახულ აზრებს, პერსონაჟებს საკუთარ ღირებულებებზე დაყრდნობით.	❖ რატომ მოხდა ეს? ❖ რა მსგავსებასა და განსხვავებას ხედავთ საკუთარ თავსა და პერსონაჟს შორის? ❖ როგორ ფიქრობთ, რატომ და რისთვის დაწერა ავტორმა ეს ნაწარმოები?

III დონე ტექსტის დეტალებზე მსჯელობა, ამ დეტალებს შორის კავშირის დანახვა და თითოეულის მიზნისა და დანიშნულების გაცნობიერება	❖ არჩევენ საკითხავ მასალას ლიტერატურული ალღოსა და საკუთარი აზროვნების განსავითარებლად; ❖ სიამოვნებით კითხულობენ სხვადასხვა სირთულის, სახისა და ჟანრის ტექსტებს; ❖ კრიტიკულად აფასებენ საკუთარ გამოხმაურებას წაკითხულ ტექსტზე.	❖ რით არის ფასეული ის, რასაც სწავლობთ, ან რაც უნდა ისწავლოთ? ❖ რა განსაზღვრავს ტექსტის ეფექტს? ❖ ეთანხმებით თუ არა ავტორის პოზიციას (პასუხი უნდა დაასაბუთოთ)?

ამ სქემას არ შეიძლება სწორხაზოვნად მივუდგეთ. მოსწავლეები ადვილად შეიცვლიან დონეს ხშირი კითხვით.

<u>ბარათები და მკითხველთა კონფერენციები.</u>

ზემოთ ჩამოთვლილი საქმიანობები ძირითადად ხელმძღვანელობითი კითხვისათვისაა დამახასიათებელი, მაგრამ ისინი ხელს უწყობენ დამოუკიდებელი კითხვის უნარ-ჩვევების განვითარებასაც. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ხელმძღვანელობითი კითხვის დროს მიღებულ ცოდნასა და გამოცდილებას მოსწავლეები იყენებენ დამოუკიდებელი კითხვის დროს.

იმის დადგენაში, თუ რას და როგორ კითხულობენ დამოუკიდებლად მოსწავლეები, დაგვეხმარება წაკითხულის განხილვისათვის განკუთვნილი ბარათები.

მოსწავლეთა მიერ შევსებული ბარათები მასწავლებლისათვის მრავალ საინტერესო ინფორმაციას შეიცავს. კერძოდ, რა დროს ანდომებს მოსწავლე დამოუკიდებელ კითხვას, როგორ არჩევანს აკეთებს (რას კითხულობს), რას აქცევს ყურადღებას კითხვის პროცესში, როგორ იგებს წაკითხულს, რა კომენტარებს აკეთებს.

ბარათების ნიმუშები იხ. ქვემოთ.

ბარათები წაკითხულის განხილვისათვის

მოსწავლის სახელი და გვარი _____		
წიგნის ავტორი და სათაური	*კითხვის დაწყებისა და დამთავრების დრო*	*ჩემი კომენტარი წაკითხულზე*

ბარათებით მიღებული ინფორმაციის საფუძველზე მასწავლებლებს შეუძლიათ მკითხველთა კონფერენციის

მოწყობა. ეს არის საუბარი წაკითხული წიგნის შესახებ, წიგნის / ნაწარმოების ან ავტორის კლასის წინაშე წარდგენის საშუალება. მოსწავლე აცნობს წიგნს ან ავტორს თანაკლასელებს და განუმარტავს მათ, რატომ და რით შეიძლება წიგნმა / ნაწარმოებმა დაინტერესოს მკითხველი.

მკითხველთა კონფერენციები საუკეთესო გზაა, რომლითაც მოსწავლეები ეჩვევიან ნაწარმოებების დამოუკიდებელ კითხვას და წაკითხულის შესახებ მოსაზრებებს თავისუფლად, შეუზღუდავად გამოხატვას. ეს მათ ეხმარება კომუნიკაციური უნარ-ჩვევების სრულყოფასა და თვითდამკვიდრებაში. ამგვარი საქმიანობით ყალიბდება მკითხველთა ერთობა, რომელთაც ესმით წაკითხული და აფასებენ კითხვის პროცესს.

მკითხველთა კონფერენციებში იკვეთება ორი როლი: მოსაუბრის და მსმენელის. მოსაუბრეა ის, ვინც წიგნი / ნაწარმოები წაიკითხა და შთაბეჭდილებების, მოსაზრებების გაზიარება სურს აუდიტორიისათვის; აუდიტორიაში კი მოსაუბრის თანაკლასელები და მასწავლებელი იგულისხმება.

მონაწილეთა როლები ამგვარად ნაწილდება:

მოსაუბრემ უნდა:

- დაასახელოს წიგნის / ნაწარმოების სათაური და ავტორი;

- გააცნოს აუდიტორიას თავისი არჩევანის საფუძველი (რატომ აირჩია ეს წიგნი / ნაწარმოები);
- მოკლედ გადმოსცეს, რა ხდება წიგნში / ნაწარმოებში;
- გააცნოს აუდიტორიას ყველაზე მნიშვნელოვანი ადგილი / ადგილები და ისაუბროს მისი / მათი მნიშვნელობის შესახებ;
- შეარჩიოს ის ადგილი, რომელიც ყველაზე მეტად მოსწონს, წაუკითხოს აუდიტორიას და გაუკეთოს კომენტარი;
- გაუზიაროს აუდიტორიას, რატომ მოსწონს წიგნის / ნაწარმოების კონკრეტული გმირი, ამბავი, თემა, იდეა.

აუდიტორიამ უნდა:

- ყურადღებით მოუსმინოს მოსაუბრეს;
- აიწიოს ხელი, თუ აზრის გამოთქმის სურვილი გაუჩნდა;
- გაუზიაროს თანაკლასელებს, რა მოეწონა მოსაუბრის გამოსვლაში;
- გაუზიაროს თანაკლასელებს, რით დაინტერესა მოსაუბრის მიერ წარმოდგენილმა წიგნმა/ნაწარმოებმა;
- დასვას შეკითხვები.

თუ შესაძლებელია, მკითხველთა კონფერენციისას, სასურველია, კლასი წრიულად განლაგდეს, რათა

ყველა ერთმანეთს ხედავდეს და მონაწილეებს ერთობის, თანამშრომლობის განცდა გაუჩნდეთ.

ლიტერატურული წრეები

ამ მეთოდის დროს მოსწავლეები ერთიანდებიან სამ-ხუთკაციან ჯგუფებად. განსხვავებით მკითხველთა კონფერენციისაგან, მათ ერთი და იგივე ნაწარმოები აქვთ წაკითხული. თუ ნაწარმოები მცირე ზომისაა, შესაძლებელია მისი წაკითხვა გაკვეთილზეც.

ლიტერატურული წრეებისათვის ტექსტის შერჩევას დიდი მნიშვნელობა აქვს, რადგან ყველა ტექსტი არ გამოდგება ინტერესის გასაღვივებლად. მიზანშეწონილია იმგვარი ტექსტების გამოყენება, რომლებიც სულმოუთქმელად იკითხება საინტერესო, დამაინტრიგებელი სიუჟეტის გამო, ან სხვადასხვა ინტერპრეტაციის საშუალებას იძლევა.

"ლიტერატურული წრეები" მცირე სადისკუსიო ჯგუფებია, რომელთა წევრებსაც სხვადასხვა როლი აქვთ. მასწავლებელიც აქტიურ როლს ასრულებს, კერძოდ:

- *მასწავლებელი – მაგალითი მოსწავლეებისათვის.* დისკუსიის დასაწყებად ის ერთგვარ მაგალითს აძლევს მოსწავლეებს, როგორ გამოთქვან თავიანთი აზრები, როგორ დასვან შეკითხვები. მასწავლებელი ისე უნდა ლაპარაკობდეს, თითქოს მასაც უნდა, ჩასწვდეს ტექსტს, მის ძირითად იდეას, პერსონაჟის ქცევის მოტივს და ა.

შ. ამიტომ ის მოსწავლეებს მიმართავს, როგორც პარტნიორებს, რომელთაგან ელის პასუხს მისთვის საინტერესო შეკითხვებზე. მაგალითად, "გამიკვირდა, როცა ავტორმა ასეთი დასასრული აირჩია", ან "ვერაფრით ამიხსნია, რატომ მოიქცა ეს პერსონაჟი ასე?"

- მასწავლებელი მკაფიო და ნათელი ინსტრუქციით ეხმარება მოსწავლეებს როლების გაცნობაში, დისკუსიის წესების ჩამოყალიბებასა და დაცვაში (მაგალითად, შეახსენებს მათ, რომ სათითაოდ უნდა ილაპარაკონ, ერთმანეთს მოუსმინონ, დაიცვან რეგლამენტი და არ გადაუხვიონ საკითხს).
- მასწავლებელი თვალყურს ადევნებს დისკუსიას და უზრუნველყოფს იმას, რომ საკითხი არ დარჩეს განუხილავი, მთავარი სათქმელი ითქვას. ამისათვის ის სთხოვს მოსწავლეს, დააზუსტოს ნათქვამი, მოიყვანოს დამაჯერებლობისათვის კიდევ სხვა არგუმენტი, ან სვამს შეკითხვას, რომელიც ხელს უწყობს იმ მიზნის მიღწევას, გაკვეთილზე რომ დაისახა.
- მასწავლებელი უადვილებს მოსწავლეს ლიტერატურის სწავლას ისეთი ცნებებისა და ტერმინების შემოტანითა და განმარტებებით, რომელთა გამოყენებაც მოსწავლეებს დასჭირდებათ დისკუსიის დროს. სასურველია, თუ მასწავლებელი წინასწარ გააცნობს ამ ტერმინებს / ცნებებს (განმარტებები შეიძლება ეწეროს დიდ ფორმატზე ან ბარათებზე, რომლებსაც თითოეულ ჯგუფს

მისცემს). *მოსწავლეებს შეეძლებათ ეს ტერმინები / ცნებები მაშინვე ჩართონ და გამოიყენონ დისკუსიაში.*

"ლიტერატურული წრეები" ერთობლივი საქმიანობის მაგალითია. მოსწავლეთა ჯგუფებში, რომლებშიც შეიძლება (და სასურველიცაა) სხვადასხვა დონისა და შესაძლებლობების მოსწავლეები გაერთიანდნენ, თითოეულს განსხვავებული როლი უნდა დაეკისროს. ეს როლები იცვლება და ყველას ეძლევა საშუალება, სხვადასხვა მიმართულებით მოსინჯოს ძალები.

მოსწავლეებმა ლიტერატურული ნაწარმოების შესახებ გამართულ დისკუსიაში შეიძლება შეასრულონ შემდეგი როლები:

- *კითხვების დამსმელი* – მისი მოვალეობაა, მოამზადოს შეკითხვები, რომელთა გარშემოც გაიმართება დისკუსია;
- *ციტატების შემკრები* – მისი მოვალეობაა, ამოკრიბოს ტექსტიდან მნიშვნელოვანი ციტატები, რომლებიც დისკუსიაში არგუმენტებად შეიძლება გამოდგეს და რომელთაც ის ხმამაღლა წაიკითხავს;
- *მკვლევარი* – მისი მოვალეობაა, მოიძიოს ინფორმაცია ტექსტის მნიშვნელოვანი საკითხების შესახებ;
- *კავშირების დამნახველი* – მისი მოვალეობაა, მოძებნოს კავშირები ტექსტში ასახულ ამბავსა და ცხოვრებისეულ რეალობას შორის;

- *სიტყვების მძებნელი* – მისი მოვალეობაა, მონახოს და ამოწეროს ტექსტიდან სიტყვები, რომელთაც შეიძლება განმარტება დასჭირდეთ, და ახსნას მათი მნიშვნელობა;
- *ილუსტრატორი* – მისი მოვალეობაა, დახატოს ილუსტრაციები (პერსონაჟები, მოქმედების ადგილი და სხვა);
- *ჩანაწერების გამკეთებელი* – მისი მოვალეობაა, მოკლედ ჩაინიშნოს დისკუსიაში წამოჭრილი ძირითადი საკითხები;
- *პერსონაჟების ხასიათზე დამკვირვებელი* – მისი მოვალეობაა, იფიქროს პერსონაჟების ხასიათზე, მონახოს ტექსტში მათი დამახასიათებელი ადგილები, ჩამოწეროს პერსონაჟების თვისებები;
- *მაკონტროლებელი* – მისი მოვალეობაა, დაეხმაროს ჯგუფს მუშაობის სწორად წარმართვაში; შეახსენოს მეგობრებს რეგლამენტი, თვალყური ადევნოს, არ გადაუხვიონ საკითხს, დაიცვან რიგითობა საუბრისას;
- *მომხსენებელი* – მისი მოვალეობაა, წარადგინოს კლასის წინაშე ჯგუფის ნამუშევარი.

ჩამოთვლილი როლების გამოყენება უფრო შედეგიანი იქნება, თუ გავითვალისწინებთ შემდეგს:

- ყველა მოსწავლემ უნდა იცოდეს, რა ევალება თითოეული როლის შემსრულებელს;

- როლები უნდა შეიცვალოს გაკვეთილის მიზნისა და ტექსტის შესაბამისად (შეიძლება რომელიმე კონკრეტული ტექსტის დამუშავებასა და წარმოდგენას მხოლოდ 3-4 როლი დასჭირდეს);
- კონკრეტული დისკუსიისათვის მხოლოდ განსაკუთრებით სასარგებლო როლები უნდა შეირჩეს;
- 5-6 როლი სავსებით საკმარისია დისკუსიის წარსამართავად;
- მოსწავლეებმა ხშირად უნდა იცვალონ როლები. თითოეულმა წლის განმავლობაში რაც შეიძლება მეტი როლი უნდა შეასრულოს, რადგან ამით დაგროვილი გამოცდილება მოსწავლეებს ლიტერატურის შესახებ უფრო მეტი ცოდნის შეძენასა და სხვადასხვა უნარის განვითარებაში დაეხმარება.

<u>მეთოდი 3. 2. 1.</u>

ეს მეთოდი გამოიყენება ტექსტის წაკითხვის შემდეგ როგორც მთელ კლასთან, ისე ინდივიდუალური მუშაობისას.

იგი:

- ააქტიურებს ახლად ათვისებულ ინფორმაციას;
- აძლევს მოსწავლეს საშუალებას, შეაჯამოს მოსაზრებები წაკითხულის შესახებ;
- აძლიერებს მოტივაციას;
- ავითარებს კრიტიკული აზროვნების უნარ-ჩვევას;
- ააქტიურებს მოსწავლეს;
- ავითარებს წერითი მეტყველების უნარ-ჩვევებს.

ტექსტის წაკითხვის შემდეგ მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, რომ ორი-სამი წინადადებით ჩამოწერონ:

3 რამ, რამაც ყველაზე მეტად მიიქცია მათი ყურადღება;

2 რამ, რის შესახებაც მინდა მეტი გავიგო;

1 რამ, რაზედაც თანაკლასელებთან ერთად ვიმსჯელებდი.

ამ სამი დავალების შეცვლა შესაძლებელია. ეს დამოკიდებულია გაკვეთილის მიზანზე.

<u>*გაგებისა და ანალიზის მარტივი სქემები*</u>

იმისათვის, რომ მოსწავლეებს გავუადვილოთ წაკითხულის გააზრების პროცესი და ხელი შევუწყოთ გაწაფულ მკითხველებად ჩამოყალიბებაში, შეიძლება შევთავაზოთ გაგებისა და ანალიზის მარტივი სქემები. ეს სქემები წარმოადგენს ერთგვარ ტრაფარეტს, რომელიც:

- ააქტიურებს ახლად ათვისებულ ინფორმაციას;
- აძლევს მოსწავლეს საშუალებას, შეაჯამოს მოსაზრებები წაკითხულის შესახებ;
- აძლიერებს მოტივაციას;

- ავითარებს კრიტიკული აზროვნების უნარ-ჩვევას;
- უადვილებს აზრის მოკლედ და ლაკონიურად ჩამოყალიბებას;
- ავითარებს წერითი მეტყველების უნარ-ჩვევებს.

მათი საშუალებით შეიძლება გმირის დახასიათება, მნიშვნელოვანი იდეის განსაზღვრა, პერსონაჟების შედარება და სხვა.

გაგებისა და ანალიზის მარტივი სქემები

- **მოთხრობის შეჯამება ერთი პერსონაჟის შესახებ ინფორმაციით:**

ჩვენი მოთხრობა არის _____ შესახებ.

_____ არის მნიშვნელოვანი გმირი (მოქმედი პირი) იმით, რომ იგი ცდილობს _____ _____ _____ მოთხრობა თავდება, როცა _____

- **მნიშვნელოვანი იდეა ან პრობლემა.**

ამ მოთხრობაში პრობლემა იწყება, როცა _____ ამის შემდეგ _____.

მერე _____, შემდეგ _____

პრობლემა საბოლოოდ გადაწყდა, როცა _____.

მოთხრობა მთავრდება _____.

- **ტექსტში მოთხრობილი ამბის დროისა და ადგილის განსაზღვრა.**

ამბავი ხდება _____.

მე ეს ვიცი, რადგან ავტორმა გამოიყენა სიტყვები: "_____ _____".

სხვა მინიშნებები, რომლებიც გვიჩვენებს როდის მოხდა ეს ამბავი, არის _____ _____ _____.

- **პერსონაჟის დახასიათება.**

_____ არის მნიშვნელოვანი გმირი ამ მოთხრობაში. _____ მნიშვნელოვანია იმიტომ, რომ _____ . ერთხელ ის _____ . სხვა დროს _____ .

მე ვფიქრობ, რომ _____(გმირის სახელი) _____ არის _____ (გმირის ხასიათის თვისება) _____, რადგან _____.

- **პერსონაჟების შედარება.**

_____ და _____ ამ მოთხრობის ორი გმირია. _____ (გმირის სახელი) _____ არის _____ (გმირის ხასიათი/თვისება) _____, მაშინ, როცა _____ (გმირის სახელი) _____ არის

_____ (გმირის ხასიათი / თვისება) _____.

მაგალითად, ___ (ერთი) _____ ცდილობს _____ . _____ (მეორე) _____ პირიქით: _____.

ორივე არის _____ (საერთო თვისება/თვისებები) _____ .

შესაძლებელია რამდენიმე სქემაზე მუშაობა ერთდროულად. სასურველია, თუ კლასს დავყოფთ მცირე ჯგუფებად და თითოეულ ჯგუფს შესავსებად მივცემთ თითო სქემას. ეს საშუალებას მოგვცემს ტექსტის თითქმის ყველა ასპექტი გავააზრებინოთ მოსწავლეებს და მსჯელობის სხვადასხვა მოდელი მივაწოდოთ.

ჯგუფში მუშაობა და სქემის ერთობლივად შევსება იმით არის გამართლებული, რომ მოსწავლეები ერთმანეთში ცვლიან ინფორმაციას, ერთად ეძებენ და პოულობენ შესაბამის სიტყვებს, არგებენ ფრაზებს მოცემულ ტრაფარეტს. ასეთ დროს კითხვის პროცესი ხდება

უფრო საინტერესო და ნაყოფიერი (სქემის შესავსებად მოსწავლეები რამდენჯერმე უბრუნდებიან ტექსტს). მათ ადვილად ამახსოვრდებათ არსებითი ინფორმაცია, მნიშვნელოვანი დეტალები ტექსტიდან.

მასწავლებლებს შეუძლიათ ამ სქემების მოდიფიცირება, გართულება ან გამარტივება კლასის დონისა და საგაკვეთილო მიზნის შესაბამისად.

წ ე რ ა

პირველ რიგში, გავაანალიზოთ, თუ რა მიზნით ვასწავლით წერას.

თანამედროვე დიდაქტიკის კონცეფცია ეფუძნება შემდეგ პრინციპს: ენა კომუნიკაციისა და სოციალური ინტერაქციის იარაღია. შესაბამისად, ენის სწავლების შინაარსი განისაზღვრება მოქალაქეთა კომუნიკაციური საჭიროებების გათვალისწინებით, მოქალაქეებს კი კომუნიკაციის დამყარება ესაჭიროებათ როგორც ზეპირი, ისე წერილობითი ფორმით. ასეთ პერსპექტივაში კომუნიკაცია აღარ არის მხოლოდ ზეპირმეტყველების პრეროგატივა. არანაკლებ მნიშვნელოვანია წერითი მეტყველების დაუფლება. ასე რომ, თანამედროვე დიდაქტიკის თვალსაწიერიდან **წერის სწავლება ნიშნავს კომუნიკაციის სწავლებას წერის საშუალებით.**

წერითი მეტყველება, ანუ კომუნიკაცია წერის საშუალებით, გულისხმობს საკომუნიკაციო სიტუაციის არსებობას, რომლის მთავარი კომპონენტებია:

- ავტორი ანუ ადრესანტი (ვინც წერს);
- ადრესატი ანუ მკითხველი (ვისთვისაც წერენ / ვისაც სწერენ);
- კომუნიკაციის მიზანი (რისთვისაც წერენ).

წერა და ფიქრი ურთიერთგადაჯაჭვული პროცესებია. წერა მწერალს საშუალებას აძლევს გამოხატოს თავისი აზრები და ფიქრები და ისინი თვალსაჩინო და კონკრეტული გახადოს მკითხველისათვის. ფიქრი წერის საფუძველია და მას სწავლაში ცენტრალური ადგილი უკავია.

წერა უწყობს ხელს ფიქრსა და სწავლას იმიტომ, რომ:

- იგი ეხმარება მოსწავლეს, სხვებისათვის გასაგები გახადოს თავისი სათქმელი, გამოხატოს გრძნობები, აზრები, მიაწოდოს სხვებს საკუთარი გამოცდილება;
- წერა კომუნიკაციის მოტივირებას ახდენს. მას შეუძლია დროის, მანძილისა და კულტურის საზღვრების გადალახვა. ნაწერის წაკითხვა შეუძლია იმასაც, ვინც არ დასწრებია უშუალოდ წერის პროცესს;
- წერა ხელს უწყობს აზროვნების ფოკუსირებას კონკრეტულ თემაზე და მის განვითარებას. მოსწავლემ უნდა მოიფიქროს, რა და როგორ თქვას (მაგალითად, შეისწავლოს ფაქტები, მოსაზრებები და შეძლოს მათი ორგანიზება, შეარჩიოს სიტყვები, ფრაზები, დაამატოს ან ამოიღოს აზრები), განსაზღვროს აუდიტორია, რომლისთვისაც წერს, მიზანი და ჩამოაყალიბოს თვალსაზრისები.;
- წერა ზრდის მოსწავლის ცნობისმოყვარეობას და უვითარებს დაკვირვების უნარს;

- წერის მეშვეობით შესაძლებელი ხდება გამოთქმული აზრების შესახებ მსჯელობა. როდესაც ნააზრევი ქაღალდზე არის გადატანილი, მაშინ უკეთ შეიძლება აზრების შესწავლა, გადაფასება, მათთვის რაღაცის დამატება, გადალაგება და შეცვლა. ასე რომ, წერა ხელს უწყობს კრიტიკული აზროვნების განვითარებას;
- წერა მოსწავლეს აძლევს საკუთარ თავში ღრმად წვდომის საშუალებას. საკუთარ პროგრესზე დაკვირვების შესაძლებლობას;
- წერა ეხმარება მოსწავლეს კითხვის უნარის განვითარებასა და ტექსტის შედგენის გამოცდილების გამდიდრებაში, ამ გამოცდილების გამოყენებაში.

წერის პროცესი პროდუქტიულია, როცა:

- *მოსწავლეები თავად წყვეტენ, რის შესახებ დაწერონ და ფორმასაც თავად ირჩევენ* საკუთარი გამოცდილებიდან, დაკვირვებებიდან, ინტერესებიდან გამომდინარე. ამით მათ უყალიბდებათ ე. წ. საკუთრების განცდა, რომელიც ზრდის პასუხისმგებლობას და ინტერესს;
- *მოსწავლეები წერენ რეგულარულად.* როდესაც მათ იციან, რომ ხშირად მოუწევთ წერა, " იძულებულნი" ხდებიან იფიქრონ მაშინაც კი, როცა არ წერენ. ცნობილია, რომ საუკეთესო აზრები ადამიანს წერის

დროს მოსდის. რეგულარულად წერა კი ამ აზრების უკეთ ჩამოყალიბების საშუალებას იძლევა;

- *საწერი თემა საინტერესოა.* წერა საუკეთესო საშუალებაა ახალი იდეებისა და თემების კვლევისათვის. თუ საკვლევი საკითხი მოსწავლეს აინტერესებს, წერა სახალისო პროცესად გადაიქცევა;
- *მოსწავლეს აქვს წერის მაგალითი.* იშვიათია მწერალი, რომელსაც არ შეუსწორებია საკუთარი ნაწერი. მაგალითად, ცნობილია, რომ ილია ჭავჭავაძის "აჩრდილის" სამი ვარიანტი არსებობს. ამგვარი მაგალითები მოსწავლეებს არწმუნებს იმაში, რომ წერა ხანგრძლივი და შრომატევადი პროცესია. მათთვის იმის ჩვენება, თუ როგორ იქმნება ტექსტი, არის წერის პროცესისადმი ინტერესის გაღვივების საშუალება;
- *მოსწავლეს აქვს მხარდამჭერი გარემო.* მართალია, ბავშვები ხშირად წერენ თავისთვის და არავის უჩვენებენ ნაწერს, მაგრამ ადამიანის ცხოვრებაში აუცილებლად დგება მომენტი, როცა მას უჩნდება საკუთარი ნაწერის სხვებისთვის გაზიარების სურვილი. ასეთ დროს მოსწავლეს სჭირდება ისეთი გარემო, სადაც მას მოუსმენენ, გაუზიარებენ მოსაზრებებს, წაახალისებენ, ურჩევენ;
- *მოსწავლეს შეუძლია ნაწერის გადახედვა და კორექტირება.* წერის პროცესი ჰგავს ხატვისა და

ძერწვის პროცესს იმით, რომ თავიდან იქმნება შავი ვარიანტი, რომელიც მერე და მერე იხვეწება;

სანამ წერის სწავლებას დავიწყებდეთ, უნდა დავადგინოთ წერაში გაწაფული ადამიანის პროფილი, ანუ მისი მახასიათებლები. გამოვკვეთოთ ის უნარ-ჩვევები თუ სტრატეგიები, რომლებსაც ფლობს წერაში წარმატებული ადამიანი. მათი გაცნობიერება სასურველია ყველასათვის, ვინც წერას ასწავლის. ეს ხელს შეუწყობს მასწავლებელს გაიაზროს, რა ამოცანების წინაშე დგას და განსაზღვროს სწავლების სათანადო მიდგომები და ხერხები.

როგორ წერს წარმატებული ადამიანი?

პირველი ეტაპი – მოსამზადებელი ეტაპზე ავტორი დასმული საკომუნიკაციო ამოცანის გათვალისწინებით მეხსიერებაში მოჩხრეკს საჭირო ინფორმაციას, ანუ გააააქტიურებს საჭირო ცოდნას;

საჭიროების შემთხვევაში რესურსებში მოიძიებს დამატებით ინფორმაციას. ამის მერე მიმართავს გონებრივ იერიშს და "ჩამოყრის" ყველას იდეას, რომელიც საწერ თემატიკასთან დაკავშირებით მოუვა აზრად. შემდეგ შეარჩევს ინფორმაციებსა და იდეებს, მოიფიქრებს, თუ როგორ დააკავშირებს მათ ერთმანეთთან, ანუ შეიმუშავებს გეგმას. წერაში გამოცდილი ადამიანი საკმაოდ დეტალურ და მოქნილ გეგმას ადგენს, რომელსაც საჭიროებისამებრ ცვლის. მოსამზადებელ

ეტაპს, განსაკუთრებით გეგმაზე მუშაობას საკმაოდ დიდ დროს ანდომებს, რადგანაც იცის, რომ კარგად ორგანიზებული და მკითხველისათვის გასაგები ტექსტის ასაგებად ეს ეტაპი მეტად მნიშვნელოვანია. აღსანიშნავია, რომ იგი თავიდანვე ზრუნავს თავის მკითხველზე.

მეორე ეტაპი – ტექსტს იგი გეგმაზე დაფუძნებით აგებს. ხშირად ბრუნდება უკან, მუდმივად აკვირდება ტექსტს, ფიქრობს, განსჯის, თუ რამდენად ახერხებს სათქმელის გასაგებად და თანამიმდევრულად გადმოცემას, შეიძლება წერის პროცესში გარკვეული ცვლილებები შეიტანოს. მაგალითად, ახალი იდეა გაუჩნდეს, გეგმა შეასწოროს, ინფორმაცია დაამატოს ან, პირიქით, მოაკლოს და სხვა.

მესამე ეტაპი – ნაწერის შესწორებისას წერაში გაწაფული ადამიანი მუდმივად ინარჩუნებს კომუნიკაციას თავის მკითხველთან, არასოდეს კარგავს მას მხედველობის არიდან. იგი არაერთგზის ყურადღებით კითხულობს თავის ნაწერს და ცდილობს ადრესატის ანუ პოტენციური მკითხველის თვალთახედვით შეაფასოს, თუ რამდენად ეფექტურად არის მიღწეული დასახული საკომუნიკაციო მიზანი. წერაში გაწაფული ადამიანი გადამოწმების შედეგად ამოიცნობს იმ ენობრივ და შინაარსობრივ ხარვეზებს, რომლებმაც შეიძლება მკითხველს პრობლემები შეუქმნას და გარკვეულწილად

შეაფერხოს კომუნიკაცია, ამიტომ, შეიძლება, მან ტექსტი მეტნაკლებად შეცვალოს.

როგორც ვხედავთ, წერა უკიდურესად კომპლექსური პროცესია. წერითი აქტივობის პროდუქტი არის კომპლექსური ხასიათის იმ ინტერაქციის შედეგი, რომელიც ავტორს, ადრესატს, საკომუნიკაციო მიზანსა და ტექსტს შორის მიმდინარეობს.

წერის პროცესი რამდენიმე ეტაპისაგან შედგება. ამ ეტაპებზე ქვემოთ დაწვრილებით გვექნება საუბარი. აქ კი გთავაზობთ მათ მოკლე აღწერას:

აქტივობები წერის წინა საფეხურზე (წერისათვის მომზადება)

- „გონებრივი იერიში“;
- ფიქრი / განსჯა;
- საუბარი / გახსენება;
- აზრების მოკლედ ჩამოწერა / მონიშვნა;
- კითხვა / კვლევა;
- დაკვირვება / მიმოხილვა.

დაგეგმვა: სხვადასხვა საშუალების გამოყენება წერის ორგანიზებისათვის

- მონახაზი;

- გონებრივი რუკა / სქემა;
- ამბის ჩარჩოს შედგენა;
- მიზნის, აუდიტორიის, საკითხისა და ფორმატის განსაზღვრა.

შავი ვარიანტის შექმნა: აზრების ქაღალდზე ჩამოწერა, ახალი აზრების აღმოჩენა წერის დროს

- დაუხვეწავი შავი ვარიანტის შექმნა;
- თანაკლასელებთან და მასწავლებელთან ერთად განხილვა;
- აზრების მნიშვნელოვნების გადახედვა;
- პირველადი კორექტურა და რედაქტირება.

შავი მონახაზის გაკეთების შემდეგ

- საბოლოო გაშალაშინება;
- სხვებისათვის წარდგენა / გამოქვეყნება;
- შეფასება.

საბოლოო შეფასება არ ნიშნავს იმას, რომ უწყვეტი შეფასება უშუალოდ წერის პროცესშიც არ მიმდინარეობს.

მნიშვნელოვანია მოსწავლეებმა გააცნობიერონ, რომ დამოუკიდებელი და ნაყოფიერი წერის უნარის ჩამოყალიბება დროსა და ვარჯიშს მოითხოვს. სწორედ მუდმივი ვარჯიში განაპირობებს მოსწავლის დონეს წერაში. ქვემოთ მოცემულ სქემაზე ნაჩვენებია ის დონეები / საფეხურები, რო-

მელთა გადალახვის შემდეგ მოსწავლეები გადაინაცვლებენ დამოკიდებული მდგომარეობიდან დამოუკიდებელი მდგომარეობისაკენ (დამოკიდებული წერიდან დამოუკიდებელი წერისაკენ). მოსწავლეები კლასში აღწევენ წერის განვითარების სხვადასხვა საფეხურს. მასწავლებლის მოვალეობაა, დაეხმაროს მათ ერთი საფეხურიდან მეორეზე გადასვლაში.

წერის განვითარების საფეხურები: დამოკიდებულიდან დამოუკიდებლამდე

I საფეხური დამწყები მწერალი (გამოუცდელი, გაუთვითცნობიერებელი, მასწავლებელზე დამოკიდებული)	• ძალიან მცირედ არის გათვითცნობიერებული წერის პროცესში; • ვერ აცნობიერებს წერის მიზანს; • უჭირს წერილობით აზრის ჩამოყალიბება, შეუძლია მხოლოდ ტრაფარეტის მიხედვით წერა; • არ ფლობს წერის სტრატეგიებს; • ელოდება მასწავლებლის ინსტრუქციებს, მითითებებს; • უხალისოდ ასწორებს / გადახედავს ნაწერს და ვერ ამჩნევს შეცდომებს; • დარწმუნებულია, რომ კარგად წერა ადვილი მისაღწევია, ამიტომ ნაკლებად ვარჯიშობს წერაში.
II საფეხური გარდამავალი მწერალი (აქვს რაღაც დონე, მაგრამ საჭიროებს განვითა-	• პროგრესისათვის ესაჭიროება მხარდაჭერა და მუდმივი კონსულტაციები; • წერს მხოლოდ მოდელებზე დაკვირვების შემდეგ; • ღელავს საწერ დავალებასთან მარტო

რებას, დახვეწას)	დარჩენილი, რადგან არ იცის, საიდან და როგორ დაიწყოს წერა, მაგრამ ვერც თანატოლებთან თანამშრომლობისას გრძნობს თავს კომფორტულად; • გრძნობს პირად საჭიროებებს და აქვს პროგრესის ინტერესი.
III საფეხური **წერისათვის მზადმყოფი** (შეუძლია წერის პროცესში თანამშრომლობა და მუდმივად ხვეწს წერის უნარს)	• კარგად შეუძლია სხვებთან თანამშრომლობა; • ფლობს წერის სტრატეგიებს; • წინასწარ აკეთებს მონახაზს და ასწორებს საკუთარ ნაწერს. • წინსვლისათვის ესაჭიროება რჩევა და გამოხმაურებები (როგორც მასწავლებლის, ისე თანაკლასელების); • იღებს და ითვალისწინებს კრიტიკას; • მუდმივად ვარჯიშობს წერაში და ეს ანიჭებს სიამოვნებას; • აცნობიერებს წერის მიზანს, გრძნობს და ითვალისწინებს აუდიტორიას.
IV საფეხური **დამოუკიდებელი მწერალი** (წერს დამოუკიდებლად, მუდმივად აქვს დაუკმაყოფილებლობის განცდა საკუთარი ნაწერის მიმართ)	• ავლენს ობიექტური თვითშეფასების უნარს; • აქვს საკუთარი სტილი; • აქვს საკუთარი სათქმელი და ირჩევს სათქმელის ადეკვატურ ფორმას; • მიდის რისკსა და ექსპერიმენტზე; • როგორც მწერალი, მოტივირებულია და თვითდაჯერებულია; • წერს ოსტატურად, მიზნისა და აუდიტორიის შესაბამისად არჩევს ფორმას.

წერამდე

ეს არის წერის პროცესის პირველი ეტაპი და ის ბევრად უფრო ადრე იწყება, ვიდრე მოსწავლე წერას დაიწყებდეს. გამოცდილება, დაკვირვებები და ურთიერთობები, რომლებიც მოსწავლეებს აქვთ საკლასო ოთახში შესვლამდე, გავლენას ახდენენ იმაზე, თუ რას და როგორ დაწერს ის. წერამდე მასწავლებლის მიერ მოსწავლის წინარე ცოდნისა და სუბიექტური გამოცდილების გააქტიურება არის იმის საფუძველი, რომ მოსწავლეებში წერისათვის აზრებისა და იდეების გენერირება გამოიწვიოს, ფიქრის სურვილი აღუძრას, რის გარეშეც არ არსებობს წერა.

ფიქრის ინიცირებისა და საწერი თემისათვის იდეებისა და აზრების გენერირებაზე ორიენტირებული საქმიანობებია:

- *"გონებრივი იერიში"*

– დაწერეთ ან თქვენს პარტნიორს უთხარით იმ ადამიანთა სახელები, რომელთა აღწერაც შეგიძლიათ, შემდეგ ეს სწრაფად და მოკლეთ აღწერეთ ყოველი მათგანი.

– ჩამოთვალეთ რამდენიმე ადგილი, სადაც ნამყოფი ხართ და ჩამოწერეთ ყველა ის სიტყვა, რომელიც ამ ადგილთან დაკავშირებით გახსენდებათ.

– ჩამოთვალეთ და აღწერეთ ის გრძნობები, რომლებიც ყველაზე კარგად გახსოვთ და აღწერეთ ის სიტუაციაც, რომელშიც თითოეული დაგეუფლათ;

- *ინტერვიუ / გასაუბრება* პიროვნებასთან, რომელიც კარგად ერკვევა ამ საკითხში (მაგალითად, თქვენ გინდათ დაწეროთ გურამ რჩეულიშვილის შესახებ. მოამზადეთ კითხვები ინტერვიუსათვის გეიდარ ფალავანდიშვილთან ან ნუგზარ წერეთელთან);

- *დისკუსია* ამ საკითხზე მოსწავლეებს ან მოსწავლეებსა და მასწავლებელს შორის, საუბარი და მოსმენა წყვილებში ან ჯგუფებში.

– რიგრიგობით მოყევით საინტერესო პიროვნების, ამბის, შემთხვევის ან მოვლენის შესახებ.

– წაახალისეთ მსმენელები, რომ დასვან შეკითხვები და გამოთქვან თავიანთი აზრები საკითხის შესახებ. დისკუსიის დროს წამოჭრილი მოსაზრებები ჩაიწერეთ;

- *მუსიკის მოსმენა*

მოუსმინეთ მუსიკას, რომელიც ყველაზე მეტად მოგწონთ. უსმინეთ დახუჭული თვალებით და მიენდეთ მას, რომ თქვენს გონებაში სურათები დახატოს. ჩაინიშნეთ ეს სურათები მუსიკის მოსმენისას ან გამორთეთ მუსიკა და სწრაფად ჩაინიშნეთ თქვენი აზრები. თქვენ მიერ წარმოდგენილი ამბის მოყოლა პარტნიორის ან ჯგუფისათვის შეიძლება სასარგებლო აღმოჩნდეს.

- *სქემებისა და დიაგრამების შედგენა*

ასოციაციური დაკავშირება. ქაღალდის შუაგულში უნდა დაიწეროს ერთ ან ორსიტყვიანი თემა. შემდეგ – ამ თემასთან დაკავშირებული ქვესაკითხები. ეს ქვესაკითხები ხაზებით უკავშირდება ძირითად თემას. თავის მხრივ, ქვესაკითხებს აქვთ თავისი სატელიტი ქვესაკითხები და ა. შ. იქმნება აბლაბუდას ტიპის აზრობრივად დაკავშირებულ საკითხთა ქსელი.

T სქემა და ვენის დიაგრამა. T სქემა გამოიყენება ერთი საკითხის ორი ასპექტის / ორი პოზიციის შესადარებლად. სქემაში, რომელსაც *T- ს* ფორმა აქვს, ერთ მხარეს იწერება ერთი პოზიციის დამადასტურებელი არგუმენტები, მეორე მხარეს – საწინააღმდეგო პოზიციის. ვენის დიაგრამა გამოიყენება ორი ცნების / პერსონაჟის და ა. შ. შესადარებლად (ამის შესახებ ზემოთ ჩვენ უკვე ვისაუბრეთ).

- *საწერ თემასთან დაკავშირებული მასალების ნახვა / დათვალიერება*

დაათვალიერეთ და შეისწავლეთ თემასთან დაკავშირებული ნახატები, სურათები, ფოტოები ან სკულპტურები ჟურნალებში ან ხელოვნების ალბომებში. შეიძლება სასარგებლო გამოდგეს ადგილობრივი მუზეუმის ან ხელოვნების გა-

ლერეის სტუმრობაც. ჩამოწერეთ საწერ საკითხთან დაკავშირებული ხელოვნების ნიმუშის, ნივთის სახელწოდება და, საერთოდ, ამ თემასთან დაკავშირებით წამოჭრილი ყველა შენიშვნა და შეკითხვა.

- *თემის შესახებ თავისუფალი წერა* (მოსწავლე არ ფიქრობს სტრუქტურაზე, ენობრივ ფორმებზე)

გააცნობიერეთ ყოველივე, რაც ხდება თქვენს გარშემო: საკლასო ოთახში, სახლში, რესტორანში, მაღაზიაში, ყველგან, სადაც წახვალთ. ყურადღებით მოუსმინეთ იმ ადამიანების საუბარს, რომლებსაც აკვირდებით და ეცადეთ დაიჭიროთ მათი საუბრის დეტალები, მანერები და ჩაცმულობა. დააკვირდით თქვენ ირგვლივ არსებულ პრობლემებსა და მიღწევებს. შენიშვნები, აღძრული გრძნობები, თქვენი დაკვირვებები ჩაიწერეთ რაც შეიძლება სწრაფად და იქვე გააკეთეთ კომენტარები ისე, რომ არ იფიქროთ სხვა არაფერზე.

მედიის განხილვა, საგაზეთო ძიებანი, ფილმების ნახვა, ტელეგადაცემების ყურება, მოსმენა და ინფორმაციის კატეგორიზაცია

წაიკითხეთ / მოისმინეთ პრესაში / ტელევიზიაში ამბები, რომლებიც თქვენს ყურადღებას იპყრობს. ჩამოწერეთ აზრები, რომლებიც აღგეძრათ საგაზეთო წერილის წაკითხვის ან გადაცემის / ფილმის ნახვის დროს ან შემდეგ. შეეცადეთ, მოსმენილ / ნანახ ინფორმაციას გაუკეთოთ კატეგორიზაცია პოზიციების, პრობლემის, პრობლემის გადაჭრის გზებისა და სხვ. მიხედვით.

- *ამ საკითხზე არსებული ლიტერატურის კომენტირება*

წაიკითხეთ ლიტერატურა: რომანები, მოთხრობები, ჟურნალ-გაზეთები. ჩაიწერეთ აზრები, შენიშვნები / კომენტარები იმ სახით, რა სახითაც ისინი თავში მოგდით კითხვისას და ჩამოწერეთ საკითხები, რომლებმაც შეიძლება მომავალში დაგაინტერესონ. თვალი ადევნეთ საინტერესო ლექსიკას, სიუჟეტს და პერსონაჟებს.

- *როლური თამაშები და დრამა*

წარმოიდგინე, რომ რომელიმე მოქმედი პირი / გმირი ხარ. სთხოვე თანატოლებს, რომ მოიქცნენ / იმოქმედონ ისე, როგორც სხვა მოქმედი პირები / გმირები. მოაწყვეთ მოვლენის ან შემთხვევის ინსცენირება და ჩაიწერეთ, რა მოხდა ამ შემთხვევის ან მოვლენის მოსწავლეების მიერ წარმოდგენილ ვერსიაში.

- *ხუთი შეკითხვის დასმა*

დასვი ხუთი შეკითხვა: ვინ, რა, სად, როდის და რატომ?

და მათზე ზეპირად (გონებაში) გაეცი პასუხი.

წერამდელი საქმიანობის ნიმუში № 1

- მოსწავლეს გამოსაყენებლად მიეცით ნებისმიერი წიგნი (მაგალითად, ამონარიდები კრიტიკოსთა / მკვლევართა ნაშრომებიდან, ანთოლოგიები). გადააშლევინეთ მოსწავლეებს ეს წიგნი ნებისმიერ გვერდზე და აარჩევინეთ შემთხვევითი სიტყვა – პირველივე სიტყვა, რომელიც თვალში მოხვდებათ და ჩააწერინეთ იგი როგორც სიტყვა №1; დაახურვინეთ წიგნი. გააგრძელეთ ეს საქმიანობა მანამ, სანამ ყველა მოსწავლე არ დააგროვებს ოთხ სიტყვას.

- შემდეგ მოსწავლეები ფოკუსირებას აკეთებენ თითო სიტყვაზე დაახლოებით ერთი წუთის განმავლობაში და ჩამოთვლიან თავიანთ ყველა ფიქრს, აზრსა და ასოციაციას, რასაც ეს სიტყვა წარმოშობს.

- შემდეგ მოსწავლეები იწყებენ ამ ოთხ სიტყვას შორის კავშირების ძიებას და აკეთებენ პირადი ასოციაციების ნუსხას იმ ფრაზების, წინადადებების და აზრების ჩაწერით, რომლებიც ამ სიტყვებს შორის კავშირების დემონსტრირებას ახდენენ.

- მოსწავლეები წერისათვის უკვე „გახურდნენ" და შეუძლიათ აზრების / იდეების განვითარება ან იდეების დაგროვება შემდეგ დღეს საწერად.

წერამდელი საქმიანობის ნიმუში № 2

(განსაზღვრულია 5-12 წუთი)

- მასწავლებელმა შეიძლება დაავალოს მოსწავლეებს ადამიანების სურათების მოტანა, ან თვითონ მოამარაგოს მოსწავლეები სურათებით (ფოტოები ან ჟურნალებიდან ამოჭრილი სურათები). სურათებზე კარგად უნდა ჩანდეს მათზე აღბეჭდილი ადამიანები, მათი მიმიკა, ჩაცმულობა, ხასიათის სხვა მაჩვენებლები.

- ეს საქმიანობა სწრაფად ჩაამთავრეთ შეკითხვების დასმით, ისე, რომ მოსწავლეებმა ჩაინიშნონ ის პირველი აზრები და რეაქციები, რომელთაც სურათი იწვევს მათში. არ შეჩერდეთ დიდხანს თითოეულ შეკითხვაზე. მასწავლებელმა მოსწავლეებს უნდა სთხოვოს, რომ თავიანთ სურათებს კარგად დაუკვირდნენ და აუხსნას, რომ მათ დასჭირდებათ წარმოსახვის გამოყენება. ზოგიერთი შეკითხვა, რომლის დასმაც მასწავლებელს შეუძლია:

○ ვინ არის მთავარი მოქმედი პირი / პერსონაჟი ამ სურათზე?

○ რა სახელი შეესაბამება ამ მოქმედ პირს / პერსონაჟს?

○ რა ასაკისაა იგი?

○ რა ემოციებს ამჟღავნებს იგი ამ სურათზე? აღწერეთ რის მიხედვით მსჯელობთ ამის შესახებ (მიმიკა, ჟესტები).

○ თქვენი აზრით, რას საქმიანობს იგი? დაასაბუთეთ თქვენი მოსაზრება.

○ როგორ ფიქრობთ, რას ფიქრობს ან ამბობს ეს პიროვნება? რის საფუძველზე წარმოიდგინეთ ეს?

○ რომელ სხვა თვისებებზე მეტყველებს მისი ჩაცმულობა და პოზა?

○ თქვენი ვარაუდით, რა ხდებოდა სურათის გადაღებამდე? რა შეიძლება მომხდარიყო ამის შემდეგ?

○ რა კავშირი შეიძლება ჰქონდეთ დანარჩენ / სხვა მოქმედ პირებს მთავარ პერსონაჟთან? რა მონაცემები გაქვთ იმისათვის, რომ ასე იფიქროთ?

○ რა დამოკიდებულება აქვს მთავარ პერსონაჟს დანარჩენ მოქმედ პირებთან? რა დამოკიდებულება აქვთ დანარჩენ მოქმედ პირებს მთავარ პერსონაჟთან? რა შეიძლება იყოს ამ დამოკიდებულების შესაძლო მიზეზები?

○ როგორ დაახასიათებდით მთავარ ან ერთ-ერთ სხვა პერსონაჟს?

მიუთითეთ მოსწავლეებს, მოკლედ ჩამოწერონ აზრები და უპირატესობა ფრაზეოლოგიზმებსა და ახალი ლექსიკური ერთეულების გამოყენებას მიანიჭონ.

შენიშვნა: მოსწავლეებს შესაძლებლობა მიეცემათ, ეს აზრები მომავალში განავრცონ ან შეინახონ ჩანაწერების სახით და მოგვიანებით ისარგებლონ.

წერამდელი საქმიანობის ნიმუში № 3

(განსაზღვრულია 5-8 წუთი)

მოსწავლეები წერისათვის მოამზადეთ იმის ახსნით, რომ მათ შეუძლიათ დაწერონ ყოველგვარი აზრი, რაც კი თავში მოუვათ იმ წუთიდან, როდესაც მასწავლებელი იტყვის "დავიწყოთ" იმ წუთამდე, როდესაც იგი გამოაცხადებს "სდექ!". წერს ყველა, მაშინაც კი, თუ არ იცის, რა დაწეროს. როგორც კი კალამი ან ფანქარი ქაღალდს შეეხება, იგი აღარ ჩერდება პაუზების, ამოშლის ან შესწორებებისათვის. შემდეგში მოსწავლეებს ექნებათ საშუალება, განავრცონ და დახვეწონ თავიანთი აზრები ან შეინახონ ისინი შემდეგი დღისათვის.

დაგეგმვა: მონახაზის შექმნა

მას შემდეგ, რაც მოსწავლეებს გაუჩნდათ აზრები, მათ უნდა მოიფიქრონ, თუ რა უნდა თქვან შერჩეული თემის შესახებ. მოსწავლეები საწყის გეგმას ავითარებენ იქამდე, ვიდრე არ შექმნიან პროდუქტს. ამ შემთხვევაში მათ უნდა გაითვალისწინონ მიზანი, აუდიტორია, თვალთახედვა / პოზიცია და ფორმატი, რადგანაც ეს ელემენტები ახდენენ გავლენას მონახაზის შექმნასა და ე.წ. შავ ვარიანტზე.

ისეთი საშუალებების გამოყენებით, როგორებიც არის მონახაზი, ამბის გეგმა, გონებრივი და კონცეპტუალური რუკები, სქემები, მოსწავლეები ახდენენ იმ ინფორმაციის ორგანიზებას, რომელიც მათ შეაგროვეს წერამდე.

მიზნის განსაზღვრა

ადამიანები წერენ, რათა გამოხატონ თავიანთი აზრები, გრძნობები, გამოთქვან თვალსაზრისები. სანამ წერას შეუდგებოდნენ, მოსწავლეები საკუთარ თავს უნდა შეეკითხონ: "რა არის ამ ნამუშევრის დაწერის მიზანი?".

წერის მიზნები კი შეიძლება იყოს:

- საკუთარი გრძნობებისა და შთაბეჭდილებების გამოხატვა;

- წარმოდგენა-წარმოსახვა (მაგალითად, "რა იქნება თუ. . . ?");
- თხრობა;
- გართობა და/ან სიამოვნება (საკუთარი თავისთვის წერა);
- აღწერა;
- ინფორმირება ან ახსნა-განმარტება;
- დარწმუნება და დათანხმება;
- თხოვნა / მოთხოვნა;
- ცნობების შეკრება ან შეკითხვის დასმა;
- აზრებისა შესწავლა და კვლევა;
- მოსაზრებების ჩამოყალიბება და სხვა.

აუდიტორიის გათვალისწინება

მიზნის განსაზღვრის შემდეგ მოსწავლეებმა უნდა გაითვალისწინონ, ვისთვის წერენ, საკუთარ თავს შეეკითხონ: „ვინ იქნება ჩემი სავარაუდო აუდიტორია?".

აუდიტორიის შესაძლო ვარიანტებია:

- ჩვეული, კარგად ნაცნობი აუდიტორია: საკუთარი თავი, მეგობრები, თანატოლები, ოჯახი, მასწავლებლები;

- გაფართოებული ნაცნობი აუდიტორია: ადგილობრივი საზოგადოება, მოსწავლეთა ორგანიზაცია, ადგილობრივი მედია;
- გაფართოებული უცნობი აუდიტორია: მედიის უფრო ფართო წარმომადგენლობა და სხვა.

თვალთახედვის / პოზიციის გათვალისწინება

მან, ვინც წერს, უნდა გაითვალისწინოს, რა პოზი-ციI-დან, ვისი თვალთახედვიდან იქნება მოწოდებული მისი აზრები და ინფორმაცია. მაშასადამე, მოსწავლეებმა საკუთარ თავს უნდა დაუსვან შემდეგი შეკითხვა: „ვინ ყვება ამ ამბავს ან ვინ აღწერს ამ მოვლენას?“.

როლის, პოზიციის ვარიანტებია:

- "ფიზიკური თვალთახედვა": სად იმყოფება მთხრობელი ნაწერში აღწერილ მოქმედებასთან მიმართებაში?
- ობიექტური და სუბიექტური თვალსაზრისები: რა ემოციური დამოკიდებულება აქვს მთხრობელს სიტუაციის მიმართ?
- პირადი თვალსაზრისი: ვინ არის ამბის მთხრობელი? (მთხრობელი შეიძლება იყოს პირველი ან მესამე პირი).

იმის გარკვევა, თუ რა ინფორმაცია შეგროვდეს და როგორ შეგროვდეს

იქიდან გამომდინარე, რა ფორმატს ირჩევს, მოსწავლე წინასწარ განსაზღვრავს, რა სახის ინფორმაცია სჭირდება და როგორ მოიპოვოს ეს ინფორმაცია. მაგალითად, მოსწავლეებმა, რომლებმაც გადაწყვიტეს, რომ ინტერვიუ ჩაატარონ, უნდა შეადგინონ შეკითხვების სია. მოსწავლეებს, რომელთაც სურთ რაიმე საკითხის კვლევა, დასჭირდებათ რესურსების სახეობისა და გამოსაყენებელი მასალის განსაზღვრა.

ფორმატის განხილვა

სანამ წერას შეუდგებოდნენ, მოსწავლეები ირჩევენ ფორმატს.

ფორმატის შესაძლო ვარიანტებია:

- თხზულება;
- განცხადება;
- სტატია;
- რჩევის სვეტი;
- ავტობიოგრაფია / ბიოგრაფია;
- ბალადა;
- იუმორისტული გვერდი;

- სახივრის წერილი /მოთხოვნა / შეკითხვა / მი
  მართვა;
- დღიური;
- სცენარი როლური თამაშისათვის;
  მონოლოგი;
- წიგნის მიმოხილვა;
- ანგარიში;
- ესეი;
- იგავი / ზღაპარი;
- მისალოცი ბარათი;
- ინტერვიუ;
- საქებარი სიტყვა (პანეგირიკი) / ნეკროლოგი;
- ახალი ამბები / მოწინავე სტატია;
- ლექსი;
- გასართობი (სასაცილო) ამბავი / თავს გადამხდარი
  ამბავი;
- სპორტული სვეტი;
- მოთხრობა;
- სამეცნიერო სტატია / გამოკვლევა;
- მეგობრული ან საქმიანი წერილი;
- ახალი ამბების / ცნობების შემცველი წერილი;

- მოთხრობა;
- მონათხრობი საკუთარი გამოცდილებიდან;
- სამეცნიერო ფანტასტიკა და სხვა.

უშუალოდ წერის პროცესი

წერის პროცესი იწყება *ვარიანტების შექმნით*. ეს არის წერამდე ეტაპზე გენერირებული აზრების ფურცელზე გადატანის პროცესი. სასურველია, მოსწავლეებმა ხალვათად (თუნდაც ხაზის გამოტოვებით) წერონ. ეს მათ გადასწორებისა და დამატების საშუალებას მისცემს. ამ ეტაპზე მოსწავლეები არ ფიქრობენ მართლწერასა და კალიგრაფიაზე. ერთზე მეტ ვარიანტზე მუშაობა მოსწავლეებს შესაძლებლობას აძლევს დახვეწონ აზრები, მონახონ მათი გამოხატვის ფორმა.

მას შემდეგ, რაც პირველი ვარიანტი დაიწერება, მოსწავლეები იწყებენ მის დახვეწას. ისინი აცნობენ ნაშრომს მასწავლებელსა და თანაკლასელებს, რომლებიც, თავის მხრივ, კითხვებს უსვამენ ავტორს და ამით ეხმარებიან ნაწერის დახვეწაში. ამ ეტაპს პირველი ვარიანტის *განხილვის* ეტაპი ეწოდება.

ვარიანტის განხილვის შემდეგ ხდება მისი *რედაქტირება და კორექტირება*. რედაქტირებისა და კორექტირების ეტაპი

ნაყოფიერია მაშინ, თუ მოსწავლემ იცის, რომ ნაშრომი მხოლოდ ნიშნისთვის არ იწერება და მას სხვებიც გაეცნობიან. ასეთ შემთხვევაში მოსწავლე ცდილობს, რომ მისი ნაწერი არ იყოს სავსე ენობრივ-გრამატიკული შეცდომებით, ყურადღებას აქცევს წერის კულტურას, კალიგრაფიას. იმისათვის, რომ მოსწავლემ შეძლოს საკუთარი და სხვისი შეცდომების შემჩნევა და გასწორება, სასურველია, თითოეულს ჰქონდეს ყველაზე უფრო გავრცელებული შეცდომების ჩამონათვალი, კატეგორიზებული და კლასიფიცირებული. მასწავლებელმა მოსწავლეებთან ერთად უნდა შექმნას და განიხილოს ნაწერის გაშალაშინების კრიტერიუმები. სასურველია, თუ ეს კრიტერიუმები ხელთ ექნება ყველა მოსწავლეს.

ჩვენს რეალობაში ყველაზე უფრო გავრცელებული ფორმატი ჩამოთვლილთაგან თხზულებაა, ამიტომ მიზანშეწონილად ჩავთვალეთ იმ ასპექტებზე საუბარი, რომლებიც მოსწავლეებს თხზულების წერაში დაეხმარებათ.

რა უნდა გვახსოვდეს, სანამ თხზულების წერას შევუდგებით

ერთი მჭევრმეტყველი ისე აგებდა თავის ქადაგებებს, რომ მათი აზრი ყველასათვის ნათელი და ადვილად აღსაქმელი იყო. ერთხელ ჰკითხეს: როგორ ახერხებთ

სათქმელის ისე გამოხატვას, რომ ის ყველას გონებამდე აღწევსო? მან უპასუხა:

პირველი – მარტივად ვეუბნები იმას, რაც მინდა ვუთხრა;

მეორე – შემდეგ სათქმელს ვასურათხატოვნებ მაგალითებით ვამდიდრებ;

მესამე – ბოლოს კი ვუმეორებ იმას, რაც თავიდან ვუთხარი.

ამ მჭევრმეტყველის ნათქვამის პერიფრაზირებას რომ მივმართოთ, შეიძლება იგი ასე ჩამოვაყალიბოთ: თხზულება შედგება სამი ძირითადი კომპონენტისგან. კერძოდ:

1) შესავალი / თეზისი;
2) თეზისის გაშლა / განვრცობა / დასურათხატება;
3) დასკვნა.

შესავალი: სასურველია, თეზისი პირველივე წინადადებით ჩამოყალიბდეს, პირდაპირ, მოურიდებლად დაისვას საკითხი და ამას მოჰყვეს რამდენიმე განმარტებითი ხასიათის ფრაზა.

თეზისის გაშლა: ამ ნაწილში თეზისის გასამყარებლად / დასადასტურებლად სულ მცირე სამი არგუმენტი უნდა მოვიყვანოთ.

დასკვნა / შეჯამება: აქ სათქმელი ჯამდება. მეორდება თეზისი და ხაზი ესმება პოზიციის სისწორეს / მნიშვნელოვნებას.

რამდენიმე რჩევა მოსწავლეებს

- *შეეცადეთ, თქვენი ნაწერი ფოკუსირებული იყოს ზოგადი საკითხის ერთ კონკრეტულ ასპექტზე (მაგალითად, ზოგადი საკითხი: პიროვნება საზოგადოების პირისპირ. კონკრეტული ასპექტი: ალუდა ქეთელაურსა და თემს შორის კონფლიქტის საფუძველი).*
- *დასაწყისი განაპირობებს თქვენი ნაწერის მიმართულებასა და სტილს. შექმენით რამდენიმე ვარიანტი და ამოარჩიეთ ისეთი, რომელიც ყველაზე კარგად დაგანახვებთ, როგორ განავითაროთ აზრი / მსჯელობა.*
- *უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს დასკვნას. ეფექტურად ჩამოყალიბებული დასკვნითი ნაწილი = ძირითად ნაწილში მიმოხილულ რეზიუმირებულ ყველა კონკრეტულ საკითხს + აზრი, რომელიც სამომავლო ფიქრისკენ უბიძგებს მკითხველს.*
- *ნაწერის დახვეწისათვის გამოიყენეთ შემდეგი სტრატეგია: ფურცლის ერთ სვეტში ჩამოწერეთ ის სიტყვები და ფრაზები, რომლითაც იწყებთ აბზაცებს. დააკვირდით და იფიქრეთ, მეტი კონკრეტულობისა და ეფექტისათვის ხომ არ შეცვლიდით ზოგიერთ მათგანს. მეორე სვეტში, გასწვრივ, დაწერეთ ალტერნატივები.*

- *თქვენი ნაწერი მაშინ იქნება საინტერესო და დამაჯერებელი, თუ მას დატვირთავთ (და არ გადატვირთავთ): ა) ფაქტებით, სტატისტიკით, მაგალითებით; ბ) ჩანართებით, ციტატებით, დეფინიციებით; გ) მიზეზის დასახელებით, ახსნა-განმარტებით, შეჯამებით / რეზიუმირებით; დ) პერიფრაზით, შედარებით, პარალელებით.*
- *დათვალეთ წინადადებებში სიტყვების რაოდენობა. ჩამოწერეთ ეს რიცხვები ფურცელზე წინადადებების ნაცვლად და დააკვირდით, უსაშველოდ გრძელი წინადადებები ხომ არ გამოგივიდათ? ხომ არ არის საჭირო შემოკლება?*
- *ნაწერი რომ წასაკითხად მოსაბეზრებელი არ იყოს, აბზაცებში შეანაცვლეთ წინადადებების სიგრძე. გრძელი წინადადების / წინადადებების შემდეგ ჩართეთ მოკლე წინადადება, შემდეგ ისევ გრძელ წინადადებას დაუბრუნდით და ა.შ.*
- *შეეცადეთ ნაწერი «სუნთქავდეს». გახსოვდეთ! თავისუფალი სივრცე ნაწერს უფრო ადვილად აღსაქმელს ხდის.*

თანამიმდევრული და სქემატური გეგმა თხზულების დაწერისათვის

პირველი საფეხური – ინფორმაციის შეგროვება

შეაგროვე დაკვირვებები	გაითვალისწინე შენი და სხვისი გამოცდილება	გამოიკითხე სხვებისაგან	მოიძიე წყარო. წაიკითხე, ნახე, დაათვალიერე, ჩაინიშნე	შექმენი სქემა, გეგმა, გონებრივი რუკა

მეორე საფეხური – ფოკუსირება

განსაზღვრე შენი ინტერესის სფერო, ცენტრალური საკითხი	გამოყავი და განსაზღვრე ძირითადი პრობლემა	აირჩიე გზა და სტილი, რომლითაც გაშლი თხრობას	გაარკვიე და მკაფიოდ ჩამოაყალიბე თეზისის მიზანი

მესამე საფეხური – ორგანიზება

მოლიანიდან გამოყავი ნაწილები	დაალაგე იდეები ლოგიკური თანამიმდევრობით	შეადარე და დაუპირისპირე ერთმანეთს შენიშვნა აზრები	მოახდინე აზრების კლასიფიკაცია

მეოთხე საფეხური – ანალიზი

გადაარჩიე საუკეთესო, ყველაზე საინტერესო მოსაზრებები	დაუკავშირე ეს მოსაზრებები სხვების მიერ გამოთქმულს	გაარკვიე მოვლენების ფაქტების გამომწვევი მიზეზები და შედეგები	მონახე საერთო მახასიათებლები. დაუკავშირე ისინი ერთმანეთს და განაზოგადე

მეხუთე საფეხური – წარმოსახვა

თავდაყირა დააყენე შენი მოსაზრებები. შეხედე მათ სხვა კუთხით	იპოვე ძირითადი მოსაზრების ალტერნატივა	განჭვრიტე მოვლენის შემდგომი განვითარება და მოსალოდნელი შედეგები

მეექვსე საფეხური – გადააზრება

თავიდან ჩამოაყალიბე: რა არის ჩემი სათქმელი	ჩამოაყალიბე, რა მივიდე შედეგად?	დააკვირდი, რა არის ნაწერის ხისუსტეები?	თუ საჭიროა, შეცვალე წყობა, გააკონტროლე ბალანსი ნაწილებს შორის	გამოთქვი უფრო ზუსტად და მკაფიოდ

მეშვიდე საფეხური – შეფასება

<u>განსაჯე:</u> არის კი ჩემი ნაწერი მკაფიო და გასაგები?	<u>გააკრიტიკე:</u> არის კი ჩემი თხრობა საკმარისად დამაჯერებელი?	<u>იფიქრე:</u> არის კი ჩემი მსჯელობა გულწრფელი და რეალური?	<u>განსაზღვრე:</u> ჩემი ნაწერის დადებითი და უარყოფითი მხარეები	<u>დაადგინე:</u> შეადარე შენი ნაწერი ადრინდელებს და დაადგინე პროგრესის ხარისხი

წერითი პროცესის მხარდაჭერა და მართვა

მნიშვნელოვანია ისეთი გარემოს შექმნა, რომელიც ხელს შეუწყობს მოსწავლეებს, თავი დაცულად, მშვიდად იგრძნონ "რისკზე წასვლისას" (იგულისხმება ორიგინალური აზრების თავისუფლად და შეუზღუდავად გამოთქმა). კლასში უნდა შეიქმნას "მწერალთა" თანამეგობრობა, რომელშიც მოსწავლეები ერთმანეთს მხარს დაუჭერენ და აზრებს გაუზიარებენ (მასწავლებელიც ამ თანამეგობრობის წევრია). სასურველია, თუ ჯერ კიდევ წერამდე მოსწავლეები თავად დაადგენენ ინსტრუქციებსა და წესებს, რათა ასეთი უსაფრთხო და თანამშრომლობითი გარემო ჩამოყალიბდეს.

მერხები შეიძლება ისე დალაგდეს, რომ მათზე ოთხი-ექვსი მოსწავლე განთავსდეს (შეიქმნას თანამეგობრობის მინიჯგუფები, რომლებიც ერთმანეთს გააცნობენ ნაწერებს, დაეხმარებიან რედაქტირება-კორექტირებაში). საგანგებო თაროზე შეიძლება რესურსების განლაგება, რათა მათ დახმარება გაუწიონ მოსწავლეებს წერის დროს (მაგალითად, ლექსიკონები, სასწავლო ტექსტები, ლიტერატურა და სხვა).

მინიგაკვეთილები

წერის გაკვეთილის რადაც მომენტში მასწავლებელს შეუძლია ხუთ-ათწუთიანი მინიგაკვეთილის ჩატარება. იგი ამ დროს იყენებს იმისათვის, რომ მოსწავლეებს წერისათვის საჭირო ინფორმაცია მიაწოდოს. მინიგაკვეთილები შეიძლება გამოვიყენოთ ისეთ საკითხებზე, როგორიც არის მართლწერა / ორთოგრაფია, სინტაქსი და პუნქტუაცია, სტილისტიკის საკითხები და სხვა. მნიშვნელოვანია, რომ მოსწავლეებს მიეცეთ დრო მინი გაკვეთილზე გაცნობილ მასალაზე სავარჯიშოდ.

გადაწყვეტილება იმის შესახებ, თუ რა უნდა მიაწოდოს მასწავლებელმა მინიგაკვეთილზე მოსწავლეებს, დამოკიდებულია როგორც საწერი დავალების მიზნებზე, ასევე მოსწავლეთა საჭიროებებსა და მათს ინტერესებზე.

სასურველია, მოსწავლეებმა შეინახონ მინიგაკვეთილების ჩანაწერები შემდგომში გამოსაყენებლად (მაგალითად, თვალსაჩინო მასალა, ამონაბეჭდები, ჩანაწერები, ცხრილები და სხვა).

უწყვეტი საწერი დრო

მოსწავლეებს წერისათვის გახანგრძლივებული დრო ეძლევათ. მასწავლებლებს უნდა ახსოვდეთ, რომ მოსწავლეები ერთმანეთისგან განსხვავდებიან წერის ტემპით და

ისინი წერის პროცესში სხვადასხვა საფეხურზე იქნებიან. ზოგი წერამდელ საფეხურზე იქნება, მაშინ, როდესაც სხვები – გადახედვის (რედაქტირების), საბოლოო ვარიანტის მომზადების. მასწავლებელი მუდმივად უნდა უკვირდებოდეს მოსწავლეებს, აკეთებდეს ჩანაწერებს, ჩანიშვნებს და მხოლოდ ამის შემდეგ მათი წერის ტემპის გათვალისწინებით შეარჩიოს მოსწავლეებთან მუშაობის ფორმები, მოამზადოს მათთვის რჩევები და რეკომენდაციები.

უწყვეტი საწერი დროის განმავლობაში მასწავლებელი უმეტესწილად საკლასო ოთახში უნდა მოძრაობდეს და უზიარებდეს აზრებს თითოეულ მოსწავლეს, აწოდებდეს ინსტრუქციას იმას, ვისაც ეს ესაჭიროება. უწყვეტ საწერ დროში უნდა შევიდეს დრო თანატოლთა შორის აზრთა გაზიარებისათვისაც. ეს არის საუბარი ავტორის აზრების, ნაწერის სტრუქტურის, წარმატებისა და სირთულეების შესახებ. წყვილებში ან მცირე ჯგუფებში მოწყობილ აზრების გაცვლაში შეიძლება მონაწილეობდეს ან არ მონაწილეობდეს მასწავლებელი. ამგვარი საქმიანობა შეიძლება რამდენიმე წამს გაგრძელდეს, მაგალითად, იმისათვის, რომ მოსწავლეებმა დაადგინონ გარკვეული ცნების მნიშვნელობა, მონახონ სინონიმი; ასევე შეიძლება იყოს უფრო ხანგრძლივი საუბარიც, რომელიც რამდენიმე წუთს გაგრძელდება. მაგალითად, იმისათვის, რომ მოინახოს მოსაზრების დამამტკიცებელი უფრო კარგი არგუმენტი.

აზრთა გაცვლა წერის პროცესში საჭიროა იმისათვის, რომ:

- ხელი შევუწყოთ მოსწავლეებს საკუთარი ნაწერის განხილვაში, იმაში, რომ ახალი თვალით შეხედონ მას;
- დავეხმაროთ მოსწავლეებს ნაწერის გაუმჯობესებაში;
- ჩავაბათ მოსწავლეები საუბარში იმისათვის, რომ მეტი შეიტყონ საკუთარი თავისა და სხვების შესახებ.

მოსწავლეთა შორის აზრთა გაცვლის საფეხურებია:

1. მოსწავლე გადაწყვეტს, როგორ გაუზიაროს პარტნიორს / პარტნიორებს წერითი ნამუშევარი. ეს შეიძლება იყოს;
   - პარტნიორის(ების) მიერ ჩუმად წაკითხვა;
   - თავად ნაწერის ავტორის მიერ ხმამაღლა წაკითხვა;
   - ორივე ზემოთ ნახსენების კომბინაცია.
2. მოსწავლე წყვეტს იმას, თუ წერითი ნამუშევრის რომელ ასპექტებზე გაკეთდება ფოკუსირება

(მაგალითად, აბზაცებად დაყოფა, მხატვრული ხერხები, სტილი, სათქმელის მკაფიობა და სხვა).

3. პარტნიორი მოსწავლეს (ნაწერის ავტორს) ეუბნება სულ მცირე ერთ რამეს, რაც, მისი აზრით, მოსწავლემ ყველაზე კარგად გააკეთა და რაც მას განსაკუთრებით მოეწონა.

მითითებები პარტნიორებს აზრთა გაცვლის პროცესის ნაყოფიერად წარმართვისათვის

1. დაეხმარეთ თანაკლასელს, რათა მან გადაჭრას თავისი პრობლემა, მაგრამ გახსოვდეთ, მხოლოდ თავად მას შეუძლია ამ პრობლემის გადაწყვეტა;

2. გაუზიარეთ შთაბეჭდილებები, მიეცით რჩევები, მაგრამ მაქსიმალურად შეიკავეთ თავი კრიტიკისაგან;

3. ყურადღებით მოუსმინეთ იმას, რაც ავტორისათვის მნიშვნელოვანია, რაც მას აწუხებს და წერითი ნამუშევრის კითხვის ან მოსმენის დროს გაითვალისწინეთ.

4. ნაწერის შესახებ მოსაზრებების გამოთქმისას გაითვალისწინეთ შემდეგი:

- **დასაწყისი**

საინტერესოა იგი? მიიქცია თქვენი ყურადღება?

- **შუა მონაკვეთი**

მნიშვნელოვანი დეტალები ხომ არ გამოუტოვებია?

- **დასასრული**

დამაკმაყოფილებელია? შეაჯამა სათქმელი?

- **სტილი**

ენა ნათელია და ადვილად გასაგები? არის გამოყენებული ადეკვატური ლექსიკა?

- **ფორმისა და შინაარსის შესაბამისობა**

შეესაბამება ერთმანეთს მიზანი, აუდიტორია და ფორმატი?

- **ტექსტის ორგანიზება**

აბზაცები მართებულად არის გამოყოფილი? არის მათ შორის ლოგიკური კავშირი?

- გრამატიკული მხარე

ხომ არ არის დაშვებული მორფოლოგიური, პუნქტუაციური სინტაქსური და სტილისტური ხასიათის შეცდომები?

სანამ დადგებოდეს წერის ბოლო ეტაპი, რომელსაც ნაწერის საზოგადოებისათვის წარდგენა (გამოცემა) ჰქვია, მოსწავლემ კიდევ ერთხელ უნდა გადახედოს საკუთარ ნაწერს და დაფიქრდეს. ამ ფიქრში მას შემდეგი შეკითხვები დაეხმარება:

- ნაწერის რომელი ნაწილი მოგწონს ყველაზე მეტად?
- ამბობს იგი იმას, რისი თქმაც შენ ამით გსურდა?
- სად და როდის ხდება შენს ნაწერში მოთხრობილი ამბავი?
- კმაყოფილი ხარ დასაწყისით / დასასრულით? რატომ ხარ ან არ ხარ კმაყოფილი?
- რა მნიშვნელობა აქვს შენთვის რომელიმე კონკრეტულ წინადადებას / სიტყვას / აზრს?
- რა რეაქცია გინდა რომ ჰქონდეს შენს მკითხველს?
- როგორ წარმოგიდგენია შენი აზრების გადანაცვლება / გადაადგილება ან შეცვლა? რატომ?

ნაწერის წარდგენა საზოგადოებისათვის

ეს წერის პროცესის საბოლოო ეტაპია. ნაწერის წარდგენაში (გამოქვეყნებაში) იგულისხმება, რომ ის ან უნდა წაიკითხონ ან მას უნდა მოუსმინონ. "მწერალი" საკუთარი თავის პირველი აუდიტორიაა, მაგრამ მას სხვების რეაქციაც აინტერესებს. წარდგენის (გამოქვეყნების) ზოგიერთი ფორმაა:

"ავტორის წრე". ეს არის სტრატეგია, რომელიც:

- მოსწავლეში ავითარებს აუდიტორიის გრძნობას;
- ავითარებს ერთობლივი სწავლის, თანატოლებთან აზრების გაზიარების და რედაქტირების უნარებს;
- ხაზს უსვამს იმას, რომ ყოველ მოსწავლეს აქვს საყურადღებო აზრები და გამოცდილება, რომლის გამოყენებაც შეიძლება ნაყოფიერად; რომ თანატოლები მნიშვნელოვან რესურსს წარმოადგენენ ამ პროცესში;
- ეხმარება მოსწავლეებს არჩევანის გაკეთებასა და გადაწყვეტილების მიღებაში (მოვისმენ ყველა აზრს, მაგრამ საბოლოოდ გადაწყვეტილებას მაინც მე ვიღებ).

"ავტორის წრისათვის" მასწავლებელმა და მოსწავლეებმა ერთად უნდა დაადგინონ წესები (მაგალითად, რეგლამენტი, თანამიმდევრობა, კორექტულობა და ა.შ.).

"ავტორის წრის" პროცედურებია:

- ჩვეულებრივ, ავტორი ზის წრეში, როგორც აუდიტორიის ნაწილი.

- მსმენელთა პირველი გამოხმაურება უნდა იყოს კომენტარები *პოზიტიური მონაკვეთის, კონკრეტული ძლიერი მხარეების შესახებ.* მსმენელებმა შეიძლება ისაუბრონ მათი საერთო შთაბეჭდილებების, განსაკუთრებით ცოცხალი პასუხების, საინტერესო აღწერების, შესავალი ან ფინალური ნაწილების შესახებ.

- ავტორის თხოვნით მსმენელებმა შეიძლება მას ნაწერის სრულყოფის, გაუმჯობესებისათვის რჩევები მისცენ (მაგალითად, სიტყვების შერჩევა, ზოგიერთ ფრაზაში სიცხადის შეტანა, დამატებითი დეტალები და სხვა).

- ავტორები გულახდილნი უნდა იყვნენ თავისი წერითი საქმიანობის შესახებ და მოსწავლეებსა და მასწავლებელს უნდა გაუზიარონ ის ასპექტები, რომლებიც მათ წერის პროცესში სირთულეს უქმნიდა.

- მასწავლებელს შეუძლია დააკვირდეს და აღნუსხოს მოსწავლეთა მონაწილეობა და ცოდნა (როგორც წარმომდგენის, ისე მსმენელებისა) შეფასების ცხრილების ან ჩანაწერების გამოყენებით.

- მასწავლებელს შეუძლია ჩაინიშნოს, რა ტიპის კომენტარები გაკეთდა მოსწავლეების მიერ ან რა შეკითხვები დაისვა. ეს დახმარებას გაუწევს მას იმის დადგენაში, თუ რა სახის მითითებები, რჩევები მისცეს მთელ კლასს ან ცალკეულ მოსწავლეს.

- "ავტორის წრის" ვარიანტი შეიძლება ამგვარი იყოს: მოსწავლეებმა თავისი საბოლოო ნამუშევრები წაუკითხონ უმცროსკლასელებს ან სხვა საზოგადოებას (მაგალითად, უფროსებს).

- თუ წერითი ნამუშევარი გამოიკვრება, შეიძლება იქვე გამოვაკრათ თანატოლთა კომენტარებიც.

კვირის / თვის ავტორი. ყოველ კვირას ან თვეს გამოყავით თითო ავტორი და მათი ნამუშევარი გამოაკარით ან კლასში, ან დერეფანში ამისათვის მომზადებულ სპეციალურ დაფაზე. აქვე შეიძლება გამოიკრას მოსწავლის ბიოგრაფია და ფოტოსურათი.

სკოლის გაზეთი. ხელი შეუწყვეთ მოსწავლეებს, რათა თავიანთი ნაწერები წარადგინონ სკოლის გაზეთში გამოსაქვეყნებლად. ასევე, მოსწავლეებს შეუძლიათ წერონ სკოლის გაზეთის მუდმივი სვეტებისათვის ან ყოველი კლასისათვის შეიქმნას მუდმივი სვეტი.

ადგილობრივი გაზეთები. მოსწავლეებს შეუძლიათ წარმოადგინონ თავიანთი ნაწერი ადგილობრივ პრესაში, წერონ ადგილობრივი გაზეთის გარკვეული სვეტებისათვის (მაგალითად, მოზარდები გვწერენ, წერილები რედაქტორს და ა.შ.).

საინფორმაციო ბიულეტენი მშობლებისათვის / ადგილობრივი საზოგადოებისათვის. მოსწავლეთა ნაწერები უფრო საინტერესოს ხდის საინფორმაციო ბიულეტენს, რომელიც სკოლის გარეთ გადის. თავად მოსწავლეები იამაყებენ იმით, რომ მათმა ნაწერმა უფრო დიდი აუდიტორია მოიპოვა.

წერაზე რეაგირება

ვიდრე წერითი ნაშრომის შესახებ აზრების გაცვლაში ჩაერთვებიან, საჭიროა მოსწავლეთა წახალისება, რომ მათ დაიწყონ საკუთარი ნამუშევრის გაანალიზება. ეს მოსწავლეებს ეხმარება საკუთარი ნაწერის გაუმჯობესებაში, ასევე გარკვეული საკითხების უკეთ ჩამოყალიბებაში. შეკითხვების ნუსხას, რომელსაც გთავაზობთ, შეუძლია დაეხმაროს მოსწავლეებს საკუთარ ნაწერზე ფიქრში. ეს შეკითხვები მოსწავლეებს შეიძლება მასწავლებელმა მიაწოდოს ან შეიძლება მასწავლებელმა და მოსწავლემ ერთად ჩამოაყალიბონ.

საკუთარ თავს დაუსვი ზოგიერთი ამ შეკითხვათაგანი:

- რას განვიცდი იმის მიმართ, რაც უკვე დავწერე?
- რა არის კარგი, რისი გაძლიერებაც შემიძლია?
- რა არის ჩემი მიზანი?
- არის რამე ისეთი, რაც არ შეესაბამება მიზანს ან არასწორად მეჩვენება?
- რა აღმოვაჩინე ამ მონაკვეთის წერისას?
- რა არის ერთი, ყველაზე უმნიშვნელოვანესი რამ, რისი შეტყობინებაც მსურს აუდიტორიისათვის?
- როგორ შემიძლია ავაგო ეს აზრი? არის ისეთი ადგილები, რომლებშიც ჩემი მთავარი აზრიდან გადავუხვიე?
- ვინ არის ჩემი აუდიტორია?
- რას იფიქრებენ ჩემი მკითხველები, რომლებიც ამ მონაკვეთს წაიკითხავენ?
- სავარაუდოდ, რა შეკითხვებს დასვამენ?
- რა რეაქცია ექნებათ სხვადასხვა ნაწილზე? მთლიან ნაწერზე?
- შემდეგ რა უნდა გავაკეთო?
- რა დამეხმარება ნაწერის გაუმჯობესებაში (რომელი ამოვირჩიო ჩამოთვლილთაგან)?

✓ ახალი შავი ვარიანტის დაწერა;

✓ თანატოლებთან საუბარი;

- ✓ მასწავლებელთან საუბარი;
- ✓ წიგნის დახმარება;
- ✓ ხელახლა ■ შამაღლა წაკითხვა;
- ✓ ჩუმად წაკითხვა, რამდენჯერმე გადაკითხვა;
- ✓ ამ ჟანრის ნიმუშის წაკითხვა;
- ✓ იქნებ დროებით გადავდო;
- ✓ ეს აზრი სხვა ჟანრში მოვსინჯო;
- ✓ გავაგრძელო წერა?

რამდენიმე აქტივობა წერის უნარის გასავითარებლად

- სანამ წერის პროცესს შეუდგებოდნენ, სასურველია, მოსწავლეებს გავაცნოთ გეგმის ნიმუში. ეს არის ე.წ. მიზნობრივი სქემა, მინიპროექტი, რომელიც რამდენიმე პუნქტისაგან შედგება:

  1. რა არის ჩემი მიზანი (3-4 წინადადება);
  2. ვინ არის ჩემი ადრესატი;
  3. რა მასალას გამოვიყენებ მიზნის მისაღწევად (მასალის დასახელება. მაგალითად, ფაქტები, კომენტარები, სხვადასხვა მოსაზრება და ა.შ.);
  4. რას დავამტკიცებ ამ მასალის გამოყენებით / რაში მინდა დავარწმუნო ადრესატი;

  5. როგორი იქნება ჩემი ნაწერის ფორმატი (იქნება ეს თხზულება, მოთხრობა ესე, მოხსენება, ანგარიში თუ სხვა, რამდენი უნდა იყოს მოცულობით და ა.შ.);
  6. რა ტიპის პრობლემა შეიძლება შემექმნას მუშაობისას;
  7. როგორ მესახება ამ პრობლემების დაძლევა.

მოსწავლეებს ვყოფთ ჯგუფებად და ვაძლევთ დავალებას: თითოეულმა ჯგუფმა უნდა შეადგინოს კონკრეტული სახის ტექსტისათვის მიზნობრივი სქემა. შემდეგ ჯგუფები იხილავენ წარმოდგენილ ნამუშევრებს, შეაქვთ კორექტივები.

- წერის სწავლების პროცესში შედეგიანია იმ სახის ტექსტის რამდენიმე ნიმუშის ანალიზი, რომლის წერაშიც გვინდა ვავარჯიშოთ მსმენელები. მაგალითად, თუ მათ უნდა დაწერონ საგაზეთო სტატია, ჯგუფებს ვურიგებთ ნიმუშებს და ვთხოვთ, შეავსონ ასეთი სქემა:

№	მიზანი	ადრესატი	მნიშვნელოვანი ფაქტები	დასკვნა / დასასრული	ჩემი შენიშვნები
1.					
2.					
3.					

• მოსწავლეებს ვაძლევთ ნაკლულ ტექსტს და იქვე – ჩასასმელ ელემენტებს. ცხადია, ჩასასმელი ელემენტები შერჩეულია მასალის გათვალისწინებით. მსმენელებმა უნდა შეავსონ ტექსტი.

• მოსწავლეებს ვაძლევთ მონაცემებს, რომლებზე დაყრდნობითაც უნდა ააგონ ტექსტი (მაგალითად, ადგილობრივი ღირშესანიშნაობების მეგზური). შემდეგ ეტაპზე შეიძლება შევაქმნევინოთ პროექტი მეგზურის შედგენაზე და მათ თავად მოიძიონ საჭირო მონაცემები და მასალები.

• მოსწავლე ადგენს ტექსტს ძალიან კონკრეტული მოდელი-ყალიბის მიხედვით, ანუ მას უწევს შინაარსობრივი (და არა სტრუქტურული) ელემენტების შეცვლა.

• მოსწავლე ავსებს ტექსტს კონტექსტზე დაყრდნობით (მაგალითად, ბავშვი ბანაკიდან სწერს წერილს მშობლებს. ნაკლული ადგილები ივსება კონტექსტიდან გამომდინარე).

• მოსწავლეებს ეძლევათ სამი დასაწყისი: ერთი ისტორიული ხასიათის მოთხრობაა, მეორე – დეტექტივი, მესამე – ეპიზოდი სკოლის ცხოვრებიდან. მოსწავლეებმა უნდა შეძლონ დასაწყისის მიხედვით ჟანრის განსაზღვრა და გაგრძელება შესაბამისი სტილით.

• წერის სწავლებისას ეფექტურია მეთოდი "საკითხი – როლი – აუდიტორია – ფორმა". ეს მეთოდი ავითარებს წერის უნარ-ჩვევას, აძლიერებს მოტივაციას, ააქტიურებს შესწავლილს, ავითარებს საქმიანობის ორგანიზების უნარ-ჩვევას, ავითარებს შემოქმედებით უნარს. იგი გამოიყენება ინდივიდუალური მუშაობისას. მასწავლებელი სთხოვს მსმენელებს გრაფაში მოცემული თითოეული კომპონენტის წერილობით გააზრებასა და ჩამოყალიბებას (იხ. ქვემოთ მოყვანილი სქემა):

საკითხი (თემა), რომელზეც უნდა შესრულდეს წერითი დავალება	როლი, რომლის თვალთახედვითაც უნდა შესრულდეს წერითი დავალება	აუდიტორია, ვისთვისაც იქმნება ნაწერი	ფორმა, რომელსაც ირჩევს ავტორი (მსმენელი)
ბუნებრივი რესურსების არამიზნობრივი გამოყენება	არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელი; გამგებელი; ეკოპოლიციის წარმომადგენელი ადგილობრივი მცხოვრები.	გარემოს დაცვის მინისტრი; რეგიონის რწმუნებული; არასამთავრობო ორგანიზაცია "ჩვენ და გარემო"; მეგობარი.	ინფორმაცია ადგილობრივი გაზეთისათვის; მოხსენებითი ბარათი; მოთხოვნის წერილი; არაფორმალური წერილი მეგობარს.

წერის შეფასება

შეფასება უწყვეტი უნდა იყოს. იგი სიტყვიერიც შეიძლება იყოს და წერილობითიც. აღნუსხვის ისეთი საშუალებები, როგორიცაა საკონტროლო ცხრილები, მოკლე ჩანაწერები, პორტფოლიოები, უზრუნველყოფენ ინფორმაციის შეგროვებას მოსწავლის წერითი უნარებისა და ინტერესების შეფასებისათვის.

ამ პროცესში გამოყენებული უნდა იყოს მოსწავლის თვითშეფასება, თანატოლთა შეფასება და მასწავლებლის შეფასება, ასევე სამივეს კომბინაცია. შეგროვილი ინფორმაციის გამოყენება შეიძლება მოსწავლის შესაფასებლად სწავლის სხვადასხვა მონაკვეთში. მოცემული საკონტროლო ცხრილები მხოლოდ ნიმუშებია და მათი ადაპტირება შეიძლება მასწავლებლისა და მოსწავლის საჭიროების შესაბამისად.

წერის ყოველ ფორმას საგანგებო კრიტერიუმები აქვს. ამ კრიტერიუმებს განსაზღვრავს აუდიტორია, მიზანი და ფორმატი. მოთხრობა განსხვავდება წერილისაგან, ხოლო ორივე განსხვავდება ლექსის ან ანგარიშისაგან. მნიშვნელოვანია, რომ მოსწავლეები იცნობდნენ იმ წერითი ფორმატის საგანგებო კრიტერიუმებს, რომელიც შეარჩიეს. მათი მიწოდება მოსწავლეებისათვის შეიძლება საკონტროლო ცხრილის სახით. ეს მათ დაეხმარება თვითშეფასებაში,

ხოლო სახეცვლილი ფორმით მასწავლებელს – მოსწავლის შეფასებაში.

სასურველია, მასწავლებელმა და მოსწავლეებმა ერთად განსაზღვრონ გარკვეული წერითი ფორმატის კრიტერიუმები.

მნიშვნელოვანია, მოსწავლეებმა გააცნობიერონ წერის პროცესის არსი და მისი მნიშვნელობა. მასწავლებელმა უნდა შეაფასოს არა მარტო წერის პროცესი და პროდუქტი, არამედ მოსწავლის დამოკიდებულება წერის მიმართ. ამისათვის გთავაზობთ ორი საქმიანობის აღწერას.

საქმიანობა № 1: წერითი სტრატეგიების კითხვარი

- ინდივიდუალურად შეავსებინეთ ისეთი კითხვარები, რომელთა ნიმუშსაც გთავაზობთ ან მოსწავლეები გაასაუბრეთ ერთმანეთთან და შეავსებინეთ ეს კითხვარები;
- მოსწავლეთა პასუხები მასწავლებელს მისცემენ ინფორმაციას იმის შესახებ, თუ რომელ საფეხურზე არიან მოსწავლეები (საფეხურების დახასიათება იხ. ზემოთ).
- მცირე ჯგუფებში ან მთელ კლასში ასაუბრეთ მოსწავლეები თავიანთ დამოკიდებულებაზე წერითი პროცესის შესახებ.

საქმიანობა № 2: მოსწავლეთა მოსაზრებების მოსმენა

- დაფაზე ან ფურცელზე დაწერეთ დაუსრულებელი წინადადება: *"წერა წარმოადგენს. . ."* შესთავაზეთ მოსწავლეებს მცირე ჯგუფებში მსჯელობის შემდეგ წარმოადგინონ წინადადების დასრულების ვარიანტები.
- ყველას მიეცით საკუთარი აზრის გამოთქმის საშუალება და დაწერეთ მათი აზრები დაფაზე ან ქაღალდზე. ზოგიერთი აზრი შეიძლება უარყოფითი იყოს, მაგრამ მნიშვნელოვანია მისი მოსმენა იმისათვის, რომ შემდეგ ამაზე იმუშაოთ.

რომელიმე ამ საქმიანობის ამორჩევის შემდეგ გამოიყენეთ მოსწავლეთა პასუხები იმისათვის, რომ გადახვიდეთ დისკუსიაზე წერის შესახებ. დაეხმარეთ მოსწავლეებს იმის გაგებაში, რომ წერა კომუნიკაციის ბუნებრივი საშუალებაა. ხაზი გაუსვით იმ მნიშვნელობას, რომელიც წერის ცოდნას ექნება მათთვის ცხოვრებაში. აუხსენით, რომ მასწავლებელი და კლასი ერთად იმუშავებენ და ითანამშრომლებენ წერის შესახებ მეტის შესატყობად და წერითი უნარების გასაუმჯობესებლად.

წერისას აზრთა გაზიარების მიმოხილვის საკონტროლო ცხრილის ნიმუში

ავტორი ---------- თარიღი ----------

სათაური ---------- ჟანრი/ფორმატი ----------

თვითგანსჯა

მე წავიკითხე ეს მონაკვეთი:
ერთხელ ----- ორჯერ ----- რამდენჯერმე ------ ხმამაღლა ჩემთვის -----

ერთი ცვლილება, რომლის შეტანაც გადავწყვიტე, შემდეგია ----------

---

ვფიქრობ, ეს ცვლილება გამართლებულია იმიტომ, რომ ----------

ყველაზე მეტად შემდეგი მონაკვეთი მომწონს ----------

თანატოლისთვის აზრის გაზიარება
თანატოლის სახელი, რომელსაც აზრს უზიარებთ ----------

1. რაღაც/ის, რაც ამ მონაკვეთში კარგად გააკეთე ----------

---

2. მე განსაკუთრებით მომეწონა ----------

3. რაღაც/ის, რასაც გირჩევ რომ გაითვალისწინო ----------

პუნქტუაცია

წინადადების დამასრულებელი სასვენი ნიშნები მართებულად არის გამოყენებული (. ? ! ?!)

წინადადების შიგნით სასვენი ნიშნები მართებულად არის გამოყენებული (, ; :)?

დეფისები და ტირეები მართებულად არის გამოყენებული?

ბრჭყალები ზუსტად არის გამოყენებული („“)?

მართლწერა/ორთოგრაფია

სიტყვები მართებული ფორმით არის ნახმარი?

დაცულია მართლწერის წესები?

ორთოგრაფიული ლექსიკონი გამოიყენე თუ დახმარება თანატოლს ან მასწავლებელს სთხოვე?

მნიშვნელოვანია მოსწავლეებს დაეხმაროთ იმაში, რომ მათ შეძლონ რედაქტირება / კორექტირება საკონტროლო ცხრილში ჩამოთვლილი კრიტერიუმების შესაბამისად.

წერითი დავალების ენის საკონტროლო ცხრილის ნიმუში

მოსწავლე ---------- კლასი ----------

თარიღი ----------

ენის ცოდნა/უნარები	შენიშვნები	დასრულების თარიღი
• წერს გამართულად გრამატიკული თვასაზრისით		
• დანიშნულებისამებრ იყენებს როგორც მარტივ, ისე რთულ წინადადებებს		
• მართებულად გამოყოფს აბზაცებს		
• აქცენტს აკეთებს მთავარ სათქმელზე		
• ამატებს დეტალებს, რათა გააძლიეროს მთავარი სათქმელი		
• არჩევს ეფექტურ ზმნებს		
• არჩევს შესატყვის ლექსიკას		
• აზრებსა და მოვლენებს თანამიმდევრულად ალაგებს		
• სიუჟეტს ეფექტურად ავითარებს		
• მოცემული / შერჩეული აუდიტორიისა და მიზნისათვის შესაბამის ფორმატს იყენებს		
• აქტიურებს თავის წარმოსახვას და დაუფარავად გამოხატავს ემოციებს		
• თავის რწმენასა და თვალსაზრისს გულწრფელად		

გამოხატავს		
• აგროვებს და ეფექტურ ორგანიზებას უკეთებს აზრებს		
• სათქმელს გამოხატავს სხვადასხვა ჟანრის საშუალებით (ჩამოთვალეთ ისინი)		
• სხვა		

შენიშვნა: მასწავლებლებს ამ საკონტროლო ცხრილის გამოყენება შეუძლიათ ამ სახით, ასევე შეუძლიათ მისი მორგება მათ მიერ შერჩეული მიზნებისათვის. ამ ცხრილის ადაპტირება შეიძლება მოსწავლეთა თვითშეფასებისთვისაც. ერთი საკონტროლო ცხრილი არ უნდა შეიცავდეს ყველა წერით კრიტერიუმს; რედაქტირება/კორექტირება ადვილად დასაძლევია, როდესაც კონკრეტული და ამასთან ნაკლები საკითხია ჩამოთვლილი/მოცემული.

მასწავლებელისა და მოსწავლის აზრთა გაზიარების საკონტროლო ცხრილის ნიმუში

მოსწავლე: ----------

აზრთა გაზიარების თარიღი ----------

მოსწავლის თემა ----------

მოსწავლე დახმარებას ითხოვს შემდეგ სფეროში/ებში:

_____

_____

_____

_____

მოსწავლემ:	დიახ	არა	
• ჩამოაყალიბა თვალსაზრისი?			
• დასახა მიზნად კონკრეტული აუდიტორიისათვის წერა?			
• მიუსადაგა ენა, შინაარსი და ფორმატი აუდიტორიას?			
• მიუთითებს ამ ფორმატის / • აუდიტორიის არჩევის მიზეზს?			
• იყენებს ამ ფორმატის/აუდიტორიის შესაბამის ლექსიკას?			
• ქმნის მკაფიო დასაწყისს, შუა მონაკვეთსა და დასასრულს?			
• აზრს ნათლად აყალიბებს?			
• ცდილობს თავად გაუკეთოს რედაქტირება საკუთარ ნამუშევარს?			
• სახავს ნაწერის შემდგომი გაუმჯობესების გეგმას?			
მოსწავლის წინსვლასთან დაკავშირებული საკითხები/მომენტები:			
საკითხები/მომენტები, რომლებსაც ყურადღება უნდა მიექცეს:			

ეს საკონტროლო ცხრილი შეიძლება ასევე მოსწავლის თვითშეფასებას მოერგოს.

წერითი სტრატეგიების კითხვარის ნიმუში

გვარი და სახელი: ----------

თარიღი ----------

ინტერვიუერი: ----------

1. როგორ სწავლობ შენი აზრების წერილობით ჩამოყალიბებას?

2. ა) ვინ გასწავლის იმას, თუ როგორ უნდა წერო?

   ბ) როგორ გეხმარება ის პიროვნება?

3. რომელია ის საუკეთესო რჩევა, რომელიც შენთვის მოუციათ წერის შესახებ?

4. ა) როგორ ფიქრობ, კარგი მწერალი ხარ?

   ბ) რატომ ან რატომ არა?

5. რისი გაკეთება გსურს უკეთ, როდესაც წერ?

6. რომ იცნობდე ვინმეს, ვისაც წერისას პრობლემები აქვს, რას გააკეთებდი მის დასახმარებლად?

7. რამ შეიძლება შეგაჩეროს წერის დროს?

8. ა) როდესაც წერ და ამ დროს პრობლემა გაქვს, რას აკეთებ?

   ბ) სხვა დროს კიდევ რა მოგიმოქმედებია პრობლემის დასაძლევად?

წერის პროცესის შეფასების საკონტროლო ცხრილის ნიმუში

A = ყოველთვის = 5 ქულას; B = ხანდახან = 3 ქულას; C = არასოდეს = 0.

წერამდე მოსწავლე:	**A**	**B**	**C**	**შენიშვნები**
იყენებს სხვადასხვა წერამდელ ტექნიკას				
აცნობიერებს მიზანს				
აცნობიერებს აუდიტორიას				
განიხილავს სხვადასხვა თვალსაზრისს				
განიხილავს მიზნისა და აუდიტორიისათვის შესაბამის ფორმატებს				
როდესაც შავ ვარიანტს აკეთებს, მოსწავლე:				**შენიშვნები**
ქმნის პირველ მონახაზს				
აკეთებს შემდგომ მონახაზს				
აყალიბებს თვალსაზრისს				
ირჩევს მიზნისა და აუდიტორიის შესაბამის ფორმატს				
განიხილავს ვარიანტს თანატოლებთან და მასწავლებელთან				
გადახედავს ვარიანტს შინაარსისა და აზრის სიცხადის თვალსაზრისით				
რედაქტირებას უკეთებს ვარიანტს ინდივიდუალურად და სხვებთან თანამშრომლობაში				

პირველი ვარიანტის შექმნის შემდეგ მოსწავლე:				**შენიშვნები**
ამზადებს საბოლოო, გაშალაშინებულ ვარიანტს				
წყვეტს იმას, თუ როგორ წარადგენს / გამოაქვეყნებს დაწერილ ნამუშევარს				
წყვეტს იმას, თუ რომელი წერილობითი მონაკვეთი ან მთლიანი ნაწერი შეიტანოს პორტფოლიოში				
წერის პროცესის განმავლობაში მოსწავლე:				**შენიშვნები**
ფიქრობს/მსჯელობს საკუთარ ნაწერზე და მას ჯეროვნად ასწორებს				
ხალისით განიხილავს მასწავლებელსა და თანატოლებთან ერთად				
აკვირდება საკუთარ პროგრესს/განვითარებას				

* * *

ჩვენ შევეცადეთ წარმოგვედგინა ის ხერხები და საშუალებები, რომელთა გამოყენებაც სახალისოსა და საინტერესოს გახდის მშობლიური ენისა და ლიტერატურის სწავლების პროცესს და რომლებიც დაეხმარება ქართული ენის მასწავლებლებს სასწავლო მიზნების განხორციელებაში, გაკვეთილების დაგეგმვასა და ჩატარებაში. ჩვენ ვიმედოვნებთ, რომ მასწავლებლები შემოქმედებითად მიუდგებიან თითოეულ მეთოდს და მოარგებენ მას კონკრეტული კლასის, მოსწავლის საჭიროებებს. აქ წარმოდგენილი ხერხებისა და საშუალებების მცირეოდენი მოდიფიცირებაც კი იმით არის საინტერესო და მნიშვნელოვანი, რომ ამით გამდიდრდება თქვენი პედაგოგიური არსენალი, დაიხვეწება და გამრავალფეროვნდება მეთოდები.

ჩვენ მზად ვართ მივიღოთ მასწავლებელთა ნებისმიერი შენიშვნა იმიტომ, რომ ყოველი მეთოდი მხოლოდ სასწავლო პროცესში გამოიცდება, დაიხვეწება, შემოწმდება მისი სიცოცხლისუნარიანობა და ეფექტიანობა. ასე რომ, ჩვენ მზად ვართ თანამშრომლობისათვის.

გამოყენებული ლიტერატურა

1. თ. ჯაყელი, მ. ხუციშვილი; „მეორე ენის სწავლება დაწყებით კლასებში“, თბილისი, 2005 წელი.
2. English Language Arts, A Curriculum Guide for the Middle Level (Grades 6-9) Saskatchewan Education
3. English Language Arts 6-9: A Bibliography for the Middle Level
4. Tibinská, Eva, Teória a prax jazykového vzdelávania v oblasti materinského jazyka na základných školách na Slovensku. - In: Studia Academica Slovaca. 30. Prednášky XXXVII. letného seminára slovenského jazyka a kultúry. Red. J. Mlacek. Bratislava, Stimul - Centrum informatiky a vzdelávania FF UK 2001, s. 315 - 328.
5. Tibinská, Eva, Základné zásady didaktiky a metodiky vyučovania slovenčiny ako cudzieho jazyka. In: Studia Academica Slovaca 34. Prednášky XLI. letného seminára slovenského jazyka a kultúry.Ed. J.Mlacek, M. Vojtech. Bratislava, Stimul - Centrum informatiky a vzdelávania FF UK 2005, s. 165 -173.
6. Čvrtníčková, D. a kol.: Cieľové požiadavky na hodinách SJaL Metodická príručka prináša nové chápanie problematiky výučby SJaL
7. Čvrtníčková, D. a kol.: Klasifikácia slohových prác Anotácia: Súbor žiackych slohových prác niektorých žánrov a ich klasifikácia. Dagmar Čtvrtníčková
8. ŠPECIALIZAČNÉ INOVAČNÉ ŠTÚDIUM,Názov projektu: Inovácia obsahu a metód vyučovania SjaL
9. Ministerstvo školstva Slovenskej republiky, UČEBNÉ PLÁNY PRE 1. AŽ 9. ROČNÍK ZÁKLADNÝCH ŠKÔL, Schválilo Ministerstvo školstva Slovenskej republiky , 2003
10. Brasee, E.N. & Capelluti, J. Dissolving boundaries: Toward an integrative curriculum. Columbus,1995
11. Jacobs, H.H. Mapping the big picture: Integrating curriculum and assessment, Alexandria, 1997
12. Martinello, M.L. & Cook, G.E. Interdisciplinary inquiry in teaching and learning. New York: Merrill, 1994

სარჩევი

შესავალი 4

სწავლების მიმართულებები 6

უნარ-ჩვევებზე ორიენტირებული მიმართულებები 7

მშობლიური ენის სწავლების საკითხები
დაწყებით სკოლაში 13

მშობლიური ენის სწავლების საკითხები
საბაზო და საშუალო სკოლაში 38

მოსმენა 38

მეტყველება 59

კითხვა 130

წერა 204